

ნონა არევაძე-კოტორაშვილი • ზაინაბ ბერაძე • ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე • ნინო ჭანკვეთაძე • გიორგი ჭაუჭიძე

ქართული ენა

არაქართულენოვანი სკოლებისთვის

9

მასწავლებლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2022 წელს.



სულაკაურის
განათლების სამინისტრო

ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის 9
მასწავლებლის წიგნი

პირველი გამოცემა, თბილისი, 2022

ავტორები: ნონა არევაძე-კოტორაშვილი, ზეინაბ ბერაძე, ნონა მიქელაძე,
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე, გიორგი ჭაუჭიძე

რედაქტორი ელენე ბერიაშვილი
დიზაინერი ია მახათაძე
ტექნიკური დიზაინერი ლადო ლომსაძე

© სულაკაურის გამომცემლობა, 2022
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 2910954, 2911165
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-37-047-2

Georgian as Foreign Language 9
Teacher's book

© Sulakauri Publishing, 2022
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

სარჩევი

შესავალი	5
I თავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები	7
II თავი – სახელმწიფო ენები	9
III თავი – ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – სტანდარტი და პროგრამა	11
IV თავი – მეთოდოლოგიური რეკომენდაციები	38
V თავი – თემატური ერთეულის შექმნის გზამკვლევი	60
VI თავი – თემატური ერთეულები	73
1. რეპორტაჟი მითური კოლხეთიდან	73
2. თანაგრძნობა	83
3. ფერებისა და ხაზების სამყაროში	94
4. ადამიანი ბუნების შვილია	106
5. მათ შექმნეს ეპოქა	118
6. ისტორია და არქიტექტურა	128
7. მე ვირჩევ პროფესიას	140
8. ჩემი სოფელი	148
VII თავი – შეფასების რუბრიკები განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებისთვის	156
VIII თავი – მოსასმენი ტექსტები და ვიდეომუშაები	170

შესავალი

„ქართული 9 – არაქართულენოვანი სკოლებისთვის“ წარმოადგენს მე-9 კლასის სახელმძღვანელოს არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის.

სახელმძღვანელო შედგება 4 კომპონენტისაგან:

1. მოსწავლის წიგნი,
2. სავარჯიშოების რვეული
3. მასწავლებლის წიგნი
4. მოსასმენი ტექსტები და ვიდეოსიუჟეტები (ციფრული ფორმატით)

მოსწავლის წიგნი და სავარჯიშოების რვეული დაყოფილია 8 თემატურ ერთეულად:

1. რეპორტაჟი მითური კოლხეთიდან
2. თანაგრძნობა
3. ფერებისა და ხაზების სამყაროში
4. ადამიანი ბუნების შვილია
5. მათ შექმნეს ეპოქა
6. ისტორია და არქიტექტურა
7. მე ვირჩევ პროფესიას
8. ჩემი სოფელი

თითოეული თემა მოსწავლის წიგნში იხსნება ტიხრით, რომელზეც მოცემულია თემატური ილუსტრაციები (ფოტოები, ნახატები), თემასთან დაკავშირებული ფრთიანი ფრაზები და გამონათქვამები, საკვანძო საკითხების ჩამონათვალი (რას შეისწავლის მოსწავლე ამა თუ იმ თემის ფარგლებში) და ქუარ-კოდი ელექტრონული რესურსისათვის. ტიხარზე მოცემულ მთელ ინფორმაციას, ელექტრონული რესურსის ჩათვლით, აქვს წინასწარ განწყობის შექმნის ფუნქცია, თუმცა, მასწავლებელს სურვილისამებრ შეუძლია, მათზე დაყრდნობით გარკვეული აქტივობა ან მთელი გაკვეთილი დაგეგმოს.

მოსწავლის წიგნში შემოთავაზებული საკითხავ ტექსტებს ახლავს სტრიქონების ნუმერაცია, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეებს დაეხმარებათ, ამ ტექსტებში იოლად ორიენტირებაში, სათანადო ადგილის, სიტყვის სწრაფად მოძებნაში.

თითოეულ თემაში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის უნარების განვითარებას, ასევე მოცემულია თემატიკასთან ორგანულად დაკავშირებული სტანდარტის მიხედვით განსაზღვრული გრამატიკის საკითხები.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის წიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, წიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული. ასეთი დაგეგმვა მასწავლებელს გაუიოლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და მასწავლებლის ამ წიგნში ზედმეტი კირკიტის გარეშე მწყობრად მიჰყვება აქტივობებს. სხვათა შორის, ასეთი პრინციპი, რომელიც ჩვენს სახელმძღვანელოებში დაინერგა პირველად, მოწონებით მიიღეს კოლეგა-მასწავლებლებმა.

ნებისმიერი დავალებისა თუ სავარჯიშოს პირობაში მოსწავლეთათვის გასაგებ ენაზეა მოცე-

მული მითითება. ასევე მოცემულია პირობითი ნიშანი მოსმენის (ან ვიდეოსიუჟეტის ნახვის) დავალებისას.

გაითვალისწინეთ, რომ მოსწავლის ნიგნში მოცემულია დავალებები, რვეულში კი – სავარჯიშოები. ნუმერაცია გადანაწილებულია იმგვარად, რომ შესასრულებელი აქტივობების მიმდევრობა დაცულია. მაგალითად, ნიგნში პირველი დავალების შემდეგ თუ მოდის მე-3 დავალება, ეს ნიშნავს, რომ პირველი დავალების შემდეგ შესასრულებელია მე-2 სავარჯიშო, რომელიც სავარჯიშოების რვეულშია მოცემული. ასეთი დაგეგმვა მასწავლებელს გაუიოლებს საგაკვეთილო პროცესის წარმართვას და მასწავლებლის ამ ნიგნში ზედმეტი კირკიტის გარეშე მწყობრად მიჰყვება აქტივობებს. სხვათაშორის, ასეთი პრინციპი, რომელიც ჩვენს სახელმძღვანელოებში დაინერგა პირველად, მოწონებით მიიღეს კოლეგა-მასწავლებლებმა.

მოსწავლის ნიგნში მოცემულია განსხვავებული დიზაინით გამორჩეული კომპლექსური დავალებები, რომელთათვის ზოგიერთ შემთხვევაში სავარჯიშოების რვეულშიც არის გამოყოფილი სათანადო ადგილი, ზოგჯერ კი – არა. ზოგიერთი კომპლექსური დავალება კი მხოლოდ სავარჯიშოების რვეულშია შემოთავაზებული. ეს, რასაკვირველია, არ აკნინებს მის მნიშვნელობას და მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს თითოეულ მათგანზე მუშაობას.

რაც შეეხება დავალებებისა (მათ შორის, კომპლექსური დავალებებისაც) და სავარჯიშოების შესრულების ფორმატს — ინდივიდუალურად შეასრულონ, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში — მასწავლებელი ამის შესახებ გადანყვებილებას იღებს საკლასო საჭიროებების მიხედვით. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენი მოსწავლეა კლასში, რა მზაობისა და საჭიროებისანი არიან ისინი, რა კონკრეტული საგაკვეთილო მიზანი აქვს მასწავლებელს და ა.შ.

წინამდებარე მასწავლებლის ნიგნში განერილია ყველა თემა თავისი ცნებებითა და მკვიდრი წარმოდგენებით, საკვანძო შეკითხვებით, კომპლექსური დავალებებითა და სხვა კომპონენტებით. აქვეა წარმოდგენილი მეთოდური მითითებები, რომლებიც უთუოდ დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ წარმართოს საგაკვეთილო პროცესი.

მასწავლებლის ნიგნს ბოლოში აქვს დართული ასევე მოსასმენი დავალებების ტექსტები (აუდიომასალა ციფრული ფორმატით ატვირთულია გამომცემლობის საიტზე) და ვიდეოსიუჟეტების ინტერნეტბმულები.

ქვემოთ მოცემულია მასწავლებლის ნიგნის მსხვილი თავები:

I თავი — ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

II თავი — სახელმწიფო ენები

III თავი — ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – სტანდარტი და პროგრამა

IV თავი — მეთოდური რეკომენდაციები

V თავი — თემატური ერთეულის შექმნის გზამკვლევი

VI თავი — თემატური ერთეულები

VII თავი — შეფასების რუბრიკები განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებისთვის

VIII თავი — მოსასმენი ტექსტები და ვიდეობმულები

I ტავი – ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებაში.

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება:

- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა:

- მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

- დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების 2 განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება:

- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე:

- სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს მოზარდის იმ უნარ-ჩვევების განვითარება, რომლებიც მისცემს მას საშუალებას, უკვე არსებული გამოცდილება და მიღწევები გამოი-

ყენოს ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც:

- სასკოლო განათლებამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს უწყვეტი განვითარების, მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალი ცოდნისა და ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი, რათა შეძლოს საკუთარი შესაძლებლობებისა და სულიერი მიდრეკილებების ადეკვატურად განსაზღვრა და ამის მიხედვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრება; მოზარდი მზად უნდა იყოს არჩევანი გააკეთოს მომავალი განათლებისა და შრომითი საქმიანობისათვის;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან:

- სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (წერა, კითხვა, მეტყველება, მოსმენა), საორგანიზაციო და ჯგუფური მუშაობის ჩვევები, მათ შორის იმათ, ვისთვისაც საქართველოს სახელმწიფო ენა მშობლიური არ არის;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე:

- დღევანდელ დინამიკურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

II თავი – სახელმწიფო ენები

სახელმწიფო ენების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის;
- აფხაზური ენა და ლიტერატურა.

სახელმწიფო ენის შესწავლა მოზარდს უვითარებს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს, გამოუმუშავებს საკუთარი აზრის ლოგიკური თანამიმდევრობით გამოხატვის, სხვადასხვა ტიპის ტექსტების გააზრებული კითხვისა და შექმნის უნარს სახელმწიფო ენაზე; ეხმარება მას, რომ გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში. სახელმწიფო ენების სწავლების მიზნები და ამოცანები სახელმწიფო ენების (ქართულის/აფხაზურის) სწავლების მიზანია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში.

საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ამგვარ ამოცანებს წარმოადგენს:

- ენობრივი ცოდნის შეძენა-გაღრმავება, ენობრივი უნარების განვითარება;
- აზრის ცხადად, ლაკონიურად, მკაფიოდ და მწყობრად გამოხატვის უნარის ჩამოყალიბება;
- მსჯელობის უნარის განვითარება;
- სააზროვნო მოქმედებათა (ანალიზი, შედარება, განზოგადება) განვითარება ენობრივ (ტექსტობრივ) საფუძველზე;
- ფუნქციურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ტექსტების შესწავლისა და გააზრების უნარის ჩამოყალიბება;
- ტექსტებთან შემოქმედებითი (თავისუფალი) დამოკიდებულების გამომუშავება;
- დისკუსიებში მონაწილეობა, მონოლოგური და დიალოგური მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბება;
- სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვის უნარის განვითარება;
- მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით გამართულად წერისა და მეტყველების უნარის განვითარება;
- სხვადასხვა სახის, სტილისა და ჟანრის ტექსტების ანალიზისა და შექმნის უნარის გამომუშავება-განვითარება;

- მწერლის შემოქმედების გააზრების უნარის განვითარება სუბიექტური (მწერლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ფაქტები და მომენტები) და ობიექტური (ეპოქის ზოგადი კონტექსტი) ფაქტორების გათვალისწინებით;
- მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებში ასახული პრობლემატიკის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის, პიროვნული პოზიციის ჩამოყალიბებისა და მისი არგუმენტირების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურული ნაწარმოების ესთეტიკური აღქმისა და შეფასების უნარის გამომუშავება;
- ლიტერატურულ ნაწარმოებებში ასახული ფასეულობების აღქმა-გააზრებისა და მათ მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვის უნარის განვითარება;
- ეროვნული და მსოფლიო ლიტერატურული პროცესების, უნივერსალური ლიტერატურული თემების ურთიერთკავშირის გააზრების უნარის გამომუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავება;
- სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება;
- სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სოციოკულტურულ თავისებურებათა დაფასება და პატივისცემა; სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;
- უცხო კულტურის გაგების უნარის განვითარება;
- სახელმწიფო ენის/ენების ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავების უნარის განვითარება;
- ენის სწავლის უნარ-ჩვევების (სწავლის სწავლა) განვითარება;
- საგანმანათლებლო მიზნებით ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების უნარის განვითარება;
- სასიცოცხლო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობა, თავისუფალი არჩევანის გაკეთება, პრობლემის გადაჭრა, შემოქმედებითობა და სხვ.) განვითარება;
- ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

III თავი — ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის – სტანდარტი და პროგრამა

არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის საბაზო საფეხურის ქართული ენის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;**
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;**
- გ) მეთოდოლოგიური ორიენტაციები;**
- დ) შეფასება;**
- ე) დანართი.**

საბაზო საფეხურზე სწავლება მოიცავს სამწლიან ციკლს. ამ ეტაპზე ღრმავდება ის საგნობრივი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც მოსწავლემ შეიძინა დაწყებით საფეხურზე. ვინაიდან საბაზო საფეხური სავალდებულო სწავლების დამამთავრებელი ციკლია, ამიტომ არაქართულენოვანი სკოლებისთვის ქართული ენის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მოსწავლის მომზადება ისეთი მნიშვნელოვანი გადანყვეტილების მისაღებად, როგორცაა კონკრეტული გეზის არჩევა (აქტიურ ცხოვრებაში ჩაბმა, პროფესიული განათლების მიღება, სკოლაში სწავლის გაგრძელება). ამის გათვალისწინებით, ქართულის ენის საბაზო საფეხურის სტანდარტი განსაზღვრავს მოსწავლის აღჭურვას იმგვარი ცოდნით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მას – გზა გაიკვალოს თანამედროვე ცხოვრებაში.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება პროექტულ აქტივობებში, რომლებიც მას შექმნილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე არაქართულენოვან სკოლებში ქართულის ენის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს:

- ქართულ ენაზე წარმატებული კომუნიკაციის უნარის განვითარებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ქართული ენის მიზნობრივად და ფუნქციურად გამოყენების უნარის განვითარებას;
- სხვა კულტურათა დაფასებისა და პატივისცემის უნარის განვითარებას; მათ მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას;
- სამოქალაქო საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრირების ხელშეწყობას;
- ენის დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას.

ამ მიზნებზე მუშაობით ეს სახელმძღვანელო თავის წვლილს შეიტანს **ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.**

ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი

სტანდარტის შედეგები საგნის ცნებებზე დაფუძნებით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს და პასუხობს შეკითხვას, რა უნდა შეეძლოს არაქართულენოვანი სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეს ქართულ ენაში.

სტანდარტის შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- 1. კომუნიკაცია** – გულისხმობს საკომუნიკაციო უნარების განვითარების ხელშესაწყობად საჭირო და აუცილებელი სტრატეგიების დაუფლებას და კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად მათ მიზნობრივ გამოყენებას. **მოსწავლემ უნდა შეძლოს: ზეპირი თუ წერილობითი ტექსტის** გაგება და გაანალიზება როგორც შინაარსის, ისე მისი სტრუქტურული და ენობრივი მახასიათებლების მიხედვით; მონაწილეობა მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში და **ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენება როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს**; პიროვნული და შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოვლენა;
- 2. სოციოკულტურა და კულტურა** – ორიენტირებულია განსხვავებული კულტურული ცნობიერებისა და ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობის დაფასებისა და პატივისცემის უზარის შექმნა/ განვითარებაზე. მოსწავლემ უნდა შეძლოს არა მხოლოდ ინტერკულტურული თვალსაზრისით ზეპირი და წერილობითი ტექსტის გაანალიზება, არამედ განსხვავებულ კულტურულ თუ სოციოკულტურულ კონტექსტებში ზეპირი და წერილობითი ინტერაქცია; ცხოვრების განსხვავებული წესების, ტრადიციების, ღირებულებებისა და მენტალობების აღმოჩენა და გაგება; საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა თუ გარემოსთან პარალელუბის გავლენა და საკუთარი შეფასება-დამოკიდებულებების გამოხატვა.
- 3. სწავლის სწავლა** – მიზანია მოსწავლეებისათვის სასწავლო საქმიანობის დამოუკიდებლად მართვის სწავლება, რომელიც სწავლის დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ მონიტორინგს გულისხმობს. მოსწავლეები სწავლა-სწავლების პროცესის არა პასიური მსმენელები, არამედ ამ პროცესის აქტიური მონაწილეები ხდებიან. ისინი ეჩვევიან სასწავლო მიზნებისა და ამოცანების გააზრებას; შედეგების დამოუკიდებლად შეფასებას; გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას; სხვებთან თანამშრომლობის პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენას; იმ ფაქტორებისა და მიზეზების გაცნობიერებას, რომლებიც აფერხებს ან, პირიქით, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მსვლელობას. მოსწავლეები სწავლობენ რესურსების ეფექტურად მართვას, იძენენ სტრატეგიულ უნარებს წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად და სხვა.

სტანდარტის შინაარსი განსაზღვრავს, რა უნდა იცოდეს მოსწავლემ. შინაარსი აღინერება სავალდებულო ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, თემატური ჩარჩოებისა და ენობრივი საკითხების სახით.

ცნებების სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. ცნებები შედეგებთან ერთად უნდა დამუშავდეს მოსწავლისთვის ნაცნობ და შინაარსიან კონტექსტებში. ეს კონტექსტები წარმოდგენილია სავალდებულო თემატური ბლოკების სახით.

მკვიდრი წარმოდგენები – თითოეულ ცნებას ახლავს მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც შემოსაზღვრავს ცნების მოცულობას და აზუსტებს, რა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მოსწავლეს ამ ცნებასთან მიმართებით საფეხურის ბოლოს.

სტანდარტის შედეგების ინდექსების განმარტება

საბაზო საფეხურზე სტანდარტში განვიხილეთ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგ., ქ.ე.საბ. 1.

„ქ.ე.“ - მიუთითებს საგანს „ქართული მეორე არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის“;

„საბ.“ - მიუთითებს საბაზო საფეხურის სტანდარტს;

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

ქართულის, როგორც მეორე ენის სტანდარტის შედეგები (VII-IX კლასები)		
შედეგების ინდექსი	მიმართულება: კომუნიკაცია	სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქ.ე.საბ.1.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემასა თუ საკითხზე სხვადასხვა ტიპის მოსასმენი და/ან წასაკითხი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა;	<p>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)</p> <ul style="list-style-type: none"> კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის; კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო. წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;
ქ.ე.საბ.2.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სხვადასხვა ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა კონკრეტული საყრდენების მიხედვით;	<p>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)</p> <ul style="list-style-type: none"> ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები). ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მუხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.
ქ.ე.საბ.3.	სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ნაცნობ თემებზე, აქტუალურ საკითხებსა თუ პრობლემებზე საუბარი, დიალოგის წარმართვა ან სხვების საუბარში ჩართვა;	<p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)</p>
ქ.ე.საბ.4.	საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, საკუთარი დამოკიდებულების ზეპირად და/ან	<ul style="list-style-type: none"> ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აზრები, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სახვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია)

	წერილობით გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება;	<p>ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში. <p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; • ინტერპრეტაციის დროს შემძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; • პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის. <p>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩინე განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას); • განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაგნობიერებაში; • სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა. <p>გრამატიკა (შედეგები 5)</p> <ul style="list-style-type: none"> • სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;
ქ.ე.საბ.5.	ნასწავლი ენობრივი საშუალებებისა და სტრუქტურული ელემენტების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება.	
ქ.ე.საბ.6.	ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.	
მიმართულება: სოციოკულტურა და კულტურა		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქ.ე.საბ.7.	სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება;	
ქ.ე.საბ.8.	განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა;	
ქ.ე.საბ.9.	განსხვავებულ კულტურულ კონტექსტებში ინტერპერსონალური უნარების გამოვლენა, თავისუფლად ორიენტირება.	
მიმართულება: სწავლის სწავლა		
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
ქ.ე.საბ.10.	სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი);	

<p>ქ.ე.საბ.11.</p>	<p>სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა;</p>	<ul style="list-style-type: none"> გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.
<p>ქ.ე.საბ.12.</p>	<p>სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება.</p>	<p>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <ul style="list-style-type: none"> ენის სწავლას უკეთ შეეძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერიტ მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება. <p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)</p> <ul style="list-style-type: none"> სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.

ცნებები და საკითხები

ცნებები	ქვეცნებები, საკითხები
კომუნიკაცია	<p>ქვეცნებები:</p> <p>სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;</p> <p>მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხოვნა, აღწერა, მსჯელობა</p> <p>სამეტყველო აქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/ დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, ნახალისება/შექება); • ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/ განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.); • ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...); • ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

<p>ტექსტის ტიპი და ჟანრი</p>	<p>ქვეცნებები:</p> <p>ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული ტექსტის ჟანრები -</p> <ul style="list-style-type: none"> • მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები; • არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოსმაურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები ნიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება; • მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები; • სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.
<p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება</p>	<p>ქვეცნებები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები); • ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ფესტიკულაცია, ხმის ტემპრი); • აბზაცის სტრუქტურა - თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება;
<p>ინტერპრეტაცია</p>	<p>ქვეცნებები:</p> <p>ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი</p>

<p>გრამატიკა</p>	<p>ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა</p> <p>ენობრივი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> • <u>მორფოლოგია</u>: არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (ნართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებული მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი – ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა – I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; სანყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნანილაკი); • <u>სინტაქსი</u>: წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვენწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?); • <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები</u>: რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნანილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან); • <u>ლექსიკა</u>: სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული.
------------------	---

ენის სწავლის სტრატეგიები	<p>მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ); კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);</p> <p>ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;</p> <p>წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);</p> <p>ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ენათშორისი პარალელების გავლება; • დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება; • დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში. • ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)	<p>ქვეცნებები: დავლების ღირებულების განჭვრეტა, დავლების მოთხოვნების განსაზღვრა; დავლების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;</p>
ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა	<p>საკითხები: სოცოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;</p>

ძირითადი თემატური ბლოკები და სასწავლო თემები

თემატურ ბლოკებში სავალდებულო თემები თავმოყრილია იმ ძირითად შინაარსობრივ საკითხებთან ერთად, რომლებიც ითვალისწინებს მათ ასაკობრივ ინტერესებსა და მოთხოვნებს და შეესაბამება ენობრივი ცოდნის მოცემულ დონეს.

I. მე და სამყარო:

1. ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
2. ფიზიკური გარემო (დედამინა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები).

II. სოცოკულტურა და კულტურა:

1. ყოველდღიური ცხოვრება (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);

2. პიროვნებათშორისი ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);
3. ღირებულებები და ფასეულობები (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის ოთხივე კლასისთვის უნდა გამომდინარეობდეს სტანდარტის თემატური ჩარჩოდან. თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ ქართული ენის გაგება-გამოყენება.

თითოეულ თემას უნდა ახლდეს შეფასების კრიტერიუმები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. შეფასების კრიტერიუმები ჯგუფდება ცნებების მიხედვით, თითოეულ კრიტერიუმს უნდა ახლდეს შესაბამისი შედეგის ინდექსის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რომელი შედეგიდან/შედეგებიდან გამომდინარეობს იგი).

ეროვნული სასწავლო გეგმის ქართულის ენის პროგრამაში შემუშავებულია თემის შეფასების კრიტერიუმების ყალიბი, რომელიც, კონკრეტულ თემაში დამუშავებული ქვეცნებებიდან და საკითხებიდან გამომდინარე, დაკონკრეტდება. გთავაზობთ შეფასების კრიტერიუმების ყალიბს:

თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:

კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)

- საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება.
- კონკრეტული ტექსტების გაგება-გააზრება და შედგენა-გაზიარება;
- ფუნქციური სამეტყველო აქტების მიზნობრივად შესრულება;
- ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა.

ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 5)

- ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას.

ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 5)

- ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება;

ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგი: 4);

- ტექსტში ასახული თემის, მიზნის, პრობლემის, ცალკეული საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა-დასაბუთება და დასკვნების გამოტანა;
- საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტში ასახული განსხვავებული თვალსაზრისებისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივების შეფასება;
- ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება.

გრამატიკა (შედეგი 5)

- ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და მათი გამოყენება კონკრეტული მიზნით;
- სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული მიზნით;
- ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნის გამოყენება კონკრეტული სამეცხველო აქტების შესრულებისას.

ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)

- მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის სტრატეგიების გამოყენება ტექსტების გაგება-გააზრებისა და შექმნა-გაზიარების ხელშესაწყობად;
- ენობრივი (ლექსიკის, გრამატიკის) სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება კონკრეტული ენობრივი საკითხების ათვისების ხელშესაწყობად;
- საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება.
-

სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები 10, 11, 12)

- სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა.

ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)

- კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესის გამოჩენა;
- განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლება; საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა;
- კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის, ინტერპრეტირებისა და გაზიარების გზით.

სტანდარტის საფუძვრებრივი საკვანძო შეკითხვები:

საკვანძო შეკითხვები სტანდარტის ცნებებსა და საკითხებს უკავშირებს სტანდარტის შედეგებს და აჩვენებს თუ რისთვის, რა მიზნით უნდა გამოიყენოს მოსწავლემ შინაარსით განსაზღვრული ცოდნა.

საკვანძო შეკითხვები უზრუნველყოფს არამხოლოდ სწავლების შინაარსის დაკავშირებას სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან, არამედ სასწავლო პროცესის მოსწავლესა და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებას; სტიმულს აძლევს სასწავლო მასალის მრავალმხრივად გააზრების პროცესს.

- რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
- რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
- რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
- რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?

- როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
- რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?
- როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
- მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?
- რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
- მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიძინო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

ბ) მეთოდოლოგიური ორიენტირება

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- სწავლა-სწავლება ხელს უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- სწავლა-სწავლება ხელს უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- სწავლა-სწავლება ხელს უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლა).
- სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

გამჭოლი უნარები და ღირებულებები

საგნობრივი შედეგების გარდა, სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ უნდა იქცეს ასევე შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	<ul style="list-style-type: none"> • სასკოლო და სხვა საქმიანობებში ნაკისრი ვალდებულების შესრულება; • სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; • საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
-----------------	---

თანამშრომლობა	<ul style="list-style-type: none"> • მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; • განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; • რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადანყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით. • ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული სამუშაოს შესრულება.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	<ul style="list-style-type: none"> • თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ქრილში გააზრება და ინტერპრეტირება; • მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	<ul style="list-style-type: none"> • ეთიკური და ქცევითი ნორმების დაცვა; • სოლიდარობის განცდა; • სხვებისადმი ემპათია; • პიროვნული ღირსების გააზრებისა და დაფასების უნარი; • განსხვავებულობის მიმღებლობა; • საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.
ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის/სასწავლო მასალის (დიდაქტიზებული, პრაგმატული, საინფორმაციო-შემეცნებითი, გასართობ-შემოქმედებითი ხასიათის ტექსტები) მოძიება ინტერნეტში სხვადასხვა საძიებო სისტემის მეშვეობით; • ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ტექსტების შესაქმნელად და პროექტების განსახორციელებლად (სხვადასხვა ხასიათის ღია ბარათის/მეგობრული წერილის/შეტყობინების ელექტრონული ვერსიის მიწერა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, უცხოელ თანატოლებთან ჩეთში მონაწილეობა skype-ის, messenger-ის მეშვეობით; ვებგვერდის/ბლოგის შექმნა და უცხოურ ენაზე განხორციელებული სხვადასხვა პროექტის, მაგ., კულინარიული რეცეპტების კრებულის, სკოლის მოსწავლეთა ნახატების/ნაკეთობების კატალოგის სკოლის ვებგვერდზე/ბლოგზე განთავსება); <p>ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება (მაგ., Word, PowerPoint) სასწავლო მასალისა და სხვადასხვა ტიპის ელექტრონული ტექსტების დასამუშავებლად.</p>
შემოქმედებითი აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> • ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; • ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცმესხმა; ახლის შექმნა; • დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; • სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ.

ენის სწავლების მეთოდები და შერჩევა

სწავლების მეთოდები დიდად არის დამოკიდებული მოსწავლეთა სწავლების სტილსა და მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე (ბუნებრივია, იმისთვის, რომ მოსწავლემ ეფექტიანად გამოიყენოს შეთავაზებული სწავლების მეთოდები, ის სწავლის ეფექტურ სტრატეგიებსაც უნდა ფლობდეს). მათი სწორად შერჩევა და გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას და, შესაბამისად, იმ შედეგების მიღწევას, რომლებიც სტანდარტით არის განსაზღვრული.

სწავლების მეთოდის შერჩევას, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს, მოსწავლეებში რა კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს ეს მეთოდი და რა არის მისი ძლიერი ან სუსტი მხარე. მეთოდის შერჩევას ასევე უნდა დაეფიქრდეთ:

- დაგვეხმარება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი დასახული შედეგის მიღწევაში;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი აქტივობას;
- შეესაბამება თუ არა ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდი მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და გამოცდილებას;
- ტექნიკურად შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება (ხელმისაწვდომია თუ არა რესურსები; გვეყოფა თუ არა დრო, შესაძლებელია თუ არა ამ რაოდენობის მოსწავლით მეთოდის ეფექტიანად განხორციელება და ა.შ.).

ენის სწავლების ძირითადი პრინციპები

იმისათვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი ეფექტურად წარიმართოს, მასწავლებელმა:

- კარგად უნდა შეისწავლოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები (მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესში გარკვეული პერიოდულობით/სინშირით ხდებოდეს მოსწავლეებზე ინდივიდუალური დაკვირვება და მათი სწავლის სტილის დადგენა / დიაგნოსტიკა იმისათვის, რომ დაიგეგმოს ოპტიმალური სასწავლო სიტუაციები. მეორე მხრივ, მასწავლებელი აუცილებლად უნდა ეცადოს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებასა და სწავლის სტილთა გამრავალფეროვნებას);
- უნდა შეარჩიოს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები, მეთოდები და მიდგომები, ვინაიდან არ არსებობს სწავლების თუ სწავლის ერთი უნივერსალური მეთოდი, რომელიც ყველა მოსწავლეს შეესაბამება;
- მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს აქტივობათა და დავალებათა ასევე მრავალფეროვანი არჩევანი.

იმისათვის, რომ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის განმაპირობებელ ფაქტორებზე, კერძოდ:

- მოსწავლეებს უნდა გავუღვიძოთ ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის/თემის, მიმართ; გავამდიდროთ სასწავლო პროცესი მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო მასალითა და აქტივობებით, სწავლების ახალი მეთოდებითა და სტრატეგიებით.
- უნდა დავარწმუნოთ ისინი საკუთარ შესაძლებლობებში. სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომ მასწავლებელი ფლობდეს ინფორმაციას მოსწავლეების ცოდნის დონისა და უნარების შესახებ. გამოვიყენოთ სხვადასხვა სირთულისა და ტიპის დავალებები.

- უნდა შევქმნათ თანამშრომლობითი ატმოსფერო. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და, მეორე მხრივ, მათში კონსტრუქციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

ამისთვის, სასურველია:

- ✓ მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები; განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპები; განახორციელოს ჯგუფური სამუშაოები; ჩართოს მოსწავლეები ცოდნის შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში. მათთან ერთად შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. დაეხმაროს მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამომუშავებაში და სხვა.
- ✓ მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს შეცდომებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება. მათ უნდა იცოდნენ, რომ **შეცდომები სწავლის საუკეთესო საშუალებაა**. გახადოს ისინი მიმტევებელნი / შემწყნარებელნი როგორც საკუთარი, ისე სხვისი შეცდომების მიმართ.

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძვრებრივი საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს სავალდებულო საგნობრივ მოთხოვნებს (რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს მან). მათზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა განხორციელების გზებს.

წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით, რომლებიც გამოიყოფა სტანდარტის თემატურ ბლოკებზე დაყრდნობით (შედეგი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას). სასწავლო თემა წარმოადგენს შინაარსიან, ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. რამდენადაც შედეგებზე გასვლა და სამიზნე ცნებების (და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების) დაუფლება საგნის სწავლების გრძელვადიან მიზნებს წარმოადგენს, თითოეული თემის ფარგლებში სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება უნდა დამუშავდეს. მაშასადამე, სასწავლო თემების ცვლით შეიცვლება კონტექსტები, მაგრამ არ შეიცვლება სწავლის მიზნები, რომლებიც სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახითაა ფორმულირებული (შედეგი და სამიზნე ცნება თავისთავად არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სასწავლო ერთეულს - თემას).

სასწავლო თემის დასაფუძვლად გამოიყენება შემდეგი კომპონენტები:

<p>სასწავლო თემა (მაგ., მოგზაურობა უცხო ქვეყანაში)</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, სამიზნე ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>შედეგები, სამიზნე ცნებები და ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები პასუხს სცემს შეკითხვას - რა გრძელვადიანი მიზნით ვასწავლით მოსწავლეს თემას.</p> <p>მკვიდრი წარმოდგენები განისაზღვრება სტანდარტის შედეგებზე დაყრდნობით. ეს არის ზოგადი წარმოდგენები, რომლებიც თემის შესწავლისას უნდა ჩამოყალიბდეს მოსწავლის ხანგრძლივ მეხსიერებაში მის (მოსწავლის) წინარე წარმოდგენებზე დაყრდნობით, რათა მას თემის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა გაუადვილდეს. მკვიდრი წარმოდგენები აზროვნების საყრდენია გაგების აქტების განსახორციელებლად.</p>
<p>საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საკითხები, რომელთა საშუალებითაც ხდება იმის განსაზღვრა, კონკრეტულად რაზე უნდა იმუშაოს მოსწავლემ თემის ფარგლებში.</p> <p>საკითხებზე დაყრდნობით ხდება ასევე:</p> <ul style="list-style-type: none"> • იმ სამეცნიერო აქტების განსაზღვრა, რომლებიც ხორციელდება მოცემული თემის ფარგლებში; • იმ ძირითადი ენობრივი საკითხების გამოკვეთა, რომლებიც მნიშვნელოვანია მოცემული სამეცნიერო აქტების განხორციელებისათვის; • კომპლექსური დავალების პირობის განსაზღვრა, რომელიც მოსწავლეს სამიზნე ცნებებისა და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების გაცნობიერებაში ეხმარება.
<p>ქვეცნებები</p> <p>ქვეცნებები წარმოადგენს იმ ცნებებსა და ტერმინებს, რომლებიც სამიზნე ცნებებიდან გამომდინარეობენ და რომლებით ოპერირებაც მოსწავლეს ამ კონკრეტული თემის ფარგლებში/კონკრეტულ საკითხთან მიმართებით მოუწევს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და პასუხს სცემს შეკითხვას - რაზე უნდა დაფიქრდეს მოსწავლე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას? მათი ფუნქციაა:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად; • სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა. საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელიც სასწავლო თემის ფარგლებში ასრულებს გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლს.

კომპლექსური/პროექტული დავალებები

კომპლექსური დავალებები წარმოადგენს შემოქმედებით-შემეცნებით პროდუქტს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში. კომპლექსური დავალება (მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულთან - საკითხი, საკვანძო შეკითხვა, შეფასების კრიტერიუმი) თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

კომპლექსური დავალება შეესაბამება ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას - მოქმედებაზე ორიენტირებულ მიდგომას (action-oriented approach).

აქტივობები და რესურსები

თემატურ მატრიცაში აქტივობები და სასწავლო რესურსები შეირჩევა იმისთვის, რათა მოსწავლეს გაუადვილდეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, რომლის შესრულებაც თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს.

შეფასების კრიტერიუმები

შეფასების კრიტერიუმები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, კრიტერიუმები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

ნაბიჯი 1. თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებებისა და საკითხების განსაზღვრა	
ნაბიჯი 2. საგნობრივი საკითხისა და სამიზნე ცნებების შესაბამისი კომპლექსური დავალების/დავალებების პირობის განსაზღვრა	
ნაბიჯი 3. კომპლექსური დავალების შესაბამისი საკვანძო შეკითხვის/შეკითხვების დასმა და შეფასების კრიტერიუმის შერჩევა.	
ნაბიჯი 4. აქტივობებისა და რესურსების შერჩევა, რომელიც მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულებაში დაეხმარება.	

სასწავლო თემის აგება

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული და გრძელვადიან მიზნებს განასახიერებენ.

თემის დამუშავების ნიმუში სასკოლო კურიკულუმისთვის ან მასწავლებლის წიგნისთვის

თემის ფარგლებში შუალედური მიზნის როლს ასრულებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ოთხეული – ქვეცნება/საკითხი, საკვანძო შეკითხვები, კომპლექსური დავალება/დავალე-

ბები, შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები. თემატურ მატრიცაში შესაძლებელია დაემატოს იმდენი ეტაპი (შესაბამისი შუალედური მიზნებით), რამდენსაც ავტორი ჩათვლის საჭიროდ მოცემული სასწავლო თემის ფარგლებში. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.

თემა: საათების სავარაუდო რაოდენობა -				
თემატური საკვანძო შეკითხვები:				
თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:				
სამეცხველო აქტები:		ენობრივი საკითხები		
თემატური ლექსიკა				
ტექსტის ტიპები და ჟანრები:				
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	I ეტაპის შუალედური მიზნები			
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება/ დავალებები	
	აქტივობები:			
	რესურსები:			
	შეფასების კრიტერიუმები			
	II ეტაპის შუალედური მიზნები			
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება/ დავალებები	
	აქტივობები:			
	რესურსები:			
	შეფასების კრიტერიუმები			
	III ეტაპის შუალედური მიზნები			
	საკითხი და ქვეცნებები	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები	კომპლექსური დავალება/ დავალებები	
	აქტივობები:			
	რესურსები:			
	შეფასების კრიტერიუმები			
	მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს			

დ) შეფასება

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, შინაარსიანი კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. შემაჯამებელი დავალებები ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული სასწავლო გეგმების საბაზო საფეხურის მისიის განხორციელებას, სახელდობრ, დინამიკური და ფუნქციური ცოდნის კონსტრუირებასა და მოსწავლის ცხოვრებისათვის მომზადებას.

ამ დავალებათა შესაფასებლად შეფასების რუბრიკა, ანუ კრიტერიუმების ბადე გამოიყენება.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

ქვემოთ შემოთავაზებულია ტიპობრივ დავალებათა ფართო არჩევანი. შემაჯამებელი შეფასებისათვის მასწავლებელი და/ან მოსწავლე შეარჩევს დავალების სასურველ ტიპს/ტიპებს:

- კვლევითი პროექტების განხორციელება;
- ზეპირი ან წერილობითი ანგარიშის წარდგენა (მაგ., კვლევის მონაცემთა ანალიზი)
- აქტუალურ საკითხებზე დისკუსიების მოწყობა;
- ფილმის, ნახატის, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვა;
- შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა (მაგ., რეკლამა, ვიდეორგოლი, ვებგვერდი, გაზეთი...);
- წერილობითი ტექსტების შედგენა (დღიური, გამოსმაურება, რეპორტაჟი, გზამკვლევი...);
- როლურ თამაშებში მონაწილეობა (ინსცენირება; ინტერვიუს აღება, ვიქტორინის მოწყობა...)

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი დავალება

- დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა;
- დავალების შეფასების რუბრიკა, შეფასების ინდიკატორების გარდა, უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს;

- ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- 10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

ნიმუში. შემაჯამებელი დავალება წერით მეტყველებაში

თემა - სტუმრად უცხო ქალაქში		
დავალების პირობა: დააკვირდი სქემაზე მონიშნულ მარშრუტს და წერილობით აუხსენი შენს სტუმარს, როგორ მოვიდეს შენამდე. ყურადღება მიაქციე! _____ 1. რომელი გზით არის უკეთესი წამოსვლა, შენამდე ადვილად რომ მოვიდეს? 2. ურჩიე, რით ჯობია, რომ წამოვიდეს. 3. მიუთითე, როგორ მოვიდეს შენამდე. 4. შეთავაზე სხვა ვარიანტიც. გამოიყენე! 1. გირჩევ, უნდა, შეგიძლია 2. თუ ... , მაშინ ...		
სიტყვების მინიმალური რაოდენობა – 20		
შეფასების კრიტერიუმები	ქულები	განმავითარებელი შეფასების კომენტარი
პირობასთან შესაბამისობა		
იცავს სიტყვების რაოდენობის ქვედა ზღვარს	0 - 1	
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (შეთავაზებულია გზის ორი ვარიანტი)	0 - 1	
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები		
სწორად არის ახსნილი პირველი გზა	0 - 1 - 2	
სწორად არის ახსნილი მეორე გზა	0 - 1 - 2	
ენობრივი უნარ-ჩვევები		
სწორად იყენებს ზმნის ფორმებს	0 - 1 - 2	
სწორად იყენებს ნასწავლ ლექსიკას	0 - 1 - 2	
ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	10	

ე) დანართი

დოკუმენტში გამოყენებული ტერმინოლოგია

- **საგნის სწავლების ზოგადი მიზნები (Goals)** აჩვენებს, თუ რა წვლილი შეაქვს საგნის სწავლებას იმ უნარების განვითარებასა და ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რომლებსაც ეროვნული სასწავლო გეგმის მისია და მიზნები (Aims) ითვალისწინებს.
- **სტანდარტის შედეგები (objectives)** საგნის სწავლა-სწავლების კონკრეტული, ოპერაციული მიზნები, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საგნის საბაზო საფეხურზე სწავლა-სწავლება და შეფასება. შედეგები ჯგუფდება მიმართულებების მიხედვით.
- **სტანდარტის შინაარსი** ცნებებისა და სასწავლო თემების /თემატური ჩარჩოს/თემატური ბლოკის ერთობლიობაა.
- **ცნებების** სახით განსაზღვრულია ის ცოდნა, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. სტანდარტის შინაარსში გამოყოფილია ცნებების ორი კატეგორია:
 - **სასწავლო თემები** წარმოადგენს კონტექსტებს, რომლებშიც მუშავდება სტანდარტის შედეგები და ცნებები. თემები იშლება საგნობრივი საკითხების მეშვეობით. სტანდარტი საგნობრივი საკითხების შერჩევის თავისუფლებას პედაგოგებსა და სახელმძღვანელოს ავტორებს უტოვებს. სასწავლო თემები ხელს უწყობს :
 - საგნის სასწავლო მასალის თანამიმდევრულ სასწავლო მონაკვეთებში განაწილებას;
 - სტანდარტის შედეგებისა და ცნებების შინაარსიან, ცხოვრებისეულ კონტექსტებში (და არა იზოლირებულად, კონტექსტებისაგან მონყვეტილად) დამუშავებასა და ურთიერთდაკავშირებას.
 - **თემატური ჩარჩო/ბლოკი** წარმოადგენს ბაზას სასწავლო წლიური თემებისათვის და აჩვენებს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ საგნობრივი ცოდნის გამოყენება. მასწავლებლის თუ ავტორის მიერ შერჩეული სასწავლო თემები საბაზო საფეხურის სამივე კლასისთვის მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს და ფარავდეს სტანდარტის თემატურ ჩარჩოს.
- **საფეხურის საკვანძო შეკითხვები** სტანდარტის შინაარსს აკავშირებს სტანდარტის შედეგებთან და აჩვენებს, თუ რისთვის უნდა გამოიყენოს მოსწავლემ კონკრეტული ცოდნა. საკვანძო შეკითხვები, როგორც ვექტორები, სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს. სხვა სიტყვებით, ამ შეკითხვებმა უნდა დააფიქროს თითოეული მოსწავლე და გამოიწვიოს/გაააქტიუროს ისინი ამ შეკითხვებით დასმული ამოცანების გადასაჭრელად;
- **მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა (action-oriented approach)** ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია“ წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.
- **მოსმენის/კითხვის სტრატეგიები**
 - **გაცნობითი კითხვა** - გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექსტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამო-

ყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გაამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი და სხვ.).

- **სელექციური კითხვა/მოსმენა** – გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტულ ინფორმაციაზე.
- **შესწავლითი კითხვა:** გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:
 - **მთლიანად გადაკითხვა** – ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;
 - **გონებაში დამუშავება** – ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აბზაცის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;
 - **გამოცნობა** გულისხმობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.) დახმარებით;
 - **უცნობი სიტყვების ამონერა** – ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;
 - **მიბრუნება** – გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება;
 - **შეკითხვების დასმა** – ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;
 - **ინფორმაციის დაჯგუფება** – ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის) გამოყენება;
 - **ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აბზაცის შეჯამება.**

დედუქცია – ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია – ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

ქართული ენა არაქართულენოვანი სკოლებისთვის

საბაზო საფეხურის წლიური პროგრამები

IX კლასი

თემა: პროფესიული არჩევანი	
<p>კავშირები თემატურ ბლოკებთან:</p> <p>I. მე და სამყარო: ა) ყველაფერი ჩემ შესახებ - პირადი მონაცემები; ჰობი, ინტერესები; მომავლის დაგეგმვა / არჩევანის გაკეთება</p> <p>II. სოციოკულტურა და კულტურა: ღირებულებები და ფასეულობები - კულტურა და ტრადიციები, პროფესიული ჯგუფები, უმცირესობები - ეთნიკური/რელიგიური ტექსტები შეირჩევა და შეიქმნება თემატური მკვიდრი წარმოდგენებისა და საკვანძო შეკითხვების გათვალისწინებით.</p>	
<p><u>სამეტყველო აქტები</u></p> <p>ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში - კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა</p> <p>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად - პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; საქმიანობის აღწერა/ დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება - საქმიანობა, ჰობი, ინტერესები, გეგმები/განზრახვა</p> <p>ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ - დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა (კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...</p>	<p><u>ენობრივი საკითხები</u></p> <p>რიცხვითი სახელების მართლწერა - რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით;</p> <p>პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში - სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა; ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა - II კავშირებითი / ხოლმეობითი;</p> <p>შეუსრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში - არ/ვერ + წყვეტილი, I თურმეობითი; სანყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები წინადადებაში;</p> <p>რთული სინტაქსური კონსტრუქციები - კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვენწყობილ წინადადებაში;</p> <p>აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვენდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში;</p> <p>პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები - რა შემთხვევაში? რა პირობებში?</p>
ცნებები და საკითხები	საკვანძო შეკითხვები

<p>ტექსტის ტიპები სტანდარტულ სიტუაციებში თანამოსაუბრეთა შორის მიმდინარე საუბარი; ნაცნობ თემაზე შექმნილი ადაპტირებული მხატვრული ტექსტები; საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი; კორესპონდენცია - მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები; არაფორმალური და მარტივი ფორმალური დისკუსიები სტრატეგიები მოსმენის, კითხვის, ლაპარაკისა და წერის სტრატეგიები; სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად; მეტაკოგნიტური სტრატეგიები</p>	<ul style="list-style-type: none"> • რას ნიშნავს პროფესიის არჩევა? რთულია თუ არა არჩევანის გაკეთება და რატომ? რატომ უჭირთ შენს თანატოლებს სწორი გადაწყვეტილების მიღება? რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა პროფესიის არჩევისას? • რა როლს ასრულებს სოციოკულტურული გარემო პროფესიის არჩევისას? არის თუ არა მნიშვნელოვანი სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ? • სად, როგორ და ვისთან შემიძლია გამოვიყენო ქართული ენა პროფესიული წინსვლის მისაღწევად? რა ენობრივი ცოდნა და სტრატეგიები დამეხმარება კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად? • არგუმენტირებულად ვაყალიბებ თუ არა ჩემს პოზიციას საკუთარი გადაწყვეტილებების შესახებ? რას ვეყრდნობი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა? • არის თუ არა მარტივად გასაგები და აღსაქმელი ჩემი საუბარი / ნაწერი და რატომ? • რას ვაკეთებ ან არ ვაკეთებ იმისათვის, რომ მიზანს მივალნიო? რა სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისათვის?
--	--

შეფასების ინდიკატორები - მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- საუბრის თემისა და მიზნის, ძირითადი საკითხების, მისთვის საინტერესო მნიშვნელოვანი დეტალების გაგება; თანამოსაუბრეთა თვალსაზრისებისა და დამოკიდებულებების, დადებითი და უარყოფითი შეფასებების, მათი განწყობებისა და ემოციების ამოცნობა (ქ.ე.საბ. 1. 5);
- მოცემული კულტურულ-სოციალური გარემოსა და უცხო კულტურისათვის დამახასიათებელი ქცევის ეტიკეტის ამოცნობა; კონკრეტული სოციალურ-კულტურული ფასეულობების მიმართ საკუთარი / სხვების დამოკიდებულებების განალიზება; კულტურულ თავისებურებებზე საუბრისას საკუთარ შეხედულებებისა და დამოკიდებულების კორექტულად გამოხატვა (ქ.მ.საბ. 1. 7. 8. 9);
- კონკრეტული საკითხის / დასმული პრობლემის მიმართ საკუთარი პოზიციის დასაბუთებული ახსნა -რატომ ფიქრობს ასე; არგუმენტირებული კომენტარების გაკეთება; ცალკეული ქმედებების, ფაქტებისა თუ მოვლენების შეფასება და კონკრეტული დასკვნების გამოტანა; პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად (ქ.მ.საბ. 1. 2. 3. 4. 6);
- ზეპირი და/ან წერილი მეტყველებისას ტექსტის ფორმალური მხარის დაცვა; საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი სტრუქტურული და სტილური მახასიათებლების შერჩევა; ნასწავლი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების კონტექსტის შესაბამისად გამოყენება; აზრის თანამიმდევრულად, მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება (ქ.მ.საბ. 2. 4. 5. 6);
- სასწავლო საქმიანობის დაგეგმვისას შესასრულებელი სამუშაოს თანამიმდევრობისა და მისი განხორციელების ეტაპების შედგენა; საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების განალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საბ. 10. 11. 12).

მკვიდრი წარმოდგენები:

- უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; მცდარი წარმოდგენების გადაფასებაში; საკუთარი პროფესიული არჩევანის სწორად განსაზღვრაში;
- პირადი ინტერესებისა და სურვილების გარდა, პროფესიის არჩევანს მნიშვნელოვანია შესაბამისი ცოდნისა და უნარების გათვალისწინება;
- საქმიანი ქალაქებისა თუ სხვა ოფიციალური ტექსტების უკეთ შესაქმნელად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და წერის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შეეძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობებისას.

სამეტყველო აქტები ენობრივ საკითხებთან მიმართებით:

პრიორიტეტული სამეტყველო ფუნქციები	ძირითადი ენობრივი კონსტრუქციები და ფორმულები	ძირითადი ენობრივი საკითხები
<p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისაღება/დამშვიდობება, მოკითხვა, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, მილოცვა/კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მობოდიშება</p>	<p>გაუმარჯოს! დროებით! ხომ კარგად ბრძანდებით? ბოდიშს გიხდით. გემუდარებით! ძალიან გთხოვთ! ხომ არ + (ინებებთ / მიირთმევთ / წამობრძანდებით...)? ...-ად გამოგდის! (თურმე) ...-ად (კარგად/ მშვენივრად...) შეგიძლია;</p>	<p>მორფოლოგია/სინტაქსი</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მიმართებითი ნაცვალსახელი (აგებულება და ფუნქცია); 2. ზმნა: ზმნის მარტივი და რთული ფორმები; მწკრივები: ანმყოს კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი; კონტაქტი: წარმოება და ფუნქცია; თავისებური ზმნები; ნასახელარი ზმნები: ცხელდება/ აცხელებს;
<p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები / სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, საკუთრება</p>	<p>მე გახლავართ-ის/-ს მოქალაქე ვარ; საჭიროა/ჯობია/აჯობებს, (რომ) + II კავშირებითი; გირჩევ/არ გირჩევ, (რომ) ეს + II კავშირებითი; (გუშინდელთან...) შედარებით ცუდად/კარგად ვარ; ... ჩემი კუთვნილებაა; ცვალებადი ამინდია; მოსალოდნელია ცვალებადი (-იანი/უ-ო) ამინდი;</p>	<ol style="list-style-type: none"> 3.საწყისი და მიმდებარე კავშირები; 4. მაქვემდებარებელი კავშირები; 5. მსაზღვრელ-საზღვრული (მსაზღვრელის მსაზღვრელი); 6. რთული ქვეწყობილი წინადადება (დამოკიდებული წინადადების სახეები და მათი ფუნქციები).
<p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა</p>	<p>საწყისი (მიც.-ში) + მიმდებარე (მაგ., სიზარმაცეს შეჩვეული); უხასიათოა; რამდენადაც – იმდენად (მაგ., რამდენადაც ლამაზია, იმდენად ცუდი ხასიათი აქვს/უხასიათოა);</p>	<ol style="list-style-type: none"> 7. მსაზღვრელის ადგილი წინადადებაში; 8. ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; <p>ორთოგრაფია/პუნქტუაცია</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სასვენი ნიშნების ხმარება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში;

<p>1.4. გრძნობა/ ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოსატყვამ: დადებითი/ უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოსატყვამ</p>	<p>შესანიშნავია! სასურველია! საშინლად ვარ; შესანიშნავად ვარ; ძალიან ვწუხვარ, რომ . . . როგორც ჩანს/ამბობენ/ მგონია...; გეთანხმები/არ გეთანხმები! არა მგონია, ასე/ისე იყოს! ...-(ი)დან გამომდინარე;</p>	<p>ლექსიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა; 2. სიტყვის მნიშვნელობის გაფართოება-დავიწროება; 3. სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობა; 4. კომპოზიტი. <p>ტექსტის ლინგვისტიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მეტყველების ტიპები (მსჯელობა და მისი მახასიათებლები); 2. ავტორისეული მეტყველება 3. წინადადებათა აზრობრივი გადაბმა.
<p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</p>	<p>-ისთანავე (საწყისი ნათ-ში + თანავე: წასვლისთანავე, გაღვიძებისთანავე...);</p>	
<p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა</p>	<p>აღმოსავლეთით // აღმოსავლეთისკენ... წახვალ/წამოხვალ ... ქუჩით;</p>	
<p>1.7. ლოგიკური კავშირების გამოსატყვამ: მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი</p>	<p>რა მიზეზით? – ამ მიზეზით; ...-ის მიზეზით; რის გამო? – ...-ის გამო//...-ით (შიშის გამო // შიშით); რა მიზნით? – ...-ის მიზნით; იმდენად – რამდენადაც; ვინ/როგორი რომ ვიქნები, + რას ვიზამ? (მყოფადი) ვინ/როგორი რომ ვიყო, + რას ვიზამდი? (ხოლმეობითი);</p>	

IV თავი – მეთოდოლოგიური რეკომენდაციები

საფეხურებრივი პრიორიტეტები

როგორც საბაზო საფეხურის სტანდარტშია წარმოდგენილი, VII-VIII-IX კლასებში მოსწავლეები მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ქართული ენის შესწავლის გრძელ გზაზე. სწორედ ამ კლასებში მტკიცდება ის უნარები, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა დაწყებით საფეხურზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოებში სათანადო ყურადღება ეთმობა როგორც რეცეფციული უნარების (მოსმენა, კითხვა), ასევე პროდუქციების — ლაპარაკისა და წერის სწავლებას. რაც მთავარია, სათანადო ადგილი უკავია კომუნიკაციური სწავლების ჩანაცვლებას მოქმედებაზე ორიენტირებული სწავლებით. ამ მიზნისთვის შემოთავაზებულია სხვადასხვა დავალება და მიკროპროექტი, რომლებზე მუშაობაც მოსწავლეებს დაეხმარება სათანადო კონტექსტში გადაიტანონ ათვისებული ენობრივი კომპეტენციები. ამ მასწავლებლის წიგნის შესაბამის თავში, სათანადო ადგილას, მოცემული იქნება, სრულიად ადეკვატური მითითებები, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის.

რაც შეეხება მოსწავლეთა ენობრივ დონეს, შეიძლება ითქვას, რომ ამ კლასების მოსწავლეები შეესაბამებიან A2-დან B1-ზე გარდამავალ საფეხურს. თუმცა, ეს ყველაზე საკამათო საკითხია და შემოდის, ერთი მხრივ, სტანდარტის მოთხოვნები და, მეორე მხრივ, ის სხვადასხვა რეალობა, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონშია შექმნილი.

საქართველოს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სახელმწიფო ენის ცოდნით. მცირე მათგანს სკოლაში შესვლამდე გარკვეული ენობრივი გამოცდილება აქვს, თუმცა კი უმრავლესობისთვის ეს ასე არაა და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის სწავლების სტრატეგიებსაც განსხვავებული დაგეგმვა სჭირდება. ამ და სხვა ფაქტორების გამოც, მათზე დანვრისებრ საუბარი შორს ნაგვიყვანს, შესაძლოა მე-7 კლასში შეგვხდეს ისეთი მოსწავლე, რომელიც A2-ის დონეზეც ვერ არის და მასწავლებელს განსხვავებული რიგის ამოცანები უდგათ, ვიდრე ჩვენ მიერ შემოთავაზებულ სახელმძღვანელოებშია წარმოდგენილი. შესაბამისად, მასწავლებლებს მოუწევთ მიმართონ გაღრმავებული დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს ან უფრო რადიკალური გადანყვებილებაც მიიღოს: კონკრეტულ კლასში შეიტანოს შედარებით დაბალი ენობრივი კომპეტენციების მოსწავლეებისთვის შექმნილი აქტივობები, ვიდრე წარმოდგენილია ჩვენს სახელმძღვანელოში. ჩვენი მხრივ აღვნიშნავთ, რომ სათანადო ადგილებზე კონკრეტულად და მასწავლებლის წიგნის შესაბამის თავში „დიფერენცირებული სწავლება“ წარმოდგენილი იქნება სათანადო რეკომენდაციები ამ მიმართულებით. მანამდე გთავაზობთ გარკვეულ მოსაზრებებს, რომლებიც შეეხება 1) მოსმენის, 2) კითხვის, 3) ლაპარაკისა და 4) წერის კომპეტენციების, 5) ლექსიკისა და 6) გრამატიკის სწავლებას.

1) მოსმენის უნარის განვითარება

მოსმენის უნარის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის. VII-VIII-IX კლასებში

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის მოსასმენი ტექსტი. პირობითად, მოსასმენი მასალა შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:

- ავთენტიკური, ონლაინსივრცეში არსებული ვიდეო-აუდიო მასალა,
- სპეციალურად დანერგილი დიალოგური ტექსტების აუდიოჩანაწერები,
- ადაპტირებული მხატვრული/საინფორმაციო ტექსტების აუდიოჩანაწერები.

მასწავლებლები უნდა შეეცადონ, რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოიყენონ ელექტრონული

ჩანაწერები და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაანაცვლონ ისინი მათ მიერ ტრანსკრიპტის წაკითხვით.

მოსმენის გაადვილების მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგია, იქნება ეს განმეორებით მოსმენა, პაუზებით მოსმენა, მოსმენამდე ლექსიკური ერთეულების გაცნობა, მოსასმენი ტექსტის საკითხავ ტექსტთან ერთად შეთავაზება და სხვ.

მთავარია მასწავლებელმა ყურადღება გაამახვილოს მოსმენის ისეთ სტრატეგიებზე, რომლებიც სტანდარტითაცაა გათვალისწინებული. ამ მიზნების მისაღწევად სასარგებლო იქნება ჩვენს სახელმძღვანელოებში მოცემული დავალებებისა და სავარჯიშოების სათანადოდ შესრულება.

2) კითხვის უნარის განვითარება

კითხვის უნარის, როგორც რეცეფციული უნარის, განაფვა კვლავ რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად საბაზო საფეხურზე. იგი კვლავ სხვა უნარების სწავლების მძლავრ ხელშემწყობ იარაღად რჩება. არც ერთი სხვა კომპეტენცია არ გვეხმარება ისე მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციის ამაღლებაში, როგორც კითხვის უნარი.

მეცხრეკლასელ მოსწავლეებს უკვე შეუდარებლად დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავება უნევთ, ვიდრე ეს დაწყებით საფეხურზე ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ ქართული ენის სწავლების კონტექსტში გამომუშავებული კითხვის სტრატეგიები ხელშემწყობი იქნება მისთვის არა მხოლოდ ქართულის, არამედ მშობლიური და სხვა საგნობრივი ტექსტების აღქმისთვისაც.

მნიშვნელოვანია, თუ რა ტექსტის დამუშავება გვინდა გაკვეთილებზე. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება თემატიკით, მოცულობით, კითხვადობის სირთულით, ლექსიკური თუ ჟანრობრივი მახასიათებლებით, შექმნის მიზნით, სტილითა და სხვა ნიშნებით. შესაბამისად, თითოეული ტექსტის სასწავლო პროცესში დამუშავებას სჭირდება თავისებური, განსხვავებული, ინდივიდუალური მიდგომა.

ჩვენი ამოცანაა, თითოეულ ტექსტს შევურჩიოთ ადეკვატური, მოსწავლეთათვის საინტერესო და სასარგებლო აქტივობები, რომელთა საშუალებითაც მოვახერხებთ სამიზნე ცნებების დამუშავებას.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტექსტის შერჩევის ორ განმაპირობებელზე:

1. თემა – რა თემაზეა ტექსტი. გასაგებად რომ ვთქვათ, თუ რას ვგულისხმობთ, მაგალითი განვიხილოთ, რადგან სხვადასხვა სპეციალისტი „თემაში“ განსხვავებულ შინაარსს დებს. თუკი ტექსტი ცხოველების მეგობრობას ასახავს, რა თემაზე იქნება იგი? ალბათ, მეგობრობაზე, მაგრამ ეს არ არის საკმარისი ინფორმაცია მასწავლებლისთვის, რომელიც, დავუშვათ, დაინტერესებულია ამ მასალით. ამიტომ საჭიროებს დაზუსტებას, რომ ცხოველების შესახებაცაა ეს ტექსტი.

თემაზე აქცენტის დასმა არაა შემთხვევითი. ქართულის, როგორც მშობლიური, ასევე მეორე ენის მასწავლებლები სამართლიანად ანიჭებენ უპირველეს ყურადღებას, ასაკობრივი შესაბამისობის შემდეგ, თემატური ერთეულის (სასწავლო ერთეულის, ე. წ. „მატრიცის“) თემას.

2. ჟანრი – რა ჟანრის ტექსტია. მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, შერჩეული ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს. ერთ-ერთი მიზანი სწორედაც რომ ჟანრობრივი მრავალფეროვნება უნდა იყოს და არა მხოლოდ ერთი რომელიმე ჟანრის ტექსტების, დავუშვათ, იგავ-არაკების, შეთავაზება და სწავლება.

გარდა ამისა, ტექსტის შერჩევისას ვითვალისწინებთ, თუ რა იდეის მატარებელია, როგორია მისი კითხვადობის დონე და შეესაბამება თუ არა ამ მახასიათებლით ჩვენი მოსწავლეების მზაობას, ვინ არის მისი ავტორი, რადგან სხვადასხვა ავტორების ნაწარმოებების შეთავაზება სტილურ მრავალფეროვნებასაც გამოიწვევს... როდესაც ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებაზე ვსაუბრობთ, აქ თემისა და ტექსტის კითხვადობის დონის გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ

მოცულობასაც. აღსანიშნავია, რომ მეცხრეკლასელი ქართული ენის შემსწავლელი არაქართულენოვანი მოსწავლეები, უკვე უნდა ახერხებდნენ ერთ გვერდს აღმატებული ტექსტების დამუშავებას.

და ბოლოს, მასწავლებლები უნდა დავფიქრდეთ, თუ როგორ დამუშავდება ეს ტექსტი, რომელი სასწავლო საკითხის გასააქტიურებლად იქნება გამოსადეგი და რომელი კომპლექსური დავალების შეწყობა იქნება მისთვის მოსახერხებელი. შესაძლებელია, თითოეულმა ამ უკანასკნელ ორ პარამეტრთან განსწავლულ კონკრეტული ტექსტის სასარგებლოდ მიგვაღებინოს გადამწყვეტილება.

შერჩეული საკითხავი ტექსტის დამუშავების საკვანძო საფეხურები

მოკლედ გავიხსენოთ, რომ საკითხავი ტექსტების დამუშავებისას პირველ, ნაკითხვამდე ფაზაზე ხდება:

- მოტივაციის აღძვრა, ტექსტის თემატიკაზე მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება.
- ნაკითხვის დროს შესასრულებელი დავალების გაცნობა და/ან მოდელირება.
- ტექსტის ნაკითხვაში დახმარების მიზნით ზოგიერთ ლექსიკურ ერთეულზე ყურადღების გამახვილება, რაიმე საკითხზე საჭირო ცნობის მიწოდება.
- ვარაუდების გამოთქმა სათაურის და/ან ილუსტრაცი(ებ)ის მიხედვით.
- მეორე, ნაკითხვის ფაზაზე:
 - მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ მიცემულ დავალებას (შეთავაზებულ შეკითხვებზე მუშაობა, რომელიმე სააზროვნო სქემის შევსება, კომიქსის/პოსტერის/შექმნა...). მუშაობის ფორმატი (ინდივიდუალური, წყვილებში თუ მცირე ჯგუფებში) განისაზღვრება მასწავლებლისა და მოსწავლეების მიერ არსებული საჭიროებების გათვალისწინებით.
 - უბრუნდებიან და ამოწმებენ პირველ ფაზაში ტექსტის შესახებ გამოთქმულ ვარაუდებს.
 - სვამენ ახალ შეკითხვებს და ეძიებენ მათზე პასუხებს.
 - ამზადებენ დავალების (მათ შორის, კომპლექსური დავალების) პრეზენტაციას, წარდგენის მიზნით ინაწილებენ როლებს...
- მესამე, ნაკითხვის შემდეგ ფაზაზე:
 - ხდება ნამუშევრების წარდგენა.
 - ეწყობა დისკუსია, მსჯელობა, სხვადასხვა ახალი შეკითხვის დაბადება და მასზე პასუხების ერთობლივი ძიება.
 - ნაკითხული ტექსტის სხვა ტექსტთან და/ან პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
 - ტექსტის მიხედვით ახალ დავალებებზე მუშაობა, რომელიც ტექსტის სხვა რაკურსით გააზრებისა და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

კითხვის დიფერენცირებულად სწავლება

დიფერენცირებული სწავლების მიდგომას მასწავლებლები წარმატებით იყენებენ კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში. დიფერენცირებული გაკვეთილების დაგეგმვისას ისინი ზემოთ აღწერილ კონცეპტუალურ საფუძვლებს ეყრდნობიან. კერძოდ:

პრაქტიკულად ყველა საკლასო ოთახში, ერთი მხრივ, მრავალფეროვანი და, მეორე მხრივ, რთული სურათი გვაქვს. გვყავს განსხვავებული მონაცემების, მიღწევების, წინარე გამოცდილების მქონე მკითხველები.

სასწავლო პროცესის ორგანიზების დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება.

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს დაურიგდეს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები.

ყველა მოსწავლემ და ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი კითხვის პროცესში და წერიტი ნამუშევრების შესრულებისას.

კითხვის დიფერენცირებულად სწავლების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია მართული კითხვა. მართული კითხვის აქტივობა გულისხმობს მოსწავლეთა მცირე ჯგუფში (ან ჯგუფებში) შესაფერისი ტექსტის ნაკითხვას და დამუშავებას კონკრეტული უნარების/სტრატეგიების დაუფლების მიზნით. მართული კითხვის აქტივობა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გააანალიზოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის საჭიროებები, ხოლო მოსწავლეებს ეხმარება, ნაბიჯ-ნაბიჯ განავითარონ კითხვის ის უნარები, რომელშიც მეტად სჭირდებათ განაფვა.

მართული კითხვის აქტივობა განსაკუთრებულ საჭიროებას წარმოადგენს იმ კლასებში, სადაც მოსწავლეების განსხვავებული ენობრივი კომპეტენციების მატარებლები არიან და მასწავლებლები სწორედაც რომ სხვადასხვა ტექსტებს გამოიყენებს ასეთ კლასებში კითხვის უნარის განვითარების მიზნით.

3) ლაპარაკის უნარის განვითარება

ლაპარაკის (საუბრის) უნარი ერთ-ერთი განუყოფელი კომპეტენციაა უცხოურ ენაზე კომუნიკაციის დაწყებისას. თუკი მშობლიურ ენაზე ეს უნარი ბუნებრივად, სრულიად კომფორტულად და გაუცნობიერებლად ყალიბდება, უცხოურ ენაზე საუბრის დაწყება გარკვეულ ბარიერებთან არის ხოლმე დაკავშირებული, თუ რა თქმა უნდა, ღრმა ბავშვობიდან არ უწევს არამშობლიურ ენასთან შეხება და ბუნებრივი გზითვე ითვისებს მას — ამ შემთხვევაში ფაქტობრივად მეორე ენის ბუნებრივი ათვისება ხდება, რაც ერთობ გავრცელებული ტრადიცია იყო ძველი ტფილისის ტრადიციულ ეზოებში.

რეალური სიტუაციებში მოსმენა-ლაპარაკი მრავალჯერადი განმეორებით

დიდი როლი ენიჭება ენის სწავლებისას ავთენტიკურ კონტექსტებს და აქ გახმოვანებულ ფრაზებსა და სიტყვებს. არცთუ იშვიათად ასეთი კონტექსტები უფრო ადვილად ამახსოვრებინებს მოწაფეს საჭირო ფრაზასა თუ ენობრივ კონსტრუქციას... ასეთი მიდგომით ბავშვებს შეგვიძლია დავამახსოვრებინოთ და ავათვისებინოთ საოცრად რთული ფორმისა და გრამატიკული სტრუქტურის სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ათვისებაც, ენის ლოგიკური განვითარების მიხედვით, საკმაოდ გვიან მოუწევდა. მაგალითად: **“დაგეძინა?” “მეცოტავება”**... ასეთი გამოთქმებისა და ფრაზების ასათვისებლად საკმაოდ ეფექტურია მასწავლებლისეული ყალიბ-გამოთქმები. მაგალითად:

- ყველას ჩავგირთავთ/გამოგირთავთ მიკროფონებს.
- მოიმარჯვეთ კალმები და ფურცლები...
- არ დაგავინწყდეთ... არ დაივინყოთ...

თუ ყურადღებას მივაქცევთ ზემოთ აღნიშნული და მათი მსგავსი მაგალითები საკმაოდ რთული ენობრივი თვალსაზრისით და ენის სწავლების მდინარებას თუ გავყვებით, საკმაოდ გვიან მოუწევდათ ბავშვებს ასეთი ფრაზების სწავლება, მაგრამ რეალურ სიტუაციებში მრავალჯერადი განმეორებით მათი ათვისება ძალდატანების გარეშე მოხდება.

ძალიან სასარგებლოა თითოფრაზიანი უკუკავშირის მიცემაც, როდესაც ბავშვები მუშაობენ. მაგალითად, **ალიმ უკვე დახატა, ალინა ჯერ კიდევ ხატავს... რაუფი ხატავს, ნესტანი ხატავს, ნიკუშა ხატავს, აილინი ხატავს, გარი ხატავს...** მანუშაკს ჯერ არ დაუხატავს... აქ იმ ფორმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომელიც აქტუალურია ჩვენთვის. კერძოდ, ანწყოს მნკრივზე, წყვეტილსა თუ თურმეობითზე ანდა შეპირისპირებისა და კონტექსტის მიხედვით შინაარსის აღქმევის მიზნით — სამივეზე.

რასაკვირველია, ასეთი ფრაზები და გამოთქმები, თუკი იგი დაგეგმილიცაა მასწავლებლის მიერ სასწავლო მიზნების კვალად და შესაბამისად, უფრო და უფრო გართულდება საშუალო საფეხურებზე. მაგალითად, *მეცოტავება-გეცოტავება, შემოგესწავლებათ, გავისიგრძევანო...*

ქვემოთ წარმოგიდგენთ ე. წ. ლაპარაკის უნარის განვითარების შვიდსაფეხურიან მოდელს, რომელიც მომზადებულია ინტერნეტპორტალ mastsavlebeli.ge-ს მიხედვით.

ლაპარაკის სწავლების შვიდსაფეხურიან მოდელი

- 1) ვაჩვენოთ სიტუაცია;
- 2) აღვწეროთ სიტუაცია;
- 3) კიდევ ერთხელ, უკვე მოსწავლეთა მონაწილეობით აღვწეროთ სიტუაცია;
- 4) გავითამაშოთ დიალოგი სიტუაციაში, როგორც მულტიფუნქციურმა მსახიობმა;
- 5) კიდევ ერთხელ გავითამაშოთ დიალოგები ამჯერად უკვე მოსწავლეთა ჩართულობით;
- 6) მოსწავლეებს დამოუკიდებლად გავათამაშებინოთ დამუშავებული სიტუაციური დიალოგები;
- 7) შევთავაზოთ მოსწავლეებს განსხვავებული სიტუაციური დიალოგების გათამაშება.

როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ განსხვავებული სიტუაცია? ამისთვის სამი გზა არსებობს:

- I. დავტოვოთ იგივე კონტექსტი და შევცვალოთ მონაცემები (იმავე რანგის ან უფრო რთული მონაცემებით);
- II. დავტოვოთ იგივე მონაცემები და შევცვალოთ კონტექსტი;
- III. შევცვალოთ კონტექსტიც და მონაცემებიც.

მაგალითად, თუკი ჩვენი მიზანია გაყიდვის სიტუაციებში კომუნიკაციის დამყარება და პირველ ვარიანტად დავამუშავებთ/გავითამაშებთ სიტუაცია სურსათის მაღაზიაში, სადაც მალვინა ყიდულობს შოკოლადსა და წვენს, განსხვავებული სიტუაციები იქნება შემდეგი:

- ა) მალვინა მაღაზიაში ყიდულობს პურსა და ნაყინს;
- ბ) მალვინა შოკოლადსა და წვენს ყიდულობს კინოში;
- გ) მალვინა ნაყინსა და პოპკორნს ყიდულობს კინოში.

მოქმედება სიმულაციის ნაცვლად

აქვე უნდა გავისხენოთ ჩანაწერი, რომელიც შემოთავაზებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში: **“მოქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა (action-oriented approach) ენების დიდაქტიკის ახალ პარადიგმას წარმოადგენს. განსხვავებით კომუნიკაციური მიდგომისაგან, რომელიც არსებითად ინფორმაციის გაცვლაზე იყო ორიენტირებული, ამ ახალ პარადიგმაში ენების სწავლა-სწავლების მთავარ ამოცანას შეადგენს სოციალურ კონტექსტებში სხვადასხვა ტიპის საქმიანობათა უცხოურ ენაზე განხორციელების უნარების განვითარება. თუკი კომუნიკაციური მიდგომის მთავარ საგაკვეთილო აქტივობას „სიმულაცია“ წარმოადგენდა, ამ ახალი მიმართულების მიხედვით, პროექტული სწავლა-სწავლებაა პრიორიტეტული.”**

ამ კონტექსტში დიდი დატვირთვა ენიჭება კომპლექსური დავალებების შესრულებასა და მათ პრეზენტაციას. თუ განვიხილავთ ჩვენს სახელმძღვანელოში შემოთავაზებული ტიპური კომპლექსური დავალების პირობებს, ადვილად დავინახავთ, რომ ნებისმიერი ნამუშევრის (მიუხედავად იმისა, თუ რა უნარების კომპლექსურად ჩართულობას მოითხოვს იგი) პრეზენტაცია გულისხმობს მოსწავლეების ლაპარაკის კომპეტენციის განვითარებას.

თუ კარგად დავუკვირდებით ჩვენი სახელმძღვანელოს კომპლექსური დავალების პირობებს, დავინახავთ, რომ იქ მხოლოდ ინფორმაციის მოძიება, მისი ნამუშევარში გადატანა, გაფორმება და მომზადება კი არაა მთავარი, არამედ მასზე საუბარიც. მეტიც: მნიშვნელოვანია არამხო-

ლოდ პროდუქტზე/ნამუშევარზე საუბარი, არამედ სამუშაო პროცესზეც ხმამაღალი რეფლექსია. რასაკვირველია, ასეთი საუბრების დროს გარკვეულწილად შეზღუდულები ვართ ქართული ენის მასწავლებლები, მაგრამ თითოეულ სიტყვას, ფრაზას წინადადებას განუზომლად მეტი ფასი აქვს, ვიდრე მშობლიურ ენაზე ექნებოდა. მთავარია მოსწავლე მთელი ქმედებით იყოს ჩართული როგორც ნამუშევრის შექმნაში, ასევე მის ქართულ ენაზევე წარდგენაში.

მშობლიური ენის გამოყენების საკითხი

ბოლოს უნდა შევეხოთ მოსწავლეებისთვის მათი მშობლიური ენების გამოყენების საკითხს საგაკვეთილო პროცესში. ეს საკითხი არ შეეხება მხოლოდ არაქართულენოვან სკოლებში ქართულის ენის სწავლებას, რადგან საკმაოდ პრობლემატურია ნებისმიერი უცხოური ენის (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული...) სწავლების ტრადიცია.

ამ მიმართულებით საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა კი დავძენ, რომ თუკი რაიმეს გასაგებინებლად მოსწავლის მშობლიური ენის გამოყენება გვჭირდება, ესე იგი იმის სწავლება ჯერ ნაადრევია და ენის რეალიზებაში მაინც არ ექნება სათანადო ეფექტი. უმთავრესი არის ქართულად ალაპარაკებული ბავშვი, მშობლიურ ენაზე გრამატიკული ნიუანსების ახსნის გარეშე.

4) წერის უნარის განვითარება

ყველა თავში შემოთავაზებულია ისეთი დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა წერითმეცხველების უნარის განვითარებას. მათგან, ნაწილი ითვალისწინებს წერის, როგორც დამხმარე საშუალების გამოყენებას თუ ლექსიკური მარაგის განვითარების, თუ გრამატიკული საკითხების შესწავლის, თუ საკითხავი მასალის დამუშავების, თუ სხვა იმ მომენტისთვის კონკრეტული პრიორიტეტული მიზნებისთვის.

რაც მთავარია, სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს წერის, როგორც საკომუნიკაციო კომპეტენციის განვითარებას. საბაზო საფეხური უკვე ის ეტაპია, როდესაც ქართულის შემსწავლელი მოსწავლეები ამყარებენ იმ წერით საფუძვლებს, რომლებსაც დაეუფლნენ დაწყებით საფეხურზე. ასევე, ამ დროს უკვე უანობრივ მრავალფეროვნებასაც მოსინჯავენ და თუკი დაბალ კლასებში მხოლოდ აღწერისა და შინაარსის გადმოცემაზე იყვნენ ორიენტირებულები, ამჯერად მოსინჯავენ ისეთი ნამუშევრების შექმნას, როგორიცაა დღიურის ჩანაწერი, ტექსტის ჟანრის ცვლილება და სხვ.

გთავაზობთ რამდენიმე სტრატეგიას წერის უნარის განვითარებისთვის.

ა) მოსწავლის პირადი დღიური

ქვემოთ წარმოდგენილია რეკომენდაცია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის სარესურსო წიგნიდან დღიურების წერის შესახებ, რაც დამხმარე ეფექტური ინსტრუმენტი იქნება საბაზო საფეხურის მოსწავლეებისთვის წერითი კომპეტენციის ჩამოყალიბების გზაზე.

მეთოდის/აქტივობის შესახებ

დღიური წერას ზოგ ქვეყანაში წერის სწავლების წამყვან საშუალებადაც კი იყენებენ. იგი კარგი ინსტრუმენტია წერის შედარებით ფორმალისტულ საფეხურზე (მაგალითად, წერის ხუთსაფეხურიან მოდელზე ან, თუნდაც, ესეების, თხზულებების წერაზე) გადასასვლელად.

ამ აქტივობის სისტემატური გამოყენებით მოსწავლე:

- ინაფება წერასა და კითხვაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე/უცხოური ენის შესწავლისას;
- ითვისებს გრამატიკულ ნორმებს და ინაფება მართლწერაში;

- იძენს თავდაჯერებულობასა და გაბედულებას წერისას;
- ეძლევა თავისუფალი, დამოუკიდებელი აზროვნებისა და რეფლექსიის საშუალება;
- უკეთ ხედავს და აცნობიერებს საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს.
- მსვლელობა
- მოსწავლე დღიურისათვის საკუთარი გემოვნებით შეარჩევს რვეულს ან ბლოკნოტს;
- იგი დღიურში წერს იმაზე, რაც აინტერესებს და რაზეც სურს წერა. იშვიათ შემთხვევაში მასწავლებელი დიდი სიფრთხილით შესთავაზებს მას სანერ თემას;
- მოსწავლეები დღიურში ჩანაწერს აკეთებენ ყოველდღიურად ან კვირაში რამდენჯერმე მაინც. მნიშვნელოვანია არა ჩანაწერის მოცულობა, არამედ სისტემატურობა;
- დღიურის წერის დასაწყებად საკმარისი არაა მხოლოდ ინსტრუქცია. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს მოდელირება — უნდა გააკეთოს რამდენიმე ჩანაწერი და ხმამაღლა წაუკითხოს მოსწავლეებს. ასეთი მოდელირება სჭირდება ყველას, განსაკუთრებით საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, რადგან სიმორცხვის დაძლევისა და სისტემურობის გამოუმუშავება ამ ასაკში მეტად მნიშვნელოვანია;
- მოსწავლეები თავიანთ ჩანაწერებს აფორმებენ ნახატებით, ორნამენტებით, სტიკერებით.
- ყველა ჩანაწერს უთითებენ თარიღს;
- მასწავლებელი მსურველებს აძლევს საშუალებას, თავიანთი დღიურის ჩანაწერები წაუკითხონ კლასს ან რომელიმე მოსწავლეს (სურვილისამებრ);
- მასწავლებელი პერიოდულად აგროვებს დღიურებს და შიგ ჩანერს ან ჩააკრავს განმავითარებელ, წამახალისებელ კომენტარებს;
- წერილობითი თუ ზეპირი უკუკავშირისას მასწავლებელი ყურადღებას ძირითადად ამახვილებს ჩანაწერების შინაარსზე და არა წერის ტექნიკურ და ფორმალურ მხარეებზე;
- კომენტარები მხოლოდ განმავითარებელი, წამახალისებელი უნდა იყოს. დაუშვებელია ნიშნების ან სხვა სახის განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება.
- ჩასწორებების შემდეგ მოსწავლე ხელახლა კითხულობს თავის ნაწერს, რათა გაეცნოს მასწავლებლის შენიშვნებს, შესწორებებს და შემდგომში გაითვალისწინოს.

შენიშვნა:

მოსწავლის დღიურში შეცდომების გასწორება მიზანშეწონილი არ არის, რადგან შესწორებებით აჭრელებული ჩანაწერი მოსწავლეს უკარგავს მოტივაციას, ან მისი ყურადღება წერის ტექნიკურ ასპექტებზე გადააქვს;

შესაძლებელია საკლასო ოთახში გამოიყოს საგანგებო ადგილი (კარადის თარო, უჯრა), სადაც მოსწავლეები პერიოდულად დააწყობენ დღიურებს, იმ შემთხვევაში, თუ სურთ კლასელებისთვის საკუთარი ნააზრევის, ემოციის გაზიარება.

შესაძლო თემები პირადი დღიურის ჩანაწერებისთვის

- ჩემი მეგობარი
- ასეთი რამ არასოდეს განმიცდია
- მინდა გითხრათ, რომ
- რა მწყინს, რა მიხარია
- როგორ ველოდი ამ დღეს
- არაფერი გამოვიდა
- რატომ ვერ ხვდებიან
- მინდა მყავდეს


- არასოდეს დამავინცდება
- ახლოვდება ზაფხული
- როცა წვიმს
- ყველაზე მეტად მიყვარს
- მე გირჩევთ

ბ) დანერგე მოთხრობა


კიდევ ერთი საინტერესო ინსტრუმენტს გთავაზობთ შემოქმედებითი წერის უნარის განვითარებისთვის, რომელსაც კარგად უნდა იცნობდნენ ჩვენი მასწავლებლები. ეს ონლაინინსტრუმენტი მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა ჟანრში მოსინჯონ თავიანთი შესაძლებლობები.

როგორ მუშაობს პროგრამა?

საიტზე: <http://kargiskola.ge/dawere/> შესვლისას გაიგონებთ ჩიტების სასიამოვნო ჭიკჭიკს და ნახავთ შესვლის ლილაკს:



შესვლის შემდეგ აღმოჩნდებით სამი ყუთის სივრცეში, სადაც პირველი ყუთიდან აარჩევ პერსონაჟს, მეორე ყუთიდან აარჩევ ამ პერსონაჟის თვისება, მესამე ყუთიდან კი — პრობლემას, რომელიც ამ პერსონაჟმა უნდა დაძლიოს.



შეგიძლია რამდენიმეჯერ შეცვალო სამივე მათგანი და შენთვის სასურველი შეარჩიო. ფოტოზე გამოსახული ამის ნიმუში: დირექტორი, რომელსაც კარუსელზე დაჯდომის ემინია და რომელსაც ყვავმა საფულე გამოსტაცა.


ნითელ ისარზე დაწკაპებით გადახვალ შემდეგ სივრცეში, სადაც შეგიძლია ამოირჩიო სასურველი ჟანრი: წერილი, მოთხრობა/ზღაპარი, დღიური თუ სტატია.




ჩვენ მაგალითისთვის შევარჩიეთ მოთხრობა/ზღაპარი:



ისევ დავაჭირეთ ნითელ ისარს და ნახეთ რა გამოგვივიდა... მართალია, დასრულებული არაა, მაგრამ მაინც საინტერესოა:



მუშაობის დროს შეგიძლია სხვადასხვა ზომისა და ფერის შრიფტის გამოყენება, ნახატის ჩახატვა ან სურათის ატვირთვა-ჩამატება და ბოლოს, როდესაც დაასრულებ, შენახვაც:



ამ პლატფორმაზე წერიტი ნამუშევრების შექმნისას ბავშვები გაიმდიდრებენ ლექსიკურ მარაგს, ჩამოუყალიბდებათ ამბის შეთხზვისა და გადმოცემის უნარი. კარგი იქნება, თუ მას გამოვიყენებთ კომპლექსური დავალების ფორმატში და მოსწავლეებს შევთავაზებთ ზეპირ პრეზენტაციებსაც და დავუსვამთ რეფლექსიური ხასიათის შეკითხვებსაც:

- როგორ დაინწყეს მუშაობა? როგორ შეარჩიე პერსონაჟი, თვისება და პრობლემა?
- რატომ შეარჩიეს ესა თუ ის ჟანრი?
- როგორ წარმართეს დაწერის პროცესი? (წინასწარ მოიფიქრეს თუ არა იდეები, დაწერეს თუ არა შავი ვარიანტი და შესწორებების შეტანის შემდეგ როგორ მიიღეს საბოლოო ვარიანტი და სხვ.)

დამატებითი რეკომენდაციები ქართული ენის მასწავლებლებისთვის წერის სწავლების მიზნით (საქართველოს დანყებითი განათლების პროექტის მიხედვით)

- არაქართულენოვან სექტორში ქართული ენის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს და გამოიყენოს ის ფაქტორი, რომ მოსწავლეს გამომუშავებული აქვს მშობლიურ ენაზე წერის უნარი. შესაბამისად, ქართულ ენაზე წერის შესწავლისას მოსწავლეებს წერის სწავლის გარკვეული გამოცდილება უკვე აქვთ. ამ გამოცდილებას ისინი აუცილებლად გამოიყენებენ ქართულად წერის დროსაც.
- სასურველია, ქართულად და მშობლიურ ენაზე წერის სწავლება წარიმართოს ერთგვაროვანი მიდგომებითა და მეთოდებით. მეორე ენაზე წერის შედეგების გასაზრდელად უნდა ვიმუშაოთ ზეპირმეტყველების უნარების განმტკიცებითა და ლექსიკური მარაგის მეტად და მეტად გამდიდრებით. ამის პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს გრამატიკული საკითხების სათანადო და არამომბზებელი დამუშავება.

- საჭიროა წერის სწავლების კონტექსტუალიზაცია და მისი ავთენტურ შინაარსზე მორგება. ამისთვის გასათვალისწინებელია რამდენიმე რჩევა:
- მოსწავლე წერის პროცესში თავს უნდა გრძნობდეს კომფორტულად, როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური (შეაქებენ, მოუწონებენ...) თვალსაზრისით.
- მოსწავლეს უნდა ესმოდეს, რას წერს და რისთვის წერს.
- წერის აქტივობა ინტეგრირებული უნდა იყოს სხვა ენობრივი მიმართულებების სწავლებასთან.
- ყურადღება გავამახვილოთ არა შეცდომებზე, არამედ წერის დროს გამოვლენილ ძალისხმევასა და შედეგზე;
- დავაფიქსიროთ შეცდომები არა ხაზგასასმელად და კრიტიკული შენიშვნების მისაცემად, არამედ მომავალში მათი აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობების დასაგეგმად. გასათვალისწინებელია, რომ მეორე ენაზე შეცდომების გამოსწორება ვერ მოხერხდება გარკვეული ენობრივი გამოცდილების დაგროვების გარეშე, რაც, შესაძლოა, წლების განმავლობაშიც კი გაგრძელდეს. ამიტომ უნდა მივეჩვიოთ წერის დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომის საერთოდაც უგელებელყოფას.

5) ლექსიკის სწავლება

როგორც ვიცით, ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობა ქართულის, როგორც უცხოური ენის ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ წარმართება ეს პროცესი – იქნება იგი შემოფარგლული მხოლოდ სალექსიკონო რვეულებში სიტყვების ჩანერითა და მათზე მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე განმარტებების მიწერით, თუ დატვირთული იქნება მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით.

რა უნდა გავითვალისწინოთ ლექსიკის სწავლებისას? უპირველესად, ლექსიკური თვალსაზრისით უნდა შევავსოთ ის ტექსტები, რომლებსაც ვიყენებთ მოსწავლეებთან. რასაკვირველია, სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შერჩეული და შექმნილია ისეთი ტექსტები, რომლებიც შეესაბამება მეცხრე კლასელების მზაობასა და ინტერესებს, მაგრამ ამ სახელმძღვანელოს გამოყენებისას მასწავლებლის მიერ წარმართულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

კონკრეტულ კლასში გადაწყვეტილება მასწავლებელმა უნდა მიიღოს და დაგეგმოს თავისი მოსწავლეებისთვის საჭირო ქმედებები. მაგალითად, თუკი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ ტექსტში გამოყენებული ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა ძნელი გასაგები აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის, მაშინ იგი დამატებით ამ სიტყვაზეც გაამახვილებს ყურადღებას. ეს შეიძლება მოხდეს როგორც ტექსტის წაკითხვამდე (ან თუკი ვასმენინებთ – მოსმენამდე), ასევე ტექსტის წაკითხვის პროცესში და წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც.

სახელმძღვანელოში შემოთავაზებულია სიტყვებზე მუშაობის სხვადასხვაგვარი ფორმატი.

მათგან ზოგი ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე ხორციელდება, ზოგიერთი წაკითხვისა და მოსმენის (ცოტა რთულია ეს ამოცანა) დროს, ხოლო ზოგჯერ წაკითხვის/მოსმენის შემდეგაც ითვალისწინებს მოსწავლეების კონცენტრაციას.

ქვემოთ შემოთავაზებულია ის ეფექტური მეთოდები, რომელთა უმრავლესობა სახელმძღვანელოშიცაა ჩანერგილი სხვადასხვა ადგილას. დანვრილებით ამ და სხვა მეთოდების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დანყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) მიერ შექმნილ კრებულში „კითხვისა და წერის სწავლება დანყებით საფეხურზე“, თბ. 2015.

როგორ შევარჩიოთ სიტყვები, რომლებსაც სათანადო ყურადღებას დავუთმობთ?

მართლაც არ ღირს ყველა სიტყვა იმად, რომ მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება

დაუთმოს გაკვეთილებზე. რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სიტყვებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ?

უპირველესად, განვსაზღვროთ, რას ნიშნავს მნიშვნელოვანი სიტყვები ქართულის, როგორც მეორე/უცხოური ენის სწავლებისას. უპირველესად, ეს არის ის სიტყვები, რომლებიც აუცილებელია კონკრეტული სიტუაციის ან კონკრეტული ტექსტის გასააზრებლად. ზოგჯერ ასეთ სიტყვებს „საკვანძო სიტყვები“ შეიძლება ვუწოდოთ. ასეთ სიტყვებს მასწავლებელმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და მოსწავლეებს სხვადასხვა კონტექსტში გაააზრებინოს და გამოაყენებინოს.

კარგი იქნება, თუ მასწავლებელს გააზრებული ექნება სიტყვების კატეგორიები მათი გამოყენების სიხშირის მიხედვით. ენაში არსებობს შედარებით ხშირად გამოყენებული, ნაკლები სიხშირით გამოყენებული და იშვიათად ხმარებული სიტყვები. რომელი კატეგორიის სიტყვებს უნდა მიაქციოს მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება? რასაკვირველია, ე. წ. ხშირ სიტყვებს.

თავისთავად ცხადია, რომ „თორემა“, „კრამიტი“, „ბრაუზერი“ და სხვები ხშირი სიტყვებია და ამ რიგის სიტყვების ცოდნა მეცხრეკლასელი მოსწავლეებისთვის აუცილებელი და პრიორიტეტულია; „წინათგრძნობა“, „ბრტყელტურა“, „გაუჩინარებული“ ნაკლები სიხშირით ხმარებული სიტყვებია; „ბობოლა“, „ამალა“, „ოინი“ კი იშვიათად ხმარებული სიტყვებია.

სიტყვების შერჩევისას და მათზე ყურადღების გამახვილებისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ დონეზეა მოსწავლე. მაგალითად, დამწყებ დონეზე (A1 დონე) მყოფი მოსწავლისთვის ყურადღება ე. წ. ხშირ სიტყვებზე უნდა გავამახვილოთ. A2 დონეზე შეიძლება ვიმუშაოთ ნაკლები სიხშირით გამოყენებულ სიტყვებზეც, ხოლო იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე ყურადღების გამახვილება მხოლოდ B1, C1 და C2 დონეებზე ეგების. ყურადღება მიაქციეთ ბოლო სიტყვას წინა წინადადებაში: „ეგების“ რომელი კატეგორიის სიტყვაა? რასაკვირველია, იგი იშვიათად გამოყენებული სიტყვაა და მას ჩვენ არც კი გამოვიყენებთ A1 და A2 დონეებზე მყოფ მოსწავლეებთან. შესაბამისად, თუკი მეცხრეკლასელებთან ჩვენ უკვე B1 დონეზე ვმუშაობთ, უკვე დაგვჭირდება ქართულში იშვიათად ხმარებულ სიტყვებზე აქცენტირებაც, კონკრეტული სასწავლო თემატიკის ფარგლებში, რასაკვირველია.

როგორ შევაფასოთ ტექსტები ლექსიკური თვალსაზრისით?

ჩვენ ტექსტებს სასწავლო სიტუაციისთვის ვიყენებთ ხოლმე. თუმცა მოსწავლეებისთვის ტექსტების შერჩევა გვჭირდება დამოუკიდებელი კითხვის მიზნითაც. რასაკვირველია, სასწავლო სიტუაციისთვის შედარებით „რთული“ ტექსტებიც შეგვიძლია გამოვიყენოთ და შემდეგ ჩვენ დავხმაროთ ამ სასწავლო სირთულეების დაძლევაში, მაგრამ დამოუკიდებელი კითხვისთვის ჩვენი დახმარება შეუძლებელი იქნება.

ტექსტების სირთულის გაზომვის მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ ე. წ. „ხუთი თითის წესი“, რაც გულისხმობს შემდეგს: ავიღებთ ტექსტს და ვკითხულობთ პირველ გვერდზე. თითო თითს მოვკეცავთ იმ შემთხვევაში, თუკი შეგვხვდება ისეთი სიტყვა, რომელიც ჩვენს მოსწავლეს არ ეცოდინება. თუკი ერთ გვერდზე ასეთი სიტყვების რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, მაშინ ასეთი ტექსტის მიწოდება მისაღებია ჩვენი მოსწავლეებისთვის. ხოლო თუკი უცნობი სიტყვების რაოდენობა ერთ გვერდზე ხუთს აღემატება, მაშინ ასეთი ტექსტის გამოყენება არაა რეკომენდებული.

რასაკვირველია, ხუთი სიტყვა საშუალო მაჩვენებელია და თუკი ტექსტს ვიყენებთ სასწავლო სიტუაციაში, რაც გულისხმობს მასწავლებლის დახმარებას საჭირო მომენტში, შესაძლოა, ვისარგებლოთ ისეთი ტექსტითაც, რომელშიც ხუთზე მეტი სიტყვა იქნება უცნობი. ოღონდ ეს რაოდენობა მკვეთრად ვეღარ გაიზრდება.

ამ მიმართულებით უნდა გავითვალისწინოთ ერთი მომენტიც. ზოგჯერ, შესაძლოა აღემატე-

ბოდეს კიდე უცნობ სიტყვათა რაოდენობა პედაგოგიკურად დასაშვებ ზღვარს, მაგრამ მასწავლებელმა მაინც გადაწყვიტოს მისი სასწავლო პროცესში გამოყენება, თუკი ეს ტექსტი წარმოადგენს მოსწავლეთათვის მშობლიურ ენაზე უკვე ნაცნობ ტექსტს ან კონტექსტს. მაგალითად, თუკი ქართულ ენაზე ვთავაზობთ საყოველთაოდ გავრცელებულ რომელიმე მსოფლიო კლასიკურ ნაწარმოების ფრაგმენტებს ან საყოველთაოდ ცნობილ რომელიმე ისტორიულ მოვლენას ან ხელოვნების ნიმუშს და სხვ. ცხადია, ეს „გადაჭარბება“ უნდა ჯდებოდეს გონივრულობის ფარგლებში, რასაც, გავიმეორებთ, მასწავლებელი შეაფასებს ყველაზე უკეთ.

როგორ ვიმუშაოთ უცნობი სიტყვების განმარტებაზე?

ხშირად სვამენ მასწავლებლები შეკითხვას, თუ როდის უნდა დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში; არის მეორე საკითხიც, როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში. ჯერ პირველ შეკითხვას ვუპასუხოთ, შემდეგ – მეორეს.

მოსწავლეებს უცნობი სიტყვების განმარტებაში შეიძლება დავეხმაროთ ნებისმიერ დროს – იქნება ეს ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის პროცესში თუ ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ. უკეთ რომ ვთქვათ, მოსწავლეები უნდა მივაჩვიოთ სამივე ფორმატის დახმარებას. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული ფორმატი.

მასწავლებლის მიერ დასამუშავებელი ტექსტის წინასწარი შეფასება და მომზადება გულისხმობს მასში ისეთი სიტყვების გამოკვეთასაც, რომლებიც მოსწავლეებისთვის სავარაუდოდ უცნობი იქნება. ამავე ეტაპზე კარგია, თუ შერჩეულ სიტყვებში მოვნიშნავთ ისეთებსაც, რომლებსაც მოსწავლეებს წინასწარ, ტექსტის წაკითხვამდე/მოსმენამდე განვუმარტავთ. ეს გაუადვილებს მათ ტექსტის გაგებას. რასაკვირველია, შეიძლება დავტოვოთ ზოგიერთი სიტყვა, რომლებსაც მივანდობთ მოსწავლეებს, რათა მათ მათი ამოცნობა მოახერხონ კონტექსტური გასაღებების (ილუსტრაცია, თემატური კონტექსტი, აზნაცისა და წინადადების კონტექსტი...) დახმარებით. რასაკვირველია, ტექსტის წაკითხვის/მოსმენის შემდეგ მათზე უნდა გამახვილდეს სათანადო ყურადღება.

ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე ორიენტირებული ზოგიერთი მეთოდი/სტრატეგია


ა) სიტყვის პირამიდა

სქემას აქვს სამკუთხედის ფორმა, რომლის პირველ, ზედა ზოლში იწერება სიტყვა, რომელზეც გვინდა ყურადღების გამახვილება, რომელიც ხანგრძლივად და ღრმად უნდა დარჩეს მოსწავლის გონებაში. მეორე ზოლში იწერება ამ სიტყვის განმარტება. მოსწავლეებმა თავიანთი სიტყვებით უნდა ახსნან ამ სიტყვის მნიშვნელობა. ცხადია, ეს ახსნა არ და ვერ იქნება სრულფასოვანი, შესაძლოა, ზოგჯერ უზუსტობაც გაიპაროს, მაგრამ მთავარია, მოსწავლე ცდილობდეს ამ სიტყვის მნიშვნელობის გადმოცემას სხვა, მისთვის ნაცნობი სიტყვებით. აგრეთვე, მოსწავლეები წარმოაჩინენ თავიანთ შემოქმედებით, ორიგინალურ ხედვასაც, რაც, შესაძლოა, მეტად საინტერესო და სახალისოც აღმოჩნდეს. მესამე ზოლში ჩაინერება წინადადება, რომელშიც მოსწავლე გამოიყენებს ამ სიტყვას.

ვარიაცია 1: როდესაც ტექსტზე ვამუშავებთ, შესაძლოა, მასწავლებელმა ოთხდონიანი პირამიდა შესთავაზოს ბავშვებს და წინადადების მოფიქრებამდე იმ წინადადების ამოწერა მოსთხოვოს ტექსტიდან, რომელშიც ეს სიტყვაა გამოყენებული. ანუ ზემოდან მესამე ზოლში ტექსტის წინადადება იქნება ამ სიტყვის გამოყენებით, ხოლო მეოთხე, ქვედა ზოლში – უკვე ბავშვების მიერ მოფიქრებული წინადადება, ცხადია, ამ სიტყვის გამოყენებით.


ვარიაცია 2. შესაძლოა, მასწავლებელმა მოსწავლეებს ან მოსწავლეთა ნაწილს მეორე ზოლში განმარტების ნაცვლად შესთავაზოს სიტყვის შესაბამისი ილუსტრაციის ჩახატვა. ან მოსწავლე


თვითონ აირჩევს, განმარტება ჩანეროს, თუ ილუსტრაცია ჩახატოს. ცხადია, მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს მის მიერ მოფიქრებული, ალტერნატიული ვერსია.



ბ) ფრეიერის სქემა

(ასეთი სქემების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს დანწყებითი განათლების პროექტის მიერ მომზადებულ წიგნში, რომელიც განთავსებულია პორტალზე „კარგი სკოლა“ kargiskola.ge)





გ) სიტყვის (ცნების) რუკის ვარიანტი

სიტყვის/ცნების რუკა (ვარიანტი)

სიტყვა	
განმარტება	
სინონიმი	ანტონიმი
ფრაზა/წინადადება ტექსტიდან	
მოსწავლის ფრაზა/წინადადება	

სიტყვის/ცნების რუკა (ვარიანტი)

სიტყვა წყვდიადი	
განმარტება უშუქო, უსინათლო მდგომარეობა, როდესაც არაფერი ჩანს.	
სინონიმი სიბნელე	ანტონიმი სინათლე
ფრაზა/წინადადება ტექსტიდან ჰარი პოტერის წასვლის წინ წყვდიადი ჩამოწვა.	
მოსწავლის ფრაზა/წინადადება გათენების წინ წყვიადი დგება ხოლმე.	

დ) დაკარგული სიტყვები

(გამოყენებულია პორტალის mastsavlebeli.ge სტატია)

ერთ-ერთი სასარგებლო, გავრცელებული და კომპლექსური სტრატეგია ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე სამუშაოდ არის ე. წ. დაკარგული სიტყვები. იგი ავითარებს ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის უნარს, ხელს უწყობს ნაკითხული ტექსტის გააზრებას. ამ აქტივობის დროს მასწავლებელი ტექსტში გამოტოვებს სიტყვებს და ისე ურიგებს მოსწავლეებს. მოსწავლეებმა კი უნდა „იპოვონ“, მიხვდნენ და შეავსონ ტექსტი, გამოტოვებულ ადგილებზე ჩანერონ „დაკარგული“ სიტყვები.

ამ მეთოდის გამოყენება სასარგებლოა ტექსტის ნაკითხვის ფაზაზე, შესაძლოა, იგი შევთავაზოთ ნაკითხვის შემდეგაც. მთავარია, აქტივობის დროს გამოყენებული ტექსტი შერჩეული უნდა იყოს სწორედ მოსწავლეთა მზაობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

ამ მეთოდის რამდენიმე ვარიანტი არსებობს და გთავაზობთ ყველა შესაძლო მათგანს, რისთვისაც გამოვიყენებთ ჩვენს სახელმძღვანელოში გამოყენებულ ტექსტებს. სანამ თითოეული ვარიანტის ახსნა-განმარტებას ნაკითხავთ, ჯერ დაუკვირდით თითოეულ ნიმუშს, თუ რა პრინციპია გამოყენებული სიტყვების „დასაკარგად“, ამის შემდეგ გაეცანით ვარიანტის განმარტებას.

ნიმუში: რომელმა ბავშვმა არ იცის, რა არის ----- ან კარტოფილი, შოკოლადი ან მზესუმზირა? იცნობ ----- ბავშვს? არადა, საქართველოში, კავკასიაში და საერთოდ, ----- ევროპასა და აზიაში იყო დრო, როცა ----- იცოდა შოკოლადის, შემწვარი კარტოფილის, მოხარშული სიმინდის, ----- მზესუმზირას, პამიდვრის, ლობიოსა და გოგრის გემო.

აქ გამოტოვებულია ყოველი მეშვიდე სიტყვა (პამიდორი, ასეთ, მთელ, არავინ, მოხალული) თუკი მოსწავლეთა მზაობის მიხედვით მასწავლებელს უფრო გართულება სურს დავალების და ტექსტიც იძლევა ამის საშუალებას, შეიძლება ყოველი მეექვსე სიტყვა ამოიღოს. ასე გართულებ-

ბულ დავალებას მოსწავლეთა რომელიმე ჯგუფს შევთავაზებთ და ამ მიდგომას სწავლების დიფერენცირებითვის გამოვიყენებთ. აქვე დავამატოთ, რომ შესაძლებელია „დაკარგული“ სიტყვები არეული თანმიმდევრობით შევთავაზოთ მოსწავლეებს, შეიძლება, არც შევთავაზოთ.

II ნიმუში: იმ დროს ევროპასა და აზიაში ჯერ ----- (ყველა/არავინ) ენოდა სიგარეტს (და ძალიანაც კარგი!); არავინ ----- (უმატებდა/აკლებდა) ვანილს ნამცხვარში; არავის ჰყავდა ინდაური და (მდიდრებს/არავის) ჰქონდა ჰამაკი. არც ანანასი იცოდა ვინმემ, ----- (რა/ვინ) იყო. რატომ არ იცოდნენ? იმიტომ, რომ ----- (მზე/მზესუმზირა), კაკაო, კარტოფილი, სიმინდი, პამიდორი, ლობიო, გოგრა, ----- (თამბაქო/სიგარეტი) და ანანასი აქ არ იზრდებოდა.

აქაც ყოველი მეშვიდე სიტყვაა გამოტოვებული, ოღონდ ფრჩხილებში შეთავაზებულია სიტყვათა წყვილი, რომელთაგან მოსწავლე შეარჩევს საჭირო მათგანს. ამ პრინციპით აგებული სავარჯიშო პირველ ნიმუშთან შედარებით ადვილად შესასრულებელია და მოსწავლეებს ნაკლები ძალისხმევა დასჭირდებათ. თუმცა, დავიმახსოვროთ, რომ „დაკარგულ სიტყვებზე“ მუშაობისას არა იმდენად სიტყვების სწორად შერჩევაა მთავარი, რამდენადაც საკუთარი არჩევანის გაკეთებაზე თვალის მიდევნება და ამ კოგნიტური პროცესის ხმამაღლა გადმოცემა, გასიტყვება.

III ნიმუში: მთელ ევროპასა და აზიაში არავინ ----- ვანილის გემო, ჰამაკის გაკეთება. არავის ----- ინდაური. აბა, სადაური ფრინველია ინდაური? სადაური მცენარეებია კარტოფილი, პამიდორი, ლობიო, სიმინდი, კაკაო, თამბაქო, ანანასი და ვანილი? სად ----- ადამიანებმა პირველად ჰამაკი? საიდან ----- ეს ყველაფერი ევროპასა და აზიაში? ეს ყველაფერი ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკიდან -----.

აქ სხვა პრინციპითაა გამოტოვებული სიტყვები. ესენია: იცოდა, ჰყავდა, გააკეთეს, მოვიდა (2ჯერ). ანუ ერთგვაროვანი სიტყვებია გამოტოვებული, მიუხედავად იმისა, თუ სადაა ტექსტში განთავსებული ეს სიტყვა. ასეთი მიდგომა ამ მეთოდისადმი განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც მასწავლებლები ერთი ტექსტის ფარგლებში აქცენტს აკეთებენ ერთი რიგის (მაგალითად, ზმნიზედებზე, ზედსართავებზე, ამ შემთხვევაში ზმნებზე და ა. შ.) სიტყვებზე.

IV ნიმუში: ჰამაკის გაკეთება ინდიელებმა ----- (ისწავლეს/ასწავლიან/ასწავლეს) ევროპელებს. ინდიელებმა ----- (ანახეს/ნახავენ/ნახონ) ევროპელებს პირველად ინდაური. ეს სახელიც ამიტომ ----- (არქმევენ/ჰქვია/დაარქვეს) — შეადარე: ინდიელი, ინდაური. ინდიელებმა ----- (ისწავლეს/ასწავლეს/ სწავლობენ) ევროპელებს ასევე კარტოფილის, პამიდურის, ლობიოს, სიმინდის, გოგრის, მზესუმზირასა და თამბაქოს მოყვანა. ძველმა მოგზაურებმა ამერიკიდან ევროპამდე გემებით ----- (მოაქვეთ/მოიტანეს/მოიტანენ) ამ მცენარეების თესვები და შემდეგ ისინი ნელ-ნელა ----- (ვრცელდება/გავრცელდა/გავრცელებენ) აზიურ ქვეყნებშიც.

აქაც ერთგვაროვანი სიტყვებია, აქაც ზმნები, გამოტოვებული, ოღონდ ფრჩხილებში შეთავაზებულია არა სიტყვათა წყვილები, არამედ სამეულები და სწორი ვარიანტი მოსწავლემ სამი ზმნური ფორმიდან უნდა აარჩიოს. შეამჩნევდით, რომ ზოგიერთ ადგილზე შესაძლოა ჩაისვას არამხოლოდ ერთი მათგანი, არამედ ორიც კი. ასეთი მომენტების პრევენტაციის დროს განხილვა და სათანადო დასკვნის გაკეთება მოსწავლეების ლექსიკურ ერთეულებზე მუშაობის უნარის განვითარების გარდა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებასაც უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ამ კონკრეტული ნიმუშით მასწავლებელი ცდილობს ზმნების სათანადო ფორმის შერჩევაში

განაფოს მოსწავლეები, თუმცა, შესაძლებელი იყო განსხვავებული მნიშვნელობის ზმნებიდანაც (მაგალითად, ასწავლეს/გაუგზავნეს/ ურჩიეს) ამოერჩიათ საჭირო მათგანი. ამას მასწავლებელი გადაწყვეტს საკუთარი საკლასო საჭიროებებიდან გამომდინარე.

IV ნიმუში: ამ მოვლენების გამო ყველა ----- (ქვეყანას/ქვეყნის) სამზარეულო შეიცვალა: ჩვენ ახლა გვაქვს მზესუმზირას ზეთი, პამიდვრის სალათი, ----- (**ბავშვების/ბავშვები**) საყვარელი შემწვარი კარტოფილი, სხვა ათასი კერძი ----- (პამიდვრითა/პამიდვრისა) და კარტოფილით, ლობიო, სიმინდი, გოგრა და კაკაო. მაგრამ მე-15 საუკუნემდე ევროპაში არავინ იცოდა ამ ----- (მცენარეებს/მცენარეების) შესახებ. ამერიკული მცენარეების ევროპაში ----- (მოგზაურობის/მოგზაურობას) ისტორია 1492 წლიდან იწყება. კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში ეს მცენარეები კიდევ უფრო გვიან — მე-19 საუკუნეში გამოჩნდა. ორასი წელიც არაა, რაც საქართველოში კარტოფილს, ----- (პამიდორი/პამიდორს) და სხვა ამერიკული მცენარეების ----- (ნაყოფის/ნაყოფს) ჭამენ.

ამ ვარიანტიც ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა ფორმაა შემოთავაზებული. ეს ვერსია, ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შემსწავლელებისთვის სასარგებლო და არცთუ ადვილი ამოცანა იქნება, რადგან ასეთი საჭიროებები არათუ მეცხრეკლასელ მოსწავლეებთან, არამედ უფრო მაღალ კლასებშიც იჩენს ხოლმე თავს. მასწავლებელი გადაწყვეტს ორი ფორმა შესთავაზოს მოსწავლეებს თუ — სამი. შესაძლოა, სამი ფორმის შეთავაზება დიფერენცირებული სწავლების მიზნებისთვისაც გამოიყენოს.

ბოლოს დავსძენთ, რომ მეშვიდე კლასის სავარჯიშოების რვეულში შეგხვდებათ „დაკარგული სიტყვების“ მეთოდის მიხედვით შედგენილი აქტივობები, მაგრამ მასწავლებელს საკუთარი შეხედულების მიხედვით შეუძლია დაამზადოს ასეთი სამუშაო ფურცლები რომელიმე ზემოთაღნიშნული ვარიანტის მიხედვით.

არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ თითოეული ზემოთ განხილული ვარიანტის პრეზენტაციისას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა იმსჯელონ შემდეგი შეკითხვების მიხედვით:

- როგორ ამოიცანი საჭირო სიტყვა?
- იყო თუ არა ეს სიტყვა შენი პირველივე ვარიანტი?
- ხომ არ გქონდა ალტერნატიული ვერსია?
- რა დაგეხმარა სიტყვათა შემოთავაზებული წყვილიდან/სამეულიდან სასურველის შერჩევაში.
- შეიძლება თუ არა შენ მიერ შერჩეული სიტყვის გარდა სხვა სიტყვა გამოვიყენოთ იმავე ადგილას?..

ე) მოსწავლის სალექსიკონო რვეული

ჩვენი მე-5 კლასის სახელმძღვანელოში ერთი ასეთი დავალება იყო სავარჯიშოების რვეულის პირველივე თავში:

შექმენი ილუსტრირებული ლექსიკონი – ჩამოწერე ის ახალი სიტყვები, რომლებიც ამ თავში ისწავლე. სიტყვების გასწვრივ დახატე შესაბამისი ილუსტრაციები. შენს ლექსიკონს თანდათან მიამატე ახალ-ახალი სიტყვები, რომლებსაც სხვადასხვა თავის შესწავლისას გაიგებ და სასწავლო წლის ბოლოს საინტერესო ილუსტრირებულ ლექსიკონს მიიღებ.

რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუკი მოსწავლე ამ საქმიანობისთვის ცალკე შეარჩევს სქელს

რვეულს და სიტყვებზე სისტემატურად მუშაობის შემთხვევაში, მოსწავლე თანდათან მიიღებს საკუთარ ლექსიკონს, რომელშიც, გარდა ორენოვანი განმარტებებისა, იქნება ნახატებიც, საკუთარი განმარტებები, ენობრივი კონსტრუქციები, „სიტყვის პირამიდები“, „ფრეიერის სქემები“, „სიტყვის/ცნების რუკები“ და სხვა საინტერესო სქემები. ასეთი რვეულის, ნამუშევრის პერიოდულად და მოგვიანებით (თუნდაც რამდენიმე წლის შემდეგ) გადათვალთვალება ყოველთვის სასარგებლო და სასიამოვნო მოგონებებს აღძრავს ენის შემსწავლელში.

----------*

ყურადღებას აღარ გავამახვილებთ ლექსიკაზე მუშაობის გავრცელებულ სტრატეგიებზე: ილუსტრაციაზე სიტყვების დაკავშირება, ილუსტრაციაზე სპეციალურად ცარიელ ადგილებზე სიტყვების ჩასმა-ჩაწერა, ასოთლაბირინთებში სიტყვათა იდენტიფიცირება, წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებში შესაბამისი სიტყვების ჩასმა, ორი სიტყვიდან სასურველის არჩევა და მისი ჩასმა სათანადო ადგილზე, ტექსტში გამოტოვებული სიტყვების აღდგენა, უცნობის სიტყვების მნიშვნელობების წინასწარმეტყველება და შემდეგ კონტექსტის მიხედვით ამოცნობა, სინონიმებისა თუ ანტონიმების დაკავშირება, სიტყვათწარმოებასთან დაკავშირებული აქტივობები, კონკრეტული სიტყვის/ცნების ილუსტრირება, სიტყვის შესაბამისი ზუსტი და არაზუსტი მაგალითების (ე. წ. კი და არა მაგალითები) მოფიქრება და სხვა მრავალი. ეს და სხვა ტიპის დავალებები და სავარჯიშოები მრავალად შეგხვდებათ მე-9 კლასის სახელმძღვანელოს მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში.

6) გრამატიკის სწავლება

გრამატიკის სწავლების მიზნით სახელმძღვანელოში მოცემულია მრავალფეროვანი დავალებები და სავარჯიშოები. შეიძლება წარმოვადგინოთ მოკლე სქემა, თუ როგორაა დამუშავებული გრამატიკის ქუდქვეშ გაერთიანებული ქვეცნებები და საკითხები.

თითოეული, საფეხურბრივი პროგრამით შემოთავაზებული, კლასების მიხედვით დანაწილებული გრამატიკული საკითხი შერჩეულია იმ კონკრეტული თემისთვის, რომელშიც უკეთესად გაიშლება, როგორც ტექსტუალური, ასევე კონტექსტუალური თვალსაზრისით. სახელმძღვანელოში, როგორც წესი, მოსწავლის წიგნში წარმოდგენილია ე. წ. გრამატიკული ბლოკები, სადაც წარმოდგენილია თეორიული მასალა შესაბამისი ნიმუშებითა და მაგალითებით. ამ გრამატიკულ ბლოკში წარმოდგენილი საკითხი, როგორც აღვნიშნეთ, უკავშირდება ამავე თავში შემოთავაზებულ მხატვრულ თუ არამხატვრულ ტექსტებს და ხშირ შემთხვევაში ნიმუშებიც იქიდანაა მოწოდებული. მეორე მხრივ, თითოეული საკითხი დამუშავებულია სავარჯიშოებშიც.

შესაძლებელია, ზოგიერთ შემთხვევაში, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილისთვის არ იყოს საკმარისი სავარჯიშოების რვეულის მიხედვით მოცემული აქტივობები. ამ შემთხვევაში კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი მოსწავლეებს დამატებით შესთავაზებს სახელმძღვანელოს ანალოგიურ სავარჯიშოებს, მისცემს მათ საშინაო დავალებისა თუ საკლასო სამუშაოების ფორმატში შესასრულებლად. როგორც წესი, საკლასო ოთახში დამუშავებული თითოეული სავარჯიშო, განსამტკიცებლად უნდა მიეცეთ შინაც.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ზოგად რეკომენდაციასაც, რომელიც გამოცდილი მასწავლებლებისთვის ჩვეული პრაქტიკაა: გრამატიკულად გამართულობის მიღწევას საკმაოდ მაღალი ენობრივი კომპეტენცია სჭირდება და სწავლის პროცესში გამოვლენილი ამ რიგის შეცდომები არ უნდა ინვედეს არც მოსწავლის და არც მასწავლებლის ფრუსტრაციას. დროთა განმავლობაში, ენობრივი უნარების განაფვისდაკვალად თანდათან ალაგდება ასეთი შეცდომები. შესაბამისად, სახელმძღვანელოში შემოთავაზებული კონკრეტული გრამატიკული უნარის გამავარჯიშებელი აქტივობების შესრულება არ ნიშნავს იმას, რომ ეს საკითხი საბოლოოდ დაძლეული იქნება მო-

სწავლისთვის. ვერ იქნება ასე. ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ხანგრძლივი და ხშირი პრაქტიკისა და ვარჯიშის შემთხვევაში.

მასწავლებლებმა მოსწავლეებს უნდა მისცენ საშუალება პროდუცირებისას გამოიყენონ ის ენობრივი, ზოგჯერ გრამატიკულად გაუმართავი, საშუალებები, რაც მათი მზაობისთვის არის დამახასიათებელი. ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით, პრიორიტეტულობის განსაზღვრით, ასეთი შეცდომები ალაგდება.

რას ვგულისხმობთ პრიორიტეტულობის განსაზღვრაში, როდესაც გრამატიკის სწავლებაზე ვსაუბრობთ? წარმოვიდგინოთ მოსწავლის წერილობით ნამუშევარი, რომელიც შეთავაზებული გვქონდა კონკრეტული კომპლექსური დავალების ფარგლებში. როგორ უნდა შევაფასოთ, რა ტიპის, რა რიგის შეცდომები უნდა დავუფიქსიროთ მას, რათა მომავალში ეს შეცდომები აღარ გაიმეოროს? ყველა შეცდომა უნდა მოვნიშნოთ და წითელი კალმით ავუჭრელოთ ნამუშევარი? ვფიქრობთ, რომ არა. ჩვენ უნდა გამოვყოთ მასში ის შრეები, რომლის გააქტიურებაც, სწავლებაც იმ კონკრეტული თემის ფარგლებში გვქონდა მიზნად ანდა ადრე გავააქტიურეთ და სათანადოდ განვამტკიცეთ სხვა თემის ფარგლებში. სწორედ ამას, შეცდომათა გარკვეულ იერარქიზებას ვგულისხმობთ გრამატიკული პრიორიტეტულობის განსაზღვრაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ყველა შეცდომაზე ყურადღების გამახვილებისას მოსწავლეებს ხმა არ უნდა გავაღებინოთ და არაფერი დავანერინოთ.

7) დიფერენცირებული სწავლება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულის ენის მასწავლებლები რთული ამოცანების წინაშე დგანან, როდესაც საკუთარი საკლასო საჭიროებებს აცნობიერებენ. რასაკვირველია, ყველა მოსწავლე ერთნაირად არ სწავლობს და ერთნაირი მიღწევები არ აქვს არც ქართულ ენაში. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, არცთუ იშვიათად, მასწავლებლებს უწევთ ისეთ კლასებში მუშაობა, სადაც მოსწავლეები განსხვავებულ საფეხურზე არიან.

ქვემოთ შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის მიერ მომზადებული მეთოდური კრებულიდან, რომლის სათანადოდ გამოყენება მასწავლებლებს დაეხმარება განსხვავებული მზაობისა და საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებაში.

დიფერენცირებული სწავლება ნიშნავს სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე. ესაა ერთ კლასში მყოფი განსხვავებული მიღწევების მქონე მოსწავლეთა განსხვავებულად სწავლება. სწავლების დიფერენცირებაში შეიძლება იგულისხმებოდეს ერთსა და იმავე კლასში მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფთან განსხვავებული მეთოდების და/ან რესურსების გამოყენება.

იგი ითვალისწინებს ერთი კლასის მოსწავლეების დაჯგუფებას/დაყოფას დონეების მიხედვით.

დიფერენცირებული სწავლების მთავარი მიზანია, რომ თითოეულმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. ამ თვალსაზრისით დიფერენცირებული სწავლება ცალსახად არ გულისხმობს განსხვავებული მონაცემების მქონე მოსწავლეების მიერ თანაბარი შედეგების მიღწევას. შესაძლებელია, დაბალი აკადემიური მოსწავლის მქონე მოსწავლე ყოველთვის ვერ დაეწიოს წარმატებულებს, თუმცა, ზოგჯერ ის ისეთსავე შედეგს აღწევს, როგორსაც წარმატებული. დიფერენცირებული მიდგომით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაძლიონ სწავლის პროცესში წარმოქმნილი ბარიერები და მკვეთრად გააუმჯობესონ შედეგები. მასწავლებელი ამას აღწევს უწყვეტი შეფასებისა და მოსწავლეთა მოქნილად დაჯგუფების გზით. სასწავლო პროცესში შესაძლებელია ისეთი ელემენტების დიფერენცირება, როგორიცაა: შინაარსი, პროცესი, დავალებები და გარემო.

დიფერენცირებული სწავლება — ეს არის სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზება, რომე-

ლიც გათვლილია თითოეული მოსწავლის ან მოსწავლეთა ჯგუფების საჭიროებებზე, უნარებზე და შესაძლებლობებზე. დიფერენცირებული სწავლება აიგება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

1. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოლოდინების გაცნობიერება;
2. მოსწავლეების ცოდნის, უნარებისა და სწავლის სტილის განსაზღვრა;
3. დაკვირვება იმაზე, თუ როგორ იგებენ მოსწავლეები დავალებას;
4. სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით შედეგების შემოწმება და ანალიზი.

დიფერენცირებული სწავლების ეფექტური გამოყენება მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად იცნობს მასწავლებელი თავის მოსწავლეებს და რამდენად ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ცოდნას, უნარ-ჩვევებს, დამოკიდებულებას და უნიკალურ გამოცდილებას, რომელიც ყალიბდება მშობლებთან, თანატოლებთან, მედიასა და სამყაროსთან ყოველდღიური ურთიერთობით.

დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის ფლობას მოითხოვს.

განათლების სპეციალისტი ჯენიფერ გოფროი თვლის, რომ მასწავლებელმა, რომელიც დიფერენცირებულ სწავლებას იწყებს, შვიდი საბაზისო პრინციპი უნდა გაითვალისწინოს:

1. შეისწავლეთ თქვენი მოსწავლეები და მათი ინტერესები, მოტივაცია, საჭიროებები, მიზნები. სასურველია, ეს სასწავლო წლის დაწყებისთანავე გააკეთოთ. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა წყარო, მაგალითად, მოამზადოთ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მოსწავლეები და მასწავლებლები შეავსებენ.
2. გააცანით მოსწავლეებს დიფერენცირებული სწავლების იდეა. გამართეთ კლასში დისკუსია დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობისა და ფორმების შესახებ. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, თუ დიფერენცირებულ სწავლებას მოსწავლეები პირველად ეხებიან. მოსწავლეებმა იმთავითვე უნდა იცოდნენ, რატომ იღებენ მათი თანაკლასელები განსხვავებულ დავალებებსა და სასწავლო რესურსებს. იგივე ეხებათ მოსწავლეთა მშობლებსაც.
3. საფუძვლიანად შეისწავლეთ საგნისა და კლასის სტანდარტები (მისაღწევი შედეგები) და პროგრამა (შინაარსი). დარწმუნდით, რომ კარგად გესმით მისაღწევი შედეგების შემადგენელი უნარ-ჩვევები და მათი სწავლების მეთოდები. თუ ასე არ არის, ნუ დაიწყებთ დიფერენცირებულ სწავლებას.
4. დაიწყეთ მცირედით. თუ დიფერენცირებული სწავლებისკენ პირველ ნაბიჯებს დგამთ, ნაბიჯ-ნაბიჯ გაამდიდრეთ გაკვეთილები დიფერენცირებული აქტივობებით. თავდაპირველად დაუთმეთ დიფერენცირებული სწავლების ბლოკს გაკვეთილის ერთი ნაწილი. არ არის აუცილებელი, რომ ყველა გაკვეთილი დატვირთოთ დიფერენცირებული სწავლების აქტივობებით. თანდათანობით გაზარდეთ დიფერენცირებული აქტივობების რაოდენობა და ნელ-ნელა გადადით მთლიანი გაკვეთილებისა და თემატური ბლოკების დიფერენცირებაზე.
5. იმუშავეთ ორგანიზებულად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიფერენცირებული სწავლებისთვის. იმთავითვე გააცნობიერეთ, რომ დიფერენცირებული სწავლების დროს მოსწავლეთა ნაწილი კლასში დამოუკიდებლად იმუშავენ. ხშირად მასწავლებელთა პირველი რეაქცია დიფერენცირებასთან მიმართებით ასე გამოიხატება: „ხუთ ნაწილად ხომ არ გავიჭრები? მე თუ რამდენიმე ბავშვთან ვიმუშავე, დანარჩენებს ვინ მიხედავს? ისედაც არ უნდათ სწავლა და ხომ გადავლენ ყირაზე?“ ასეთი რეაქცია სრულიად მოსალოდნელია. დიფერენცირებული სწავლება კომპლექსური პროცესია, ის აქტივობებისა და რესურსების ეფექტურ მართვას მოითხოვს. ამიტომ აუცილებელია დიფერენცირების დაწყებისთანავე სათანადო ნესებისა და პროცედურების დანერგვა საკლასო ოთახში. კლასის მართვის პროცესში შეგი-

ძლიათ დაიხმაროთ მოსწავლეებიც. ხშირად სწორედ ისინი გვთავაზობენ ორგანიზებასთან დაკავშირებული პრობლემების ორიგინალურად გადაწყვეტის გზებს.

6. იყავით ღია და მოქნილი. მასწავლებლებმა ვიცით, რომ გაკვეთილის გეგმა არის ერთგვარი გზამკვლევი და არა ხელშეუხებელი დოკუმენტი. თუ დიფერენცირებული გაკვეთილი ისე არ წარიმართა, როგორც გეგმავდით, დაფიქრდით, რამ გამოიწვია ეს. გაითვალისწინეთ ანალიზის შედეგად გამოტანილი დასკვნები მომდევნო გაკვეთილების დაგეგმვისას.
7. ითხოვეთ დახმარება და გამოიყენეთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი. შესაძლოა, თქვენს სკოლაში რომელიმე კოლეგა ასევე ცდილობდეს დიფერენცირებული სწავლების დანერგვას. თუ ახლოს ასეთი არავინაა, სკოლის ბაზაზე შექმენით მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფი დიფერენცირებული სწავლების საკითხზე. ასევე, მიმართეთ ინტერნეტში წყაროებს, ნიგნებს, გზამკვლევებს. ყოველთვის გამოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დახმარებას გაგიწევენ ინოვაციური მიდგომის დანერგვაში. მიმართეთ მათ!

V თავი – თემატური ერთეულის შექმნის გზამკვლევი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია თემატური ერთეულის ზოგადი ჩარჩო სათანადო, განსხვავებული ფერით აკრეფილი რეკომენდაციებით. შესაბამისად, ნებისმიერ მასწავლებელს შეეძლება მკაფიო წარმოდგენა, ერთი მხრივ, იმის შესახებ, თუ როგორაა, რა ლოგიკითაა აგებული ჩვენ მიერ შემოთავაზებული თემატური ერთეულები, მეორე მხრივ, თავადაც შეიტანს ცვლილებებს მათში და თავადაც შეადგენს ანალოგიურს, სურვილის შემთხვევაში. აღვნიშნავთ ერთსაც, რომ ასეთი ფორმით თემატური ერთეულების შემოთავაზება იყო მოთხოვნილი სტანდარტითა და რეგულაციებით.

აქვე შემოგთავაზებთ ამ თემატური ერთეულების (მატრიცის) ნაკითხვის გზამკვლევს.

1. ზედა უჯრაში იწერება თემის დასახელება და სტანდარტის მიხედვით თემატურ ერთეულში ასახული თემატური ბლოკების ძირითადი შინაარსობრივი საკითხები;
2. შემდეგ მოდის თემატური საკვანძო შეკითხვები, რომლებიც ერთგვარად გამომდინარეობს და მიემართება საფეხურებრივ საკვანძო შეკითხვებს;
3. შემდეგ უჯრაში ვწერთ თემის ფარგლებში დამუშავებულ, განხილულ ქვეცნებებსა და საკითხებს;
4. შემდეგ ორ უჯრაში წარმოდგენილია სტანდარტით შემოთავაზებული სამეტყველო აქტებიდან ამ თემაში გააქტიურებული ნაწილი;
5. ხოლო მომდევნო უჯრაში ვხედავთ ამ თემაში დამუშავებულ ენობრივ საკითხებს;
6. შემდეგ უჯრაში წერია თემატური ლექსიკა, თუ რა ლექსიკაზე აქცენტი გაკეთებული;
7. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ წარმოჩენილია ტექსტის ტიპები და ჟანრები;
8. შემდეგ უჯრები რამდენიმე სვეტად იყოფა და მარცხენა სვეტში ჩანერილია ცნებები მკვიდრი წარმოდგენებით – ეს სვეტი ყველა მატრიცაში ერთნაირია;
9. შემდეგ უჯრაში ვხედავთ ეტაპის ნომერსა და ეტაპის მიზნებს. ჩვენ შემთხვევაში შემოთავაზებულია ხოლმე ან ორი ეტაპი, ან – სამი;
10. შემდეგ უჯრაში ჩამოთვლილია ის საკითხები და ქვეცნებები, რომლებიც ამ ეტაპზე მუშავდება;
11. მის მეზობელ უჯრაში კი საკვანძო შეკითხვები წერია. თემატური საკვანძო შეკითხვებისგან განსხვავებით, ეს საკვანძო შეკითხვები უფრო დავინროებულია და უშუალოდ მიემართება კომპლექსურ დავალებებს;
12. მის მეზობელ უჯრაში ჩანერილია კომპლექსური დავალების დასახელება, ხოლო ამის ქვედა უჯრაშია ჩამოწერილია ის კომპლექსური დავალებები, რომლებიც ამ ეტაპისთვის დამუშავდება;
13. შუა ზოლში კი უკვე ის აქტივობები წერია, რომელთა მეშვეობითაც ხდება კომპლექსური დავალებების შესრულება;
14. შემდეგ მიეთითება ამ ეტაპზე გამოსაყენებელი რესურსები;
15. შემდეგ კი წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები;
16. ამის შემდეგ მეორდება 9-15 უჯრების შინაარსი, რაც იმას მიაჩნებს, რომ ეს ამ თემის მეორე ეტაპია. თუკი მესამე ეტაპიც იქნება წარმოდგენილი, მაშინ კიდევ ერთხელ იქნება განმეორებული;
17. სულ ბოლოს კი ვხედავთ თემატურ მკვიდრ წარმოდგენებს, რომლებიც, რასაკვირველია განსხვავდება ცნებების მკვიდრი წარმოდგენებისგან და ერთგვარი შემაჯამებელი თეზისებია, ის უზოგადესი დებულებები, რაც მოსწავლეს ამ თემის გავლისას უნდა დარჩეს.

თემა: აქ ჩაიწერება თემის დასახელება

კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:

მოცემულია ორი თემატური ბლოკი ხუთი სავალდებულო თემით. თითოეულ სავალდებულო თემაში წარმოდგენილია ძირითადი შინაარსობრივი საკითხები. დარჩება მხოლოდ ის საკითხები, რომელიც შეესაბამება ამ კონკრეტულ თემატურ ერთეულს. სასურველია, ხუთივე სავალდებულო თემიდან თითო შინაარსობრივი საკითხი მაინც დარჩეს.

მე და სამყარო:

1. ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა, ჯანმრთელობა, თავისუფალი დრო, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება);
2. ფიზიკური გარემო (დედამიწა, მსოფლიოს გარშემო - ქვეყნები და ქალაქები; ეკოლოგია, ბუნებრივი კატასტროფები, გეოგრაფიული გარემო, მხარეები, აღმოჩენები).

სოციალურ კულტურა და კულტურა:

1. ყოველდღიური ცხოვრება (ეტიკეტი, სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები, თავისუფალი დროის გატარება);
2. პიროვნებათშორის ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები, თანატოლებს / თაობებს შორის ურთიერთობები);
3. ღირებულებები და ფასეულობები (კულტურა, ტრადიციები, დღესასწაულები და ფესტივალები, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები; უმცირესობები - ეთნიკური / რელიგიური, სხვა ქვეყნები და ხალხები).

თემატური საკვანძო შეკითხვები:

თემატური საკვანძო შეკითხვების ჩამოსაყალიბებლად დაგვეხმარება საფეხურბრივი საკვანძო შეკითხვები, რომლებიც დაკონკრეტდება თემაში წარმოდგენილი ტექსტებისა და საკითხების შესაბამისად. შესაძლებელია, 10 საკვანძო შეკითხვის ნაცვლად დაისვას 8 ან 6 საკვანძო შეკითხვა.

1. რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რა მსგავსება და განსხვავება აქვს ტექსტში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოს ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოსთან? შეიცვალა თუ არა

ჩემი წარმოდგენები და რატომ?

3. რამ შემთხვევაში ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
4. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
5. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
6. რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა?
7. როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით?
8. მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა?
9. რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის?
10. მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემეძლო ან შემეძალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:

ქვემოთ ცნებების მიხედვით წარმოდგენილია ქვეცნებები და საკითხები, რომელთაგანა დარჩება ის, რომელიც შეესაბამება ჩვენს თემას და გააქტიურებულია ჩვენ მიერ შემოთავაზებული დავალებებითა და სავარჯიშოებით.

კომუნიკაცია

ქვეცნებები:

სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;

მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა

სამეტყველო აქტები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, თავაზიანობის გამოხატვა, დახმარების თხოვნა, დაპატიჟება, შეხვედრის დანიშვნა, წახალისება/შექება);
- **ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად** (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნის/სურვილების გაზიარება (თავისუფალი დრო, საქმიანობა, გეგმები/განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა და ა.შ.);
- **ინტერაქცია გრძობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ** (დადებითი და უარყოფითი გრძობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება / უკმაყოფილება, სინანული, გაკვირვება, ეჭვი, ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);
- **ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ** (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

ტექსტის ტიპი და ჟანრი

ქვეცნებები:

ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული

ტექსტის ჟანრები -

- მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
- არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;
- მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;
- სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები.

ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება

ქვეცნებები:

- ტექსტის მათორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);
- ტექსტის მათორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო,; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი);
- აბზაცის სტრუქტურა - თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება;

ინტერპრეტაცია

ქვეცნებები:

ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

გრამატიკა

ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

ენობრივი საკითხები:

- მორფოლოგია: არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II

კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზედა, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);

- **სინტაქსი:** წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირიანი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);
- **მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:** რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);
- **ლექსიკა:** სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული.

ენის სწავლის სტრატეგიები

მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:

- ენათშორისი პარალელების გავლენა;
- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)

ქვეცნებები:

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;

ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა

საკითხები:

სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;

სამეტყველო აქტები:

აქაც დარჩება იმ სამეტყველო აქტების შემთხვევები, რომლებიც გაატიურებულნი გვაქვს თემატურ ერთეულში.

1.1. სოციალური ურთიერთობები:

მისალმება/დამშვიდობება, მოკითხვა, წარდგენა, თხოვნა, ნებართვის აღება, შეთავაზება, წახალისება/შექება, მილოცვა/კეთილი სურვილების /თავაზიანობის გამოხატვა, მადლობის გადახდა, მოზოდინება

1.2. ინფორმაციის გაცვლა:

პირადი მონაცემები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, თავისუფალი დრო, საქმიანობა, კვებითი ჩვევები, ჯანმრთელობა, ამინდი, გეგმები / განზრახვა, მგზავრობა/მოგზაურობა, საკუთრება

1.3. აღწერა-დახასიათება:

ადამიანის გარეგნობა, ჩაცმულობა, ხასიათი, თვისებები; ცხოველის/საგნის აღწერა

1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა:

დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის

ენობრივი საკითხები:

შეირჩევა შესაბამისი საკითხები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, ცხადია, პროგრამის მიხედვით შემოთავაზებული საკითხები შეირჩევა:

მორფოლოგია: არსებითი სახელი; ბრუნვები და ბრუნვათა ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები და მათი ფუნქციები; ზედსართავი და რიცხვითი სახელები; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; სასურველი და სავარაუდო მოქმედების გამოხატვა (II კავშირებითი / ხოლმეობითი); აუცილებლად შესასრულებელი და აკრძალული მოქმედების გამოხატვა (წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი); შესრულებელი მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, შესრულებული მოქმედების პროცესი და შედეგი, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); ასპექტის წარმოება; თავისებური ზმნები; საწყისი და მიმღეობა და მათი ფუნქციები; სახელთა წარმოქმნა; ფორმაუცვლელი სიტყვები და მათი ფუნქციები (ზმნიზება, თანდებული, კავშირი და ნაწილაკი);

სინტაქსი: წინადადება მოდალობის მიხედვით - თხრობითი, კითხვითი, ძახილისა და ბრძანებითი წინადადებები; რთული სინტაქსური კონსტრუქციები (კავშირითი და უკავშირო შეერთება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში); აქტიური და პასიური კონსტრუქციები; ქვემდებარის ადგილი და ბრუნვა აქტიური და პასიური ზმნის კონსტრუქციაში; მსაზღვრელ-საზღვრული; პირობისა და შედეგის გამოხატვა და შესაბამისი სინტაქსური კონსტრუქციები (რა შემთხვევაში? რა პირობებში?);

მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: რიცხვითი სახელების მართლწერა (რთული რიცხვითი სახელები, რიგობითი რიცხვითი სახელების გამოხატვა არაბული და რომაული ციფრებით); ნაცვალსახელები და მათთან

<p>გამოხატვა</p> <p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე, თანადროულობა, ხანგრძლივობა</p> <p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება, მიმართულების განსაზღვრა</p> <p>1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა:</p> <p>მიზეზი, შედეგი, ოპოზიცია, პირობითობა, მიზანი</p>	<p>დაკავშირებული მართლწერის საკითხები (მისი/თავისი; ჩემს მეგობარს, შენს ქალაქში; თავისი/თავიანთი; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; რთული სიტყვების (კომპოზიტების) მართლწერის საკითხები; სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართლწერის საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება პირდაპირ და ირიბ ნათქვამში, განკერძოებულ სიტყვებთან და გამოთქმებთან);</p> <p><u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი; კომპოზიტი; დანართი, ჩართული.</p>			
<p>თემატური ლექსიკა:</p> <p>დასახელებია ის ლექსიკური ველი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლის ინტერიერთან დაკავშირებული სიტყვები ან უცხო ქვეყანაში მოგზაურობასთან დაკავშირებული სიტყვები და სხვ.), რომლის გააქტიურებაც ხდება მოცემულ თემაში. შესაძლოა მიეთითოს კონკრეტული/საკვანძო ლექსიკური ერთეულებიც.</p>				
<p>ტექსტის ტიპები და ჟანრები:</p> <p>შეირჩევა მოცემულ ტემატურ ერთეულში დასამუშავებელი ტექსტების ტიპები და ჟანრები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან.</p> <p>ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული</p> <p>ტექსტის ჟანრები -</p> <ul style="list-style-type: none"> • მხატვრული ლიტერატურა: პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები; • არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამოხმაურება ბ) საქმიანი ქალაქდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება; • მედია/მულტიმედია ტექსტები: მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები; • სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, თხრობითი ან აღწერითი ტექსტები; კითხვარები, მინიკვლევები, ანგარიშები. 				
<p>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:</p> <p>აქ იწერება საბაზო საფეხურის ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები და არ იცვლება ქვემოთ</p>	<p>I ეტაპის შუალედური მიზნები</p> <p>აქ ჩაიწერება რა მიზნებსაც ვისახავთ პირველ ეტაპზე იმ ლკომპლექსური დავალებების მიხედვით, რომლებიც ამ ეტაპზეა შემოთავაზებული.</p> <p>ქვედა სამი სვეტი შეეხება ამ თემის პირველ ეტაპს.</p> <table border="1" data-bbox="552 1928 1421 2027"> <tr> <td data-bbox="552 1928 738 2027">საკითხი და ქვეცნებები:</td> <td data-bbox="738 1928 998 2027">საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:</td> <td data-bbox="998 1928 1421 2027">კომპლექსური დავალება/ დავალებები</td> </tr> </table>	საკითხი და ქვეცნებები:	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:	კომპლექსური დავალება/ დავალებები
საკითხი და ქვეცნებები:	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:	კომპლექსური დავალება/ დავალებები		

<p>მოცემული.</p> <p>საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)</p> <p>კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;</p> <p>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები:</p> <p>კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.</p> <p>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;</p> <p>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)</p> <p>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.</p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).</p> <p>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.</p> <p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)</p> <p>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ.,</p>	<p>აქ, ამ გრაფაში შეირჩევა და ჩაიწერება ის საკითხები და ქვეცნებები, რომლებიც ამ კონკრეტულ ეტაპზე უნდა დამუშავდეს. შესაბამისად, ზემოთ შერჩეული საკითხებისა და ქვეცნებების ერთი ნაწილი აქაც გადმოვა, ხოლო დანარჩენი — მეორე და მესამე ეტაპებზე გადანაწილდება. შესაძლებელია, სამივე ეტაპზე განთავსდეს რომელიმე საკითხი თუ ქვეცნება.</p>	<p>ამ გრაფაში ჩასაწერი საკვანძო შეკითხვები უნდა დაუკავშირდეს ამ ეტაპის კომპლექსურ დავალებებს. ცხადია, ისინი მიემართება ზემოთ შერჩეული თემის საკვანძო შეკითხვებსაც, რომლებიც თავის მხრივ, საბაზო საფეხურის საკვანძო შეკითხვების გამოძახილს წარმოადგენს. საკვანძო შეკითხვების ჩამოყალიბებისას უნდა გავითვალისწინოთ მკვიდრი წარმოდგენებიც.</p>	<p>ქვემოთა გრაფაში ჩაიწერება იმ კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც შემოთავაზებულია ამ ეტაპისთვის.</p> <p>გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური დავალების პირობაში ასახული იყოს მკვიდრი წარმოდგენებიც ისე, რომ თემატური ერთეულის კომპლექსურმა დავალებებმა მთლიანად მოიცვას ყველა ცნების მკვიდრი წარმოდგენები.</p>
<p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)</p> <p>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ.,</p>	<p>აქტივობები:</p> <p>აქ აღიწერება განსაზოვრციელებელი აქტივობები, ის დავალებები და სავარჯიშოები, რომლებიც მოცემულია მოსწავლის წიგნსა და სავარჯიშოების რვეულში. რასაკვირველია, შესაძლოა გაიწეროს დამატებითი მითითებებიც მასწავლებლებისთვის.</p>		<p>აი, აქ იწერება კომპლექსური დავალებების პირობები. ერთი ეტაპისთვის სასურველია 2-3 კომპლექსური დავალება.</p>

<p>სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;</p> <p>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.</p> <p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)</p> <p>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;</p> <p>ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;</p> <p>პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და</p>	<p>რესურსები:</p> <p>აქ ჩაიწერება ყველა ის რესურსი, რომელიც დაგვჭირდება ამ ეტაპისთვის, იქნება ეს ტექსტები, მოსასმენი აუდიოფაილები, სიმღერის აუდიო-ვიდეოფაილები, საპრეზენტაციო სლაიდები, ინტერნეტბმული თუ სხვ.</p>	
	<p>შეფასების კრიტერიუმები</p> <p>აქ წარმოდგენილია სამი რეკომენდაცია. პირველი არის სტანდარტში მოცემული ის ყალიბი, რომელიც დაგვეხმარება ცნებების მიხედვით შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებაში. (ფრჩხილებში მიწერილია სტანდარტის შედეგები.)</p> <p>თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია:</p> <p>კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)</p> <ul style="list-style-type: none"> • საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება. • კონკრეტული ტექსტების გაგება-გააზრება და შედგენა-გაზიარება; • ფუნქციური სამეტყველო აქტების მიზნობრივად შესრულება; • ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. <p>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას. <p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 5)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება; <p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგი: 4);</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტში ასახული თემის, მიზნის, პრობლემის, ცალკეული საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა-დასაბუთება და დასკვნების გამოტანა; • საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტში ასახული განსხვავებული თვალსაზრისებისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივების შეფასება; • ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება. <p>გრამატიკა (შედეგი 5)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და მათი 	

<p>(შედეგები 7, 8, 9) ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩინეთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას); განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებას.</p> <p>გრამატიკა (შედეგები 5) სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.</p> <p>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები)</p>	<p>იმსჯელონ, რა განსხვავებაა გულქანისდროინდელ ბავშვობასა და ახლანდელ ბავშვობას შორის?</p> <p>სავარჯიშო 12-13. მოსწავლეები დღიურის ჩანაწერისთვის იყენებენ სავარჯიშოების რვეულის სივრცეს — ჯერ შავი ვარიანტის დასაწერად, შემდეგ კი გარკვეული შესწორებების გათვალისწინებით წერენ საბოლოო ვერსიას.</p> <p>თანაკლასელების ნამუშევრების პრეზენტაციისას მოსწავლეები ავსებენ „მსმენელის დღიურს“.</p> <p>დავალბა 14 — სავარჯიშო 15-16. სრულდება კომპლექსური დავალბა — მითითებების მიხედვით მოგონების დაწერის შესახებ. მოსწავლეები იხსენებენ და წერენ მათთვის მნიშვნელოვან რომელიმე დღეს. ნამუშევრების პრეზენტაციისას ივსება „მსმენელის დღიური“.</p>	<p>ბებია-ბაბუაზე.</p> <p>მუშაობის დაწყებამდე:</p> <ul style="list-style-type: none"> • კიდევ ერთხელ ყურადღებით გაეცანი გულქან რაზიკაშვილის მოგონებას. • რა მახასიათებლები აქვს მოგონებას? როგორი ფორმატით იწერება იგი? <p>მოგონებაში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტის ცოდნა; • მოგონების ჟანრობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების ცოდნა; • ა სავრცობის გამოყენება ზოგიერთ სიტყვაში. <p>პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> • სახელმძღვანელოს ტექსტისა და ილუსტრაციის რა მინიშნებები გამოიყენე წერისას; • რას დაწერდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე მუშაობას. 	
<p>რესურსები: სახელმძღვანელოს წიგნი და რვეული.</p>			
<p>შეფასების კრიტერიუმები</p> <p>1) სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, მოგონებისა და პოეტური ნაწარმოების გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) საკუთარი მოგონების ზეპირად ან წერილობით შექმნა; (2) საკუთარი ინტერაქციის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3)</p> <p>2) მოგონებისადმი, პოეტური ნაწარმოებისადმი დამოკიდებულების გამოხატვა (4), ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6).</p> <p>3) ადაპტირებული ნაწარმოების გაანალიზება სოციოკულტურული თვალსაზრისით (7), საკუთრისგან განსხვავებული კულტურული მახასიათებლების გამოყოფა და მათი პოზიტიურად აღქმა (8), საკუთარი კულტურული მახასიათებლების წარმოჩენა(9)</p> <p>4) საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</p>			
	<p>II ეტაპის შუალედური მიზნები</p>		
	<p>საკითხი და ქვეცნებები: პროზაული და პოეტური</p>	<p>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები: როგორ მოვახდინო</p>	<p>კომპლექსური დავალბა/ დავალბებები</p>

<p>(შედეგები 1, 2, 3, 5) ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიაღწილებს სწავლას და საშუალებას მამლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიაღწილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.</p> <p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა</p> <p>(მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12) სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეხს ამლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა</p>	<p>ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები; ზმნის მწკრივები: ხოლმეობითი, მეორე კავშირებითი, პირველი თურმეობითი</p>	<p>მსმენელზე შთაბეჭდილება ნასწავლი პოეტური ნაწარმოების წაკითხვისას? როგორ გამოვიყენო ენობრივი საკითხების ცოდნა ნასწავლი შინაარსის გადმოსაცემად?</p>	
	<p>აქტივობები:</p> <p>დავალება 17. მოსწავლეები იხსენებენ რომელიმე ნაწარმოებს ვაჟა ფშაველას შემოქმედებიდან. საუბრობენ პოეტის შესახებ გულქან რაზიკაშვილის მოგონების მიხედვით.</p> <p>დავალება 18. მოსწავლეები კითხულობენ ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიულ მონაცემებს და უპასუხებენ შეკითხვებს.</p> <p>სავარჯიშო 19-20. მოსწავლეები უპასუხებენ შეკითხვებს წერილობითაც და ასრულებენ კიდევ ერთ სავარჯიშოს ტექსტის გასააზრებლად.</p> <p>დავალება 21. სრულდება კომპლექსური დავალება — მოსწავლეები წერენ „ხუთსტრიქონიან ლექსს“ ვაჟა ფშაველას შესახებ.</p> <p>სავარჯიშო 22. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ზმნების მე-2 კავშირებითისა და მყოფადის ფორმებზე.</p> <p>დავალება 23 — სავარჯიშო 24-25. ზმნების ფორმებზე დაკვირვება გრძელდება ამ დავალებაშიც — ცხრილში შეთავაზებულია ექსვი მწკრივის ფორმის მიხედვით ზმნების უღლება. ამ ცხრილის მიხედვით ასრულებენ რვეულის სავარჯიშოებსაც.</p> <p>აღსანიშნავია, რომ გრამატიკული კატეგორიების გასააქტიურებლად</p>	<p>დავალება 1</p> <p>დაწერე „ხუთსტრიქონიანი ლექსი“ ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიული ტექსტის მიხედვით.</p> <p>გაიხსენე ლექსის დაწერის პრინციპი:</p> <p>I სტრიქონზე უნდა დაწერო არსებითი სახელი — ვაჟა. II სტრიქონზე უნდა დაწერო ორი ზედსართავი სახელი ვაჟას შესახებ; III სტრიქონზე უნდა დაწერო სამი ზმნა ვაჟას შესახებ; IV სტრიქონზე უნდა დაწერო წინადადება ვაჟას შესახებ; V სტრიქონზე უნდა დაწერო ზედსართავი სახელი და არსებითი სახელი.</p> <p>----- -----</p> <p>ნამუშევარში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიული ტექსტის ცოდნა • „ხუთსტრიქონიანი ლექსის“ სტრუქტურისა და მახასიათებლების ცოდნა; <p>ლექსის პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვაჟას შესახებ ბიოგრაფიული ტექსტის რომელი ინფორმაცია გამოიყენე ლექსის დაწერისას? • ხომ არ გაქვს ისეთი რამ, 	

<p>დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</p>	<p>კვლავ გამოყენებულია წაკითხული ტექსტების თემატიკა და შინაარსი.</p> <p>დავალება 26 — სავარჯიშო 27-28. შემდეგი დავალება შეეხება 1-ელი თურმეობითის მწკრივს. მოსწავლეები აკვირდებიან ნიმუშებს და გაიაზრებენ ამ მწკრივის ფორმით გადმოცემულ შინაარსს. ამავე მიზნით ასრულებენ 27-ე და 28-ე სავარჯიშოებს სავარჯიშოების რვეულში.</p> <p>სავარჯიშო 29. მოსწავლეები თვითონ ადგენენ წინადადებებს, რომელშიც გამოიყენებენ ხოლმეობითის, მე-2 კავშირებითისა და 1-ელი თურმეობითის ფორმებს. კარგი იქნება, თუკი მასწავლებელი მითითებას მისცემს, რომ წინადადებები მოიფიქრონ, როგორც საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების, ასევე წაკითხული ტექსტების მიხედვით.</p> <p>დავალება 30-33. მასწავლებლის სამოძრაო წაკითხვის შემდეგ, მოსწავლეები კითხულობენ ლექსს და უპასუხებენ შეკითხვებს. იყენებენ შეთვალვებულ ლექსიკონს.</p> <p>არაა აუცილებელი მოსწავლეებმა ზეპირად დაიმახსოვრონ ლექსი, თუმცა მის ინტონაციით წაკითხვაზე უნდა იმუშაონ, რისთვისაც შეასრულებენ კომპლექსურ დავალებასაც.</p> <p>დავალება 34. მოსწავლეთა წარმოსახვისა და შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, წარმოიდგენენ, რას დაინახავდნენ ზემოდან, წვიმის წვეთის როლში. შესაძლოა, მასწავლებელმა დავალება წერილობითი სახითაც შეასრულებინოს მსურველ მოსწავლეებს.</p> <p>რესურსები: სახელმძღვანელოს წიგნი და</p>	<p>რაც ტექსტში პირდაპირ არ იყო მოცემული?</p> <ul style="list-style-type: none"> რას შევცლიდი შენს ლექსში ხელახლა რომ ასრულებდე დავალებას? <p>დავალება 2 მოიფიქრე სამ-სამი წინადადება, რომლებშიც გამოიყენებ ზმნებს ხოლმეობითის, II კავშირებითისა და I თურმეობითის ფორმით.</p> <p>წინადადებებში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> მწკრივის შესაბამის ფორმებში პირის ნიშნების, სუბიექტისა და ობიექტის ბრუნვების ცოდნა; გულქან რაზიკაშვილის ამბისა და ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიის შესაბამისი დეტალების ცოდნა. <p>ნამუშევრის პრეზენტაციის შემდეგ აღნიშნე:</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ შეასრულე დავალება – ჯერ ზმნის ფორმები შეარჩიე და შემდეგ წინადადება მოიფიქრე, თუ პირიქით? <p>რას შევცლიდი, ხელახლა რომ ასრულებდე დავალებას?</p> <p>დავალება 3 გაკეთე ლექსის – „სიმღერა“ – აუდიოჩანაწერი. აუდიოჩანაწერში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> ლექსის წაკითხვის სათანადო ინტონაცია და სიზუსტე; პოეტის მთავარი სათქმელი და განწყობა; წაკითხვის ზომიერი სიჩქარე. <p>აუდიოჩანაწერის პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ მოემზადე დავალების შესასრულებლად; რაზე გაამახვილე ყურადღება? რამდენად დაგეხმარა ლექსის შინაარსის გააზრება მხატვრულად წაკითხვაში? ხომ არ შევცლიდი აუდიოჩანაწერის რომელიმე მონაკვეთს, ხელახლა რომ
---	---	--

რვეული	აკეთებდე ჩანაწერს?	
<p>შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლემ უნდა შეძლოს: 1) სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით პოეტური ნაწარმოების გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) საკუთარი მხატვრული წაკითხვის ჩანაწერის შექმნა; (2) საკუთარი ინტერაქციის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3) 2) პოეტური ნაწარმოებისადმი, ბიოგრაფიული საინფორმაციო ტექსტისადმი დამოკიდებულების გამოხატვა (4), ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6). 3) ადაპტირებული ნაწარმოების გაანალიზება სოციოკულტურული თვალსაზრისით (7), საკუთრისგან განსხვავებული კულტურული მახასიათებლების გამოყოფა და მათი პოზიტიურად აღქმა (8), საკუთარი კულტურული მახასიათებლების წარმოჩენა(9) 4) საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</p>		
III ეტაპის შუალედური მიზნები		
<p>საკითხი და ქვეცნებები:</p> <p>ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად – პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; არამხატვრული ლიტერატურა: დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან;</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: როგორ გამოვიყენო შემოქმედებითი უნარები კაფიას შესადგენად? როგორ წარმოვადგინო მოწოდებული საინფორმაციო ტექსტი განსხვავებული სახით? როგორ წარმოვადგინო ჩემი მხარის შესახებ ინფორმაცია მკითხველისა და მსმენელისთვის საინტერესოდ?</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>
<p>აქტივობები:</p> <p>დავალება 35-36. ფშავის შესახებ საინფორმაციო ტიპის ტექსტის წაკითხვამდე მოსწავლეები ათვალთვლებენ საქართველოს რუკას, მოძებნიან მასზე ფშავს და საუბრობენ მითითებების მიხედვით.</p> <p>ასევე კარგი იქნება ციფრული პლატფორმის გამოყენებით საქართველოს</p>	<p>დავალება 1</p> <p>ციფრული ან არაციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით დაამზადე ბუკლეტი „ფშავი და ფშაველები“.</p> <p>ნამუშევარში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფშავის გეოგრაფიული მდებარეობა (დახატე 	

	<p>ტერიტორიის დათვალიერებაც.</p> <p>დავალება 37-38. მოსწავლეები კითხულობენ საინფორმაციო ტექსტს ფშავის შესახებ და უპასუხებენ შეკითხვებს. აკვირდებიან ტექსტის ჰიპერბმულებს და საუბრობენ თავიანთი გამოცდილების შესახებ ამ კუთხით.</p> <p>დავალება 39. მოსწავლეები აკვირდებიან ფოტოს და გამოთქვამენ მოსაზრებებს ფშაველების შესახებ.</p> <p>სავარჯიშო 40. მოსწავლეები ტექსტის მოსმენამდე აკვირდებიან სიტყვებსა და განმარტებებს, რაც დაეხმარებათ მოსმენილი ტექსტის გაგებაში.</p> <p>დავალება 41. მოსწავლეები უსმენენ ტექსტს და უპასუხებენ მოცემულ შეკითხვებს. სასურველია, ტექსტის მოსმენამდე გაეცნონ შეკითხვებს და დააზუსტონ მათი შინაარსი.</p> <p>სავარჯიშო 42-43. მოსწავლეები განმეორებით უსმენენ ტექსტს და ასრულებენ სავარჯიშოებს: სწორია-არასწორია და გამოტოვებული სიტყვების ჩასმას.</p> <p>სავარჯიშო 44. მოსწავლეები აკვირდებიან მოსმენილ ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს და აკავშირებენ ერთმანეთს.</p> <p>დავალება 45 —სავარჯიშო 46-48. მოსწავლეები აკვირდებიან გრამატიკულ მასალას მსაზღვრელ-საზღვრულის შესახებ და ასრულებენ რვეულის სავარჯიშოებს, მათ შორის კომპლექსურ დავალებას. დავალებების პრეზენტაციის დროს ავსებენ მსმენელის დღიურს.</p> <p>დავალება 49-50. მოსწავლეები კითხულობენ საინფორმაციო ტექსტს ფშაველების შესახებ და უპასუხებენ შეკითხვებს.</p> <p>დავალება 51 — სავარჯიშო 52. სრულდება კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ამზადებენ ბუკლეტს „ფშავი და ფშაველები“, რისთვისაც იყენებენ უკვე წაკითხულ ტექსტებსა და</p>	<p>საქართველოს რუკა და მასზე მონიშნე ფშავის ადგილი);</p> <ul style="list-style-type: none"> • მოკლე ინფორმაცია ფშავის შესახებ (შეგიძლია დამატებით ინტერნეტშიც მოიძიო ინფორმაცია.); • მსაზღვრელ-საზღვრულის სათანადო ბრუნვაში გამოყენების ცოდნა; • ფშაველების გარეგნობის, თვისებების, სამზარეულოს შესახებ ინფორმაცია; • ბუკლეტის შესაბამისი სტრუქტურა და ილუსტრაციები; • რა დამატებითი ინფორმაცია გამოიყენე ბუკლეტზე მუშაობისას? <p>ნამუშევრის პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ დაგეხმარა სახელმძღვანელოში მოცემული ტექსტების ინფორმაცია ბუკლეტზე მუშაობისას? • როგორ წარმართე ბუკლეტზე მუშაობა – რა გააკეთე პირველ ეტაპზე? შემდეგ? ბოლოს? • რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ბუკლეტზე მუშაობას? <p>დავალება 2. ციფრული ან არაციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით დაამზადე ბუკლეტი „ჩემი მხარე“.</p> <p>ნამუშევარში/პრეზენტაცი ისას წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • შენი მხარის/რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა (დახატე საქართველოს რუკა და მასზე მონიშნე სათანადო ადგილი); • მოკლე ინფორმაცია რეგიონის შესახებ
--	---	--

	<p>სხვა დამატებით მასალას. ნამუშევრების პრეზენტაციების დროს მოსწავლეები ავსებენ „მსმენელის დღიურს“.</p> <p>დავალება 53. მოსწავლეები კიდევ ერთხელ აკვირდებიან საქართველოს რუკას და შეარჩევენ მხარეს, რომლის შესახებაც უნდა მოამზადონ ბუკლეტი. რასაკვირველია, ეს შეიძლება იყოს მშობლიური რეგიონიც.</p> <p>დავალება 54-55. მოსწავლეები ეცნობიან მიმოწერას და უპასუხებენ შეკითხვებს.</p> <p>სავარჯიშო 56. მოსწავლეები კიდევ ერთხელ კითხულობენ აისუსა და დათოს მიმოწერას და ავსებენ გამოტოვებულ ადგილებს შეთავაზებულ ტექსტში.</p> <p>დავალება 57. მოსწავლეები გაითამაშებენ ზეპირად დათოსა და აისუს მიმოწერას მცირეოდენი ცვლილებებით.</p> <p>დავალება 58 — სავარჯიშო 59. სრულდება კომპლექსური დავალება, მოსწავლეები ამზადებენ ბუკლეტს ჩემი მხარე (არაა აუცილებელი მაინცდამაინც საკუთარი რეგიონი იყოს.) თანაკლასელების ნამუშევრების პრეზენტაციისას ივსება „მსმენელის დღიური“.</p> <p>დავალება 60. მოსწავლეები მოაწყობენ ფორუმს, რომელზეც იმსჯელებენ ფშავისა და საკუთარი რეგიონის მსგავსება განსხვავებებზე.</p> <p>კარგი იქნება, თუკი ფორუმის მონაწევრებს ტელეფონითაც გადაიღებენ და ატვირთავენ „კლასვიზიის“ ვირტუალურ სივრცეში.</p> <p>რესურსები:</p> <p>სახელმძღვანელოს წიგნი და რვეული.</p>	<p>(შეგიძლია გამოიყენო, როგორც შენი ცოდნა, ასევე დამატებით ინტერნეტშიც მოიძიო ინფორმაცია.);</p> <ul style="list-style-type: none"> • მსაზღვრელ-საზღვრულის სათანადო ბრუნვაში გამოყენების ცოდნა; • შენს მხარეში მცხოვრების ადამიანების გარეგნობის, თვისებების, სამხარეულოს შესახებ ინფორმაცია; • ბუკლეტის შესაბამისი სტრუქტურა და ილუსტრაციები; • ორი ისეთი სიტყვა (სიტყვები), რომლებზეც დამატებით გექნება მცირე ინფორმაცია (ვითომ ჰიპერბმულებია); • რა დამატებითი ინფორმაცია გამოიყენე ბუკლეტზე მუშაობისას და როგორ მოიძიე იგი? დაგეხმარნენ თუ არა ამაში შენი ოჯახის წევრები? კონკრეტულად, რა ინფორმაცია მოგაწოდეს მათ? ნამუშევრის პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე; • როგორ დაგეხმარა ინფორმაციის მოძიება ბუკლეტზე მუშაობისას? • როგორ წარმართე ბუკლეტზე მუშაობა – რა გააკეთე პირველ ეტაპზე? შემდეგ? ბოლოს? • რას შეცვლიდი, ხელახლა რომ იწყებდე ბუკლეტზე მუშაობას?
	<p>შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>1) სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით საინფორმაციო ტექსტების გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) მცირე პოეტური ნაწარმოების შექმნა შეთავაზებული ყალიბისა და ლექსიკური ერთეულების მიხედვით; (2)</p>	

	<p>საკუთარი ინტერაქციის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3)</p> <p>2) საინფორმაციო ტექსტისადმი დამოკიდებულების გამოხატვა (4), ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6).</p> <p>3) საინფორმაციო ტექსტების გაანალიზება სოციოკულტურული თვალსაზრისით (7), საკუთრისგან განსხვავებული კულტურული მახასიათებლების გამოყოფა და მათი პოზიტიურად აღქმა (8), საკუთარი კულტურული მახასიათებლების წარმოჩენა(9)</p> <p>4) საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</p>
<p>მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:</p> <p>პოეტური ნაწარმოებები მეხმარება ადამიანის მიერ ცხოვრების სხვადასხვა რაკურსით აღქმაში;</p> <p>მწერლისა და პოეტის ბიოგრაფიის გაცნობიერება მეხმარება დავინახო მისი შემოქმედების კავშირი მის ცხოვრებასთან;</p> <p>პოეტის შემოქმედებასა და ცხოვრებაზე დიდ გავლენას ახდენს მისი საცხოვრებელი ადგილი, ტრადიციები, სოციოკულტურული წეს-ჩვეულებები;</p> <p>სხვადასხვა მხარის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების შედარება ჩემს საკუთარ მხარესთან, მეხმარება უკეთ გავიცნო, როგორც სხვა მხარეები, ასევე საკუთარიც.</p>	

თავი 5 – მათ შექმნეს ეპოქა

<p>თემა: მათ შექმნეს ეპოქა</p> <p>კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:</p> <p>I. მე და სამყარო: ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, ჰობი, ინტერესები)</p> <p>II. სოციოკულტურა და კულტურა:</p> <ol style="list-style-type: none"> ღირებულებები და ფასეულობები (სოციოკულტურა, ტრადიციები; ისტორიული მოვლენები). პიროვნებათშორის ურთიერთობები (საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობები);
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები:</p> <ol style="list-style-type: none"> რა ინფორმაციას მაწვდის ბიოგრაფიული ტექსტი? ვის შესახებ არის მოცემული ინფორმაცია? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად? როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები თემის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის? რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა? მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა? რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის? მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:</p> <p>კომუნიკაცია ქვეცნებები:</p> <p>სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა;</p> <p>მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა</p> <p>სამეტყველო აქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად (პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება (საქმიანობა, გეგმები/განზრახვა და ა.შ.); ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: კმაყოფილება, ინტერესი, სიხარული); ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა). <p>ტექსტის ტიპი და ჟანრი ქვეცნებები:</p> <p>ტექსტის ტიპები - არამხატვრული</p>

ტექსტის ჟანრები -

- არამხატვრული ლიტერატურა: ა) საინფორმაციო / შემეცნებითი ტექსტები, ბიოგრაფიული ტიპის ტექსტები;

ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება

ქვეცნებები:

- ტექსტის მორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., სათაური, ქვესათაური, აზვანი, რუბრიკა, წარწერა, შემოკლებული სიტყვები);
- ტექსტის მორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ესტიკულაცია, ხმის ტემბრი);
- აზვანის სტრუქტურა - თემატური წინადადება, დამხმარე წინადადებები (დამატებითი ინფორმაციის შემცველი მაგალითი, დეტალი, მონაცემი), დასკვნითი წინადადება;

ინტერპრეტაცია

ქვეცნებები:

ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

გრამატიკა

ქვეცნებები: მორფოლოგია, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

ენობრივი საკითხები:

- მორფოლოგია: სახელთა წარმოქმნა; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; შესრულებული მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება).
- ლექსიკა: ლექსიკური ერთეულების, ფრაზების განმარტებები, სინონიმური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები

ენის სწავლის სტრატეგიები

კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირი კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:

- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)

ქვეცნებები:

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;

ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა			
საკითხები:			
სოციოკულტურული რეალები, ტრადიციები, ფასეულობები;			
<p>სამეტყველო აქტები:</p> <p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, / მოთხოვნილებები /სურვილები, საქმიანობა.</p> <p>1.3. აღწერა-დახასიათება: ადამიანის ხასიათი, თვისებები; ქმედების / მოვლენის აღწერა</p> <p>1.4. გრძობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი / უარყოფითი შეფასება, შთაბეჭდილება, პოზიციის გამოხატვა</p> <p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია, სიხშირე</p> <p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება</p>	<p>ენობრივი საკითხები:</p> <ul style="list-style-type: none"> მორფოლოგია: სახელთა წარმოქმნა; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა); ზმნის აქტიური და პასიური ფორმები; შესრულებული მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება. ლექსიკა: ლექსიკური ერთეულების, ფრაზების განმარტებები, სინონიმური მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულები 		
თემატური ლექსიკა: სპორტის სახეობებთან / ცნობილი სპორტსმენების ცხოვრებასა და სპორტულ კარიერასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები			
ტექსტის ტიპები და ჟანრები: ტექსტის ტიპები - არამხატვრული ტექსტის ჟანრები - <ul style="list-style-type: none"> არამხატვრული ლიტერატურა: ა) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები, ბიოგრაფიული ტიპის ტექსტები; 			
<p>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6) კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის; კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები</p>	I ეტაპის შუალედური მიზნები		
	<p>საკითხი და ქვეცნებები: ბიოგრაფიული ტექსტები ცნობილი სპორტსმენების შესახებ</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: ვის / რის შესახებ მაწვდის ინფორმაციას ტექსტი? 2.რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ბიოგრაფიული ტექსტის უკეთ გასაგებად? 3.როგორ გამოვიყენო ბიოგრაფიულ ტექსტში მოცემული</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>

<p>(ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო. წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება; ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)</p> <p>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები). ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.</p> <p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)</p> <p>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება; ტექსტის</p>		<p>ინფორმაცია კონკრეტულ თემაზე სასაუბროდ?</p> <p>4. რა გრამატიკული ცოდნა მჭირდება კონკრეტულ თემაზე საუბრისთვის?</p>	
		<p>აქტივობები:</p> <p>N1,2 — ინტერესის გაღვივების მიზნით წინარე ცოდნის გააქტიურება: აღიარებული სპორტსმენების გახსენება / გაცნობა; N3, — ბიოგრაფიული ტექსტის გაგება-გააზრება გლობალურ დონეზე; N4,5—მასწავლებელი დამატებითი მაგალითების მოხმობით უხსნის მოსწავლეებს, როგორ არის შესაძლებელი ახალი ლექსიკური ერთეულების მიღება: სახელისგან ზმნის ან პირიქით; N6—აზრების და სათაურების შესაბამისობის დადგენა მოსწავლეებს დაეხმარებათ ტექსტის გლობალურად გააზრებაში N7—ლექსიკური ერთეულების განმარტება სინონიმების / სინონიმური ფრაზების დახმარებით N8,9—მოსწავლეები ასრულებენ ტესტს, ცხრილში მონიშნავენ შესაბამის ინფორმაციას. აღნიშნული სავარჯიშოები დაეხმარებათ მათ ტექსტის გაგება-გააზრებაში სელექციურ დონეზე, ხოლო ცხრილის უზრუნველყოფს ტექსტის გაგება-გააზრებას ინფორმაციის დახარისხების გზით; N10 —კითხვებზე პასუხის გაცემა; აქტივობების მიზანია ტექსტის სიღრმისეულ გაგება-გააზრებასა და არგუმენტული მსჯელობის უნარის განვითარებაზე მუშაობა; N11,12— ბიოგრაფიული ტექსტის გაგება-გააზრება გლობალურ დონეზე;</p>	<p>კომპლექსური დავალება N1</p> <p>მოიძიე ინფორმაცია შენს საყვარელ სპორტსმენზე და მისი ბიოგრაფიის მიხედვით შექმენი პოსტერი</p> <p>პოსტერში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> ამ სპორტსმენის ცხოვრების მთავარი და საინტერესო მისი სპორტული კარიერის საფეხურები (როდის და სად დაიწყო სპორტული კარიერა, სად გააგრძელა, როდის რა წარმატებას მიაღწია...) ნასწავლი ენობრივი კონსტრუქციების ცოდნა; სპორტსმენის მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული მომენტების ილუსტრაციები / ფოტოები (დახატე ან ჩააწებე). <p>პოსტერის პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> რატომ მოგწონს ეს სპორტსმენი? როგორ მოიძიე ინფორმაცია მის შესახებ? როგორ შეცვლიდი ნამუშევარს, ხელახლა რომ იწყებდე მასზე მუშაობას?

<p>სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.</p> <p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულები ს გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)</p> <p>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; პირადი დამოკიდებულები ს გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მამოღვეს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.</p> <p>ენობრივ-კულტურული თვითმოფადობა (შედეგები 7, 8, 9)</p> <p>ქართული ენის</p>	<p>N 13,14—ლექსიკური ერთეულების და ფრაზების მნიშვნელობების დადგენაზე მუშაობა;</p> <p>N15 — კითხვებზე პასუხის გაცემა; აქტივობის მიზანია ტექსტის გაგება-გააზრება სელექციურ დონეზე;</p> <p>N16, — ტექსტი, ცხრილში შესაბამისი მნიშვნელობის მონიშვნა/ჩაწერა; აქტივობების მიზანია ტექსტის გაგება-გააზრება სელექციურ და დეტალურ დონეზე;</p> <p>N17 — ტექსტის გაგება-გააზრება სელექციურ დონეზე ინფორმაციის დახარისხების გზით;</p> <p>N18— ლაპარაკი: მესის წარმატებები; წინა აქტივობები დაეხმარებათ მოსწავლეებს კონკრეტულ თემაზე საუბარში. რეკომენდებულია (საჭიროების შემთხვევაში) მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს შეკითხვები.</p> <p>N19,20 — დანართი; საჭიროა მასწავლებელმა აღნიშნული გრამატიკული საკითხი განავრცოს დამატებითი მაგალითებით.</p> <p>N21,22 — ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობების დადგენაზე მუშაობა; ტექსტის გააზრება სელექციურ დონეზე;</p> <p>N23 — არგუმენტული მსჯელობა სპორტსმენის პიროვნული თვისებებისა და წარმატებების შესახებ; აქტივობა მოსწავლეებს განუვითარებს ლაპარაკის უნარს.</p> <p>N24— წყვეტილის წარმოება; საჭიროა მასწავლებელმა შესაბამისი სტრატეგიებით კიდევ ერთხელ შეახსენოს მოსწავლეებს ამ გრამატიკული კატეგორიის არსი: შეიძლება პარალელის გავლება წყვეტილის და უწყვეტელის ფორმებს შორის და მათ შორის შინაარსობრივი განსხვავების ხაზგასმა. ძალიან მნიშვნელოვანია წყვეტილის სახელთან ბრუნვაში ურთიერთობის წესების ახსნა; ასევე საჭიროა წყვეტილის ფორმაზე ყურადღების გამახვილება. ამაში მასწავლებელს დაეხმარება შემდეგი მიგნება: საკმაოდ დიდ ჯგუფს ქმნის ზმნები, რომლებიც მხოლოდით რიცხვში, მესამე პირში ბოლოვდება ს თანხმოვანზე: წერს, ხატავს ა. შ. ამ ზმნების სუბიექტი აწმყოში,</p>	
--	---	--

<p>შესწავლისას აღმოვაჩინეთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას); განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობა თა დაფასებას.</p> <p>გრამატიკა (შედეგები 5) სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და</p>	<p>უწყვეტელსა და მყოფადში (მომავალში) დგას სახელობით ბრუნვაში, ობიექტი კი— მიცემით ბრუნვაში; ხოლო წყვეტილსა და II კავშირებითში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, ობიექტი — სახელობით ბრუნვაში. ეს საკმაოდ რთული წესია. მოსწავლეებს უჭირთ ამ წესის დამახსოვრება და, მით უმეტეს, გამოყენება. განსაკუთრებით ართულებს საქმეს ის, რომ ეს წესი არ ვრცელდება ყველა ზმნაზე და მოსწავლე იბნევა: აღარ იცის რომელ ზმნასთან გამოიყენოს აღნიშნული წესი. ამისთვის კარგი საშუალებაა ახლანდელი დროის მესამე პირის ფორმაზე მითითება: წერს. მხოლოდ ს-ზე დამთავრებულ ზმნებს ეხება ეს წესი (გამონაკლისია: მიდის, მირბის, ზის, დგას, წევს, არის). ამასთანავე, მოსწავლეს უჭირს წყვეტილის ფორმის დამახსოვრება. მოსწავლის წიგნში მითითებული ორი გზის გარდა, მასწავლებელმა მოსწავლე უნდა დააკვიროს წყვეტილის ფორმის დაბოლოებაზეც; რომ წყვეტილი ბოლოვდება იმავე ხმოვანზე, რომელი ხმოვანიც მონაწილეობს შესაბამის ნაცვალსახელში (მესამე პირის მრავლობითი რიცხვის გარდა): მე დავწერე ჩვენ დავწერეთ შენ დაწერე თქვენ დაწერეთ მან დაწერა მათ დაწერეს ეს მიგნება კიდევ იმიტომ არის სასარგებლო, რომ მოსწავლე დაიმახსოვრებს: წყვეტილში სუბიექტს ესაჭიროება მოთხრობითი ბრუნვა (მან დაწერა), და არა სახელობითი(ის დაწერა); აღნიშნულ შეცდომას კი საკმაოდ ხშირად უშვებენ მოსწავლეები. N25, 26, 27, 28, 29, 31, 32,33 — წყვეტილის ფორმების წარმოებასა და გამოყენებაზე ვარჯიში; N30 — წყვეტილის წარმოება: მასწავლებელი გაახსენებს მოსწავლეებს N24 აქტივობას და მხოლოდ ამის შემდეგ მიაპყრობს მოსწავლეთა ყურადღებას ზმნებზე, რომლებიც აწმყოში ბოლოვდება ა ხმოვანზე: ეხმარება, ელოდება. მასწავლებელი მიუთითებს, რომ ზემოთ აღნიშნული წესი არ</p>	
---	--	--

<p>ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.</p> <p>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <p>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეცხველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიაღწილებს სწავლას და საშუალებას მამლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიაღწილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.</p> <p>სწავლის პროცესის განვლიერებულია და მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11,</p>	<p>ვრცელდება ასეთ ზმნებზე და მათი სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაში დგას, ხოლო ობიექტი — მიცემითში:</p> <p>მე დავეხმარე მას ჩვენ დავეხმარეთ მას შენ დაეხმარე მას თქვენ დაეხმარეთ მას <u>ის</u> დაეხმარა <u>მას</u> <u>ისინი</u> დაეხმარნენ <u>მას</u>.</p> <p>ასევე ყოველთვის სახელობითში დგას მიდის, მირბის, დგას, ზის, წევს, არის ზმნების სუბიექტი. საბოლოოდ, მოსწავლეებს ნათელი წარმოდგენა უნდა შეექმნათ ქართულ ენაში ზმნათა ორი ჯგუფის არსებობის და მათთან დაკავშირებული კანონზომიერებების შესახებ;</p> <p>N34— პოსტერის შექმნა რომელიმე სპორტსმენის შესახებ. საჭიროა მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს: მაგალითად, როგორ დაიტანონ პოსტერზე ინფორმაცია დახარისხებულად, როგორ გაანაწილონ პოსტერზე ადგილები, როგორ გამოყოფონ მათთვის პრიორიტეტული ინფორმაცია, როგორ გააფორმონ ქვესათაურებით, ფოტოებით ან ილუსტრაციებით.</p>	
	<p>რესურსები: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, ინტერნეტი (ინფორმაციის ინტერნეტში მოძიების აუცილებლობის შემთხვევაში), პლიფჩარტის ფურცელი, მარკერი.</p>	
	<p>შეფასების კრიტერიუმები მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ol style="list-style-type: none"> სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით სპორტის თემაზე ბიოგრაფიული ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით მსჯელობა / დასკვნების გამოტანა; (1) სპორტის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3) პირადი ან სხვისი გამოცდილებიდან სათანადო მაგალითების დამოწმება საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად (4) ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში 	

<p>12) სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</p>	<p>მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</p>		
	<p>II ეტაპის შუალედური მიზნები</p>		
	<p>საკითხი და ქვეცნებები: შემეცნებით-საინფორმაციო ტექსტი ჭადრაკის შესახებ</p>	<p>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები: რის შესახებ არის ტექსტი? 2.რა ცოდნა და სტრატეგიები გამოვიყენო ტექსტის უკეთ გასაგებად? 3.როგორ გამოვიყენო ტექსტში მოცემული ინფორმაცია პოსტერის შესაქმნელად? 4. რა გრამატიკული ცოდნა მჭირდება კონკრეტულ თემაზე პოსტერის მოსამზადებლად?</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>
<p>აქტივობები: N35—შემეცნებით-საინფორმაციო ტექსტი ჭადრაკის შესახებ; გაგება-გააზრება გლობალურ დონეზე N36, 37, 38— ლექსიკურ ერთეულების და ფრაზების მნიშვნელობების დადგენაზე მუშაობა; N39 —შეკითხვებზე პასუხის გაცემა; აქტივობის მიზანია ტექსტის გააზრება სელექციურ დონეზე; N40—დანიშნულების სახელების წარმოება; წარმოების წესისა და თავისებურებების გაცნობა.</p>	<p>კომპლექსური დავალება N2 შეარჩიე რომელიმე სპორტული თამაში და გააკეთე პრეზენტაცია მის შესახებ Powerpoint-ის პროგრამით; პრეზენტაციაში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორი თამაშია? რამდენი ადამიანი თამაშობს? სად თამაშობენ? რა ატრიბუტი / ატრიბუტებია თამაშისთვის საჭირო? • თამაშის წესები; • ამ თამაშის შესახებ არსებული ლეგენდა / თამაშის წარმოშობის ისტორია (მოკლედ); 		

	<p>N41, 42 — აქტივობა დაეხმარებათ მოსწავლეებს დანიშნულების სახელების წარმოებასა და პრაქტიკულად გამოყენებაში;</p> <p>N43 — კომპლექსური დავალება — რომელიმე სპორტული თამაშის შესახებ პრეზენტაციის გაკეთება Powerpoint-ის პროგრამით. საჭიროა, მასწავლებელი დაეხმაროს მოსწავლეებს ტექსტების მოძიებასა და ადაპტირებაში, რომ ინფორმაცია მოკლედ და ლაკონურად იყოს გადმოცემული. ამის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს Powerpoint-ის პროგრამას, ასწავლის, როგორ იქმნება პრეზენტაცია, რა პრინციპებია გასათვალისწინებელი: შინაარსი, ფორმა, დიზაინი.</p> <p>N44 — აქტივობის მიზანია, მოსწავლეებმა შეძლონ ურთიერთშეფასება და კონსტრუქციული უკუკავშირი როგორც წერით, ისე ზეპირი მეტყველებით. ამისთვის საჭიროა, მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზოს შესაბამისი კონსტრუქციები: თანაკლასელის დავალებაში მომეწონა ის, რომ... / ჩემი რჩევა იქნება, გაითვალისწინოს... / ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო...</p>	<ul style="list-style-type: none"> • ცნობილი სპორტსმენები, რომლებიც ამ სპორტით არიან / იყვნენ დაკავებული; • შესაბამისი ფოტოები და ილუსტრაციები. <p>პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ მოიძიე მასალა პრეზენტაციისთვის? • რომელი განვლილი დავალებები დაგეხმარა პრეზენტაციის მომზადებაში? • რა სირთულე შეგხვდა მუშაობის პროცესში? • რას გაითვალისწინებ სამომავლოდ მსგავსი დავალების მომზადებისას?
	<p>რესურსები: მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა, ინტერნეტი (ინფორმაციის ინტერნეტში მოძიების აუცილებლობის შემთხვევაში)</p>	
	<p>შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო სტრატეგიების გამოყენებით შემეცნებით-საინფორმაციო ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით 	

	<p>დასკვნების გამოტანა (1), პრეზენტაციის შექმნა კონკრეტული საყრდენების დახმარებით (2)</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციოკულტურული თვალსაზრისით კონკრეტული ინფორმაციის ან მთლიანი ტექსტის გაანალიზება (7), განსხვავებული კულტურული ნორმებისა და ღირებულებების გაგება-გააზრება და კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა (8) • დავალების შესრულებისას სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (10), სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა (11), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება (12)
<p>მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:</p> <p>სპორტი — ეს არის ჯანსაღი ცხოვრების წესი, ეხმარება ადამიანს პიროვნულ ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში;</p> <p>წარმატების მისაღწევად ბევრი შრომაა საჭირო;</p> <p>წარმატებული ადამიანის ცხოვრებისეული დეტალების გაცნობა მეხმარება საკუთარ შესაძლებლობაზე დაკვირვებაში; პრიორიტეტების განსაზღვრაში;</p> <p>შემეცნებით-საინფორმაციო / ბიოგრაფიული ტიპის უკეთ გასაგებად შემიძლია გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და კითხვის სტრატეგიების ცოდნა;</p> <p>ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო ცნობილ სპორტსმენზე / რომელიმე სპორტის შესახებ პოსტერის / პრეზენტაციის შექმნა.</p>	

თავი 6 – ისტორია და არქიტექტურა

<p>თემა: ისტორია და არქიტექტურა</p> <p>კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:</p> <p>I. მე და სამყარო:</p> <ol style="list-style-type: none"> ყველაფერი ჩემ შესახებ (ინტერესები, არჩევანის გაკეთება); ფიზიკური გარემო (გეოგრაფიული გარემო, მხარეები). <p>II. სოციოკულტურა და კულტურა: ღირებულებები და ფასეულობები (კულტურა, ღირსშესანიშნაობები; ისტორიული პიროვნებები და მოვლენები);</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები:</p> <ol style="list-style-type: none"> რას მეუბნება საინფორმაციო ტექსტი არქიტექტურის შესახებ? რას მეუბნება ლეგენდა? რას ეხება მოცემული ინფორმაცია? რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად? როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის? რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა? როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? არის თუ არა ჩემი აზრი / იდეა ორიგინალური და სხვებისგან განსხვავებული და რით? მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა? რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის? მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:</p> <p>კომუნიკაცია ქვეცნებები:</p> <p>სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;</p> <p>მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა</p> <p>სამეტყველო აქტები:</p> <ul style="list-style-type: none"> ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, დახმარების თხოვნა, მოსაზრებების გაცვლა.) ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად გარემოს, ადამიანის საქმიანობის აღწერა/დახასიათება; სურვილების გაზიარება.); ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...); ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა).

ტექსტის ტიპი და ჟანრი

ქვეცნებები:

ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული

ტექსტის ჟანრები -

- მხატვრული ლიტერატურა: პროზაული ნაწარმოებები, ლეგენდა;
- არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები
- მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;

ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება

ქვეცნებები:

- ტექსტის მორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (*სათაური, აბზაცი, წარწერა,*)
- ტექსტის მორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (*ილუსტრაცია, სქემა, ცხრილი, ტიპოგრაფიულ მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი*);
- აბზაცის სტრუქტურა - აბზაცი

ინტერპრეტაცია

ქვეცნებები:

ჟანრი: თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

გრამატიკა

ქვეცნებები: მორფოლოგია, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

ენობრივი საკითხები:

- მორფოლოგია: შესრულებული მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); წყვეტილი, საწყისი;
- მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები: სასვენი ნიშნების ხმარება სხვადასხვა ტიპის ტექსტებში.
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;

ენის სწავლის სტრატეგიები

მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:

- ენათშორისი პარალელების გავლება;
- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- დედუქცია – ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

<p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) ქვეცნობები:</p> <p>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;</p>	
<p>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა</p> <p>საკითხები:</p> <p>სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, ეროვნული და რელიგიური დღესასწაულები, ქცევისა და მეტყველების ეტიკეტი, ფასეულობები; სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები;</p>	
<p>სამეტყველო აქტები:</p> <p>1.1. სოციალური ურთიერთობები: (კომუნიკაციის დაწყება/დასრულება, დახმარების თხოვნა, მოსაზრებების გაცვლა</p> <p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: გარემოს, ადამიანის საქმიანობის აღწერა/დახასიათება; სურვილების გაზიარება.</p> <p>1.3. აღწერა-დახასიათება: გარემოს, ადამიანის საქმიანობის აღწერა/დახასიათება; სურვილების გაზიარება.);</p> <p>1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: (დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა: ვარაუდი, ინტერესი / ინდიფერენტულობა...);</p> <p>1.5. დროში ორიენტირება: ქრონოლოგია,</p> <p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება,</p> <p>1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზეზი, შედეგი, პირობითობა, მიზანი</p>	<p>ენობრივი საკითხები:</p> <p><u>მორფოლოგია:</u> შესრულებული მოქმედების გამოხატვა წარსულში (ფორმა და შინაარსი - ერთგზისი და მრავალგზისი მოქმედება, უნახავი მოქმედების გამოხატვა - I თურმეობითი); წყვეტილი, საწყისი;</p> <p><u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> სასვენი ნიშნების ხმარება სხვადასხვა ტიპის ტექსტებში.</p> <p><u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი;</p>
<p>თემატური ლექსიკა: არქიტექტურასთან და ისტორიულ თემატიკასთან დაკავშირებული ლექსიკა. სატელევიზიო სიუჟეტში გამოსაყენებელი ლექსიკა.</p>	
<p>ტექსტის ტიპები და ჟანრები: ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული ტექსტის ჟანრები - პროზაული ნაწარმოებები, ლეგენდა; არამხატვრული ლიტერატურა: ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები მედია/მულტიმედია ტექსტები: საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;</p>	

სამიზნე ცნებები და მათთან	I ეტაპის შუალედური მიზნები		
<p>დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6) კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის; კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო. წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;</p> <p>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5) ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები). ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მუხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.</p> <p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6) ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აზრები, წარწერა) და</p>	<p>საკითხი და ქვეცნებები: კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ); წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: I დავალებისთვის: ტექსტის რომელ ინფორმაციას და მინიშნებებს დავეყრდნო პერსონაჟის სიტყვის აღდგენისას? როგორ, რა გრამატიკული საშუალებებით ჩამოვყალიბო ჩემი აზრი? რა ფორმა მივცე ტექსტს, აღწერის, დიალოგის, მონოლოგის თუ ეს უნდა იყოს შერეული ფორმატის ტექსტი? ხომ არ მჭირდება დამატებითი ინფორმაცია?</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>
	<p>აქტივობები: იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ინტერესით დაიწყონ შეთავაზებული თემის შესწავლა, სასურველია მასწავლებელმა მათ შესთავაზოს ამ თავის სათაურის „ისტორია და არქიტექტურა“ გააზრება. საინტერესო იქნება მოსწავლეების მოსაზრების გაგება, თუ რატომ არის სათაურში ერთმანეთთან დაკავშირებული ეს ორი სიტყვა. ამის შემდეგ მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა გააცნოს სახელმძღვანელოში მოცემული გამოჩენილი ადამიანების მოსაზრებები არქიტექტურაზე. წიგნის 1-ელი დავალების შესრულების შემდეგ კი საინტერესო იქნება თუ მოსწავლეები ამ გამონათქვამებს და ილუსტრაციებს ერთმანეთთან დააკავშირებენ. თავად პირველი სავარჯიშოს მიზანია, მოსწავლეებმა ტექსტის წაკითხვამდე აღმოაჩინონ, რომ ზოგიერთი ისტორიული ნაგებობა</p>	<p>I კომპლექსური დავალება: წაკითხე და დეტალურად გაიაზრე ლეგენდა ვარძიაზე. მეფის მხლებლის პირით გადმოეცი თამარის დაკარგვის ისტორია. ამისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • აღადგინე ამბის დასაწყისი - როგორ გამოვიდნენ მეფე და მხლებლები თამართან ერთად სასახლიდან) • გადმოეცი თამარის მთავარი ნაწილი - როგორ დაიკარგა თამარი. • გადმოეცი თამარის დასასრული - როგორ იპოვა მხლებელმა თამარი. • დიალოგის ფორმატში გადმოეცი თამარისა და მხლებლის საუბარი. • პირველ პირში გადმოეცი მთხრობლის ემოცია (შემეშინდა, დავიბენი, დავიყვირე...) <p>მომზადეთ პრეზენტაცია:</p>	

<p>არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება; ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.</p> <p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)</p> <p>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.</p> <p>ენობრივ-</p>	<p>სამშენებლო მასალითაა აგებული, ზოგი კი კლდეშია გამოჭრილი.</p> <p>რვეულის სავარჯიშოები 2, 3</p> <p>ემსახურება წაკითხვამდე იმ ლექსიკური ერთეულების დამუშავებას, რომლებიც მოსწავლეებს შეხვდებათ ტექსტში.</p> <p>წიგნის დავალება 4-ის</p> <p>შესრულებით მოსწავლეები დააზუსტებენ 1-ელი დავალების ილუსტრაციებზე მოცემული თითოეული ნაგებობის დასახელებას და ტიპს.</p> <p>რვეულის სავარჯიშო 5</p> <p>მოსწავლეებს შეამზადებს ტექსტის წასაკითხად. შემოთავაზებული მეთოდი უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა წაკითხვამდევე ამოიცნონ ტექსტის მთავარი თემა, ხოლო კითხვისას ყურადღება გაამახვილონ შინაარსის მნიშვნელოვან დეტალებზე.</p> <p>წიგნის დავალებები 6, 7, 8, 9, 10</p> <p>ემსახურება ტექსტის როგორც გლობალურ, ისე დეტალურ გაგებას როგორც ლექსიკური ერთეულების განმარტებებით, ასევე წინარე ცოდნასთან კავშირის დამყარებით. ამიტომ მასწავლებლებს ეძლევათ რეკომენდაცია, რომ ყველა სავარჯიშო შეასრულებინონ მოსწავლეებს და თუ საჭიროდ მიიჩნევენ, მიაწოდონ სხვა სიტყვების და ფრაზების განმარტებებიც.</p> <p>წიგნის დავალება 11-ის</p> <p>საშუალებით მოსწავლეები გაიაზრებენ, როგორ გადმოიცემა ზმნა I თურმეობითში და რას გამოხატავს ის. მიუხედავად იმისა, რომ გრამატიკულ ბლოკში მაგალითების სახით მოცემული წინადადებები მოსწავლეს აჩვენებს ამ მწკრივის წარმოების და გაგების პრინციპს, საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია განიხილოს დამატებითი მაგალითებიც. ასევე, შესაძლებელია მოსწავლეები მიუბრუნდნენ წაკითხული ტექსტის ბოლო ნაწილს და</p>	<ul style="list-style-type: none"> • თქვენი ნამუშევარი წარუდგინეთ კლასს. <p>პრეზენტაციის შემდეგ:</p> <ul style="list-style-type: none"> • აღნიშნე, რა გაგიჭირდა დავალების შესრულებისას? • რას შეცვლიდი, ხელახლა რომ წერდე ამ დავალებას (შეარჩიე ორი მნიშვნელოვანი მხარე).
---	--	---

<p>კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9) ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩინეთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას); განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებას.</p> <p>გრამატიკა (შედეგები 5) სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის. ენის სწავლის</p>	<p>იპოვონ იქ I თურმეობითში გააქტიურებული ზმნები. რვეულის მე-12 სავარჯიშო მოსწავლეებს სთავაზობს 1-ელ კომპლექსურ დავალებას, რომელიც მთლიანად ეყრდნობა მათს წინარე ცოდნას და წაკითხული ტექსტის ბოლო, ლეგენდის ნაწილს. დავალების შესრულების ეტაპები დეტალურად არის გაწერილი და ემსახურება სხვადასხვა საშუალებებით წერის უნარის სრულყოფას, ასევე მე-2 კომპლექსური დავალებისთვის საჭირო რესურსის შექმნას. რვეულის სავარჯიშოები 13, 14, 15, 16 ემსახურება I თურმეობითის მწკრივის სრულყოფილად შესწავლას ზმნების უღლების, ზმნების წინადადებაში გააქტიურებისა და ტექსტთან ხელახლა მიბრუნებით. ეს დავალებები საშუალებას იძლევა მასწავლებელმა მოსწავლეები ამუშაოს სხვადასხვა ფორმატში - ინდივიდუალურად, წყვილებსა თუ ჯგუფებში. ასევე, ეს სავარჯიშოები საშუალებას იძლევა, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით მასწავლებელმა მიმართოს განმავითარებელ შეფასებას (მაგ: მოსწავლეების მუშაობაზე დაკვირვება სწრაფი ჩანაწერების ან წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ფურცლების გამოყენებით). წიგნის დავალება 17 მოსწავლეებს მოაბრუნებს ტექსტის წაკითხვამდე დაწყებულ დავალებასთან და შეაჯამებს მათს ცოდნას. ამით დასრულდება ცხრილის შევსება, რომელიც შეიძლება გარკვეული პერიოდით განთავსდეს საკლასო ოთახის კედელზე. ამით მოსწავლეები კვლავ მიუბრუნდებიან მათ მიერვე გამოთქმულ სურვილებს და მოიძიებენ იმ ინფორმაციას, რომლის გაგების სურვილიც კითხვის დასრულების შემდეგ გაუჩნდათ. ამის შემდეგ მოსწავლეები იწყებენ</p>	
--	--	--

<p>სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5) ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მამლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.</p>	<p>ტექსტის მე-3 ეპიზოდის წაკითხვას წიგნის დავალება 18-ის ინსტრუქციის მიხედვით. რვეულის საფარჯიშო 19 კარგად გააზრებინებს მოსწავლეებს წაკითხული მე-3 ეპიზოდის შინაარსს, ასევე მასწავლებელს საშუალებას მისცემს გადაამოწმოს, როგორ გაიგო თითოეულმა მოსწავლემ I თურმეობითის მწკრივის წარმოება. წიგნის დავალება 20 მოსწავლეებს სთავაზობს მე-2 კომპლექსურ დავალებას, რომელიც მთლიანად ეყრდნობა ბავშვების მიერ 1-ელი კომპლექსური დავალების ფორმატში შექმნილ ტექსტს. რადგან მეორე კომპლექსური დავალების შესრულებას სჭირდება ვიდეო გადაღება, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეები დააწყვილოს და ამ დავალების ფორმატში გადაუნაწილოს ფუნქციები/როლები (შესაძლოა ეს მოსწავლეებმა თავადაც გააკეთონ). დავალების მსვლელობა და შესრულების ეტაპები დეტალურად არის გაწერილი.</p>	<p>II კომპლექსური დავალება: პირველი დავალების მიხედვით მოამზადე და ჩაწერე 1-2 წუთიანი საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტი. ამისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> წარმოიდგინე, რომ ხარ ტელეჟურნალისტი და თამარის დაკარგვის შესახებ გაიგე. შეარჩიე, კონკრეტულად რა დეტალებს მიაწოდებ მაყურებელს ამ ამბიდან? რას მიაქცევ ყურადღებას, თავად ამბავს თუ მხლებლის ემოციას? ამბავი გადმოეცი, როგორც უნახავი მოქმედება და გამოიყენე ზმნის I თურმეობითის ფორმები. სიუჟეტი ჩაწერე სმარტფონის ან კომპიუტერის მეშვეობით. მოისმინე ჩაწერილი სიუჟეტი, საჭიროების მიხედვით შეიტანე ცვლილებები და ჩაწერე ხელახლა. შენი შექმნილი სიუჟეტი ატვირთე თიმსის ჯგუფში. <p>ამის შემდეგ:</p> <ul style="list-style-type: none"> შეარჩიე ერთ-ერთი თანაკლასელის მიერ შექმნილი სიუჟეტი და დაწერე გამომხმარებელ ფორმულით: - 2 რამ, რაც მოგეწონა, 1 რამ, რასაც შეცვლიდი.
<p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12) სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს ამლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის</p>	<p>რესურსები: სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, საშინაო დავალების რვეული. ფურცლები, მარკერები, საპრეზენტაციო საშუალებები, სმარტფონი, კომპიუტერი...</p>	<p>შეფასების კრიტერიუმები თემის ფარგლებში მოსწავლეს შეუძლია: კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)</p> <ul style="list-style-type: none"> საკომუნიკაციო სიტუაციის მახასიათებლების გაცნობიერება და ინტერაქციის დროს მათი სათანადოდ გათვალისწინება. კონკრეტული ტექსტების გაგება-გაზრება და შედგენა-გაზიარება; ფუნქციური სამეტყველო აქტების მიზნობრივად შესრულება; ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. <p>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <ul style="list-style-type: none"> ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას. <p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 5)</p> <ul style="list-style-type: none"> ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება;

<p>ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</p>	<p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგი 4);</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტში ასახული თემის, მიზნის, პრობლემის, ცალკეული საკითხების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა, ახსნა-დასაბუთება და დასკვნების გამოტანა; • საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტში ასახული განსხვავებული თვალსაზრისებისა და პერსონაჟთა ქცევის მოტივების შეფასება; • ტექსტში მოცემული ინფორმაციის საკუთარ გამოცდილებასთან დაკავშირება. <p>გრამატიკა (შედეგი 5)</p> <ul style="list-style-type: none"> • ტექსტის ძირითადი ენობრივი მახასიათებლების ამოცნობა და მათი გამოყენება კონკრეტული მიზნით; • სხვადასხვა ფუნქციური სტილისათვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციების ამოცნობა და მათი ფუნქციური გამოყენება კონკრეტული მიზნით; • ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნის გამოყენება კონკრეტული სამეტყველო აქტების შესრულებისას. <p>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსმენის, კითხვის, წერისა და ლაპარაკის სტრატეგიების გამოყენება ტექსტების გაგება-გააზრებისა და შექმნა-გაზიარების ხელშესაწყობად; • ენობრივი (ლექსიკის, გრამატიკის) სტრატეგიების ეფექტურად გამოყენება კონკრეტული ენობრივი საკითხების ათვისების ხელშესაწყობად; • საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ენობრივი უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება. <p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები 10, 11, 12)</p> <ul style="list-style-type: none"> • სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, შემაფრთხილებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა. <p>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)</p> <ul style="list-style-type: none"> • კულტურული განსხვავებების მიმართ ინტერესის გამოჩენა; • განსხვავებულ კულტურებს შორის პარალელების გავლენა; საკუთარ სოციოკულტურულ გარემოსთან მსგავსება-განსხვავებების განსაზღვრა; • კულტურათა დიალოგისთვის ხელის შეწყობა შემოქმედებითი პროდუქტების შექმნის, ინტერპრეტირებისა და გაზიარების გზით. <p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ლეგენდის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) ტექსტზე დაყრდნობით ახალი ტექსტის შექმნა; (2) 2. ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6). 3. საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი ტექსტის გააზრებულად გამოყენება (12). 4. ტექსტის ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება მსგავსი ტექსტების შექმნისას. 5. ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება; (5) 6. საინფორმაციო ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. 7. საჭირო რესურსების შექმნა და გამოყენება; დავალების
---	---

<p>შესრულებისას საკომუნიკაციო ამოცანის შესატყვისი სტრატეგიების შერჩევა და გამოყენება; შედეგებზე დაკვირვებით გამოყენებული სტრატეგიების შეფასება სათანადოობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით; იმ მიზეზებისა და ფაქტორების გაანალიზება, რომლებიც ხელს უშლის წინსვლაში (ქ.მ.საბ. 10. 11. 12).</p>		
<p>II ეტაპის შუალედური მიზნები</p>		
<p>საკითხი და ქვეცნებები: წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);</p>	<p>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები: გარდა ინსტრუქციებისა, კიდევ რა დამატებითი რესურსები დამჭირდება ამ დავალების სრულყოფილად შესასრულებლად? როგორ შევარჩიო და გავანაწილო ინფორმაცია, ისე, რომ ძირითად საკითხებზე გავამახვილო ყურადღება და ბუკლეტი მაქსიმალურად ინფორმაციული იყოს?</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>
<p>აქტივობები: რვეულის სავარჯიშო 21 მოსწავლეებს უბიძგებს მიუბრუნდნენ მე-5 სავარჯიშოში მოცემულ ცხრილს (როგორც აღვნიშნეთ, შესაძლოა ეს ცხრილი საკლასო ოთახის კედელზე იყოს განთავსებული) და და მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ვარძიაზე. ეს მოსწავლეებს განუვითარებს ახალი და განსხვავებული ინფორმაციის მოძიების უნარს და საშუალებას მისცემს ათვისებული ლექსიკა და გრამატიკული საკითხები გამოიყენონ წერითი დავალების შესრულებისას. რვეულის სავარჯიშო 23 მოსწავლეებს სთავაზობს მე-3 კომპლექსურ დავალებას. ამ დავალების მიზანია მოსწავლეებმა შექმნან</p>	<p>კომპლექსური დავალება 3 რვეულში მოცემული ნიმუშისა და ინსტრუქციის მიხედვით დაამზადე საინფორმაციო ბუკლეტი ვარძიის შესახებ. ამისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> ფურცელი გაკეცე სამ ტოლ ნაწილად. დანომრე და მიეცი ბუკლეტის ფორმა. ყდაზე დაწერე ის, რაც მკითხველის მიანიშნებს, რომ ვარძიის შესახებ ეცნობა ინფორმაციას (სათაური, ილუსტრაცია, ფრესკა, რუკა და ა.შ.) ფურცლის შიდა სვეტში (2) ჩაწერე ის, რის მიხედვითაც მკითხველი გაიგებს ვარძიის შესახებ საჭირო ინფორმაციას (ადგილმდებარეობა, გეოგრაფია, აგების თარიღი...) 	

<p>საინფორმაციო ბუკლეტი და ამ პროცესში გამოიყენონ როგორც ახლად ნასწავლი, ასევე მათ მიერვე მოძიებული ინფორმაცია. დავალების მსვლელობა და ეტაპები დეტალურად არის გაწერილი სავარჯიშოს პირობაში.</p> <p>წიგნის დავალება 23 მასწავლებელს საშუალებას მისცემს გადაამოწმოს, რამდენად სწორად განასხვავებენ მოსწავლეები ერთმანეთისგან ფაქტსა და ვარაუდს, ასევე მოსწავლეებს შეამზადებს მე-4 კომპლექსური დავალების შესასრულებლად.</p> <p>რვეულის სავარჯიშო 24, 25 ემსახურება მოსასმენი დავალების გაგება-გააზრებას და მოსწავლეებს გაუვარჯიშებს მოსმენა-გაგების უნარებს.</p>	<ul style="list-style-type: none"> • შემდეგ სვეტში (3) ჩაწერე ვარძიის არქიტექტურული თავისებურების და კომპლექსის შიდა მოწყობის შესახებ, დაურთე შესაბამისი ილუსტრაცია. • შემდეგ სვეტში (4) შეიტანე ინფორმაცია თამარ მეფის შესახებ (დაურთე ფრესკა ან ილუსტრაცია...) • ფურცლის გარეთა კიდის სვეტზე (5) გადაიტანე ინფორმაცია ლეგენდიდან. დაურთე შესაბამისი ილუსტრაცია. • გარეთა შუა სვეტში (6) ჩაწერე შენ მიერ მოძიებული ინფორმაცია ვარძიის შესახებ (წიგნში მოცემულისგან განსხვავებული). 	
<p>რესურსები: სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, საშინაო დავალების რვეული.</p> <p>ფურცლები, მარკერები, ფოტოები, ილუსტრაციები, საპრეზენტაციო საშუალებები, კომპიუტერი...</p>	<p>პრეზენტაციისას:</p> <ul style="list-style-type: none"> • შენი ნამუშევარი წარუდგინე კლასს ან გამოაქვეყნე სკოლის ვებგვერდზე. <p>პრეზენტაციის შემდეგ:</p> <ul style="list-style-type: none"> • გაგიჭირდა თუ არა დავალების შესრულება? • რას შეცვლიდი, დავალებას ხელახლა რომ აკეთებდე? 	
<p>შეფასების კრიტერიუმები:</p> <p>მოსწავლეს შეუძლია: კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული ტექსტების გაგება-გააზრება და შედგენა-გაზიარება; • ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. • ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება (5); • წერისა და სტრატეგიების გამოყენება ტექსტების შექმნა-გაზიარების ხელშესაწყობად; • სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, შემაფერხებელი და ხელშეწყობი პირობების გაცნობიერება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა. 		
<p>III ეტაპის შუალედური მიზნები</p>		
<p>საკითხი და ქვეცნებები:</p> <p>ლაპარაკის სტრატეგიები</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები:</p> <p>რა შენობა შევარჩიო და</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>

	<p>ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;</p> <p>წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);</p>	<p>მჭირდება თუ არა სხვების დახმარება ამ საქმეში? რა გავითვალისწინო ნანახი სიუჟეტიდან ჩემი სიუჟეტის მომზადებისთვის? რა ხერხები და საშუალებები გამოვიყენო, რომ სიუჟეტი იყოს საინტერესოც, სანახაობრივც და სასწავლო მიზნების შესაბამისიც.</p>	
	<p>აქტივობები: რეგულის სავარჯიშო 26 მოსწავლეებს სთავაზობს მე-4 კომპლექსურ დავალებას. ეს დავალება შეაჯამებს მოსწავლეთა იმ ცოდნას და უნარებს, რაც ამ თავზე მუშაობისას შეიძინეს. ასევე ეს დავალება მოსწავლეებს საშუალებას მისცემს პრაქტიკულად შეძლონ საკუთარ საცხოვრებელ გარემოში მოძიებული არქიტექტურული ნაგებობისა და მისი ისტორიის ერთმანეთთან დაკავშირება. ამ პროცესში კი გამოიყენონ ყველა ის ცოდნა და უნარი, რაც შეიძინეს სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის დავალებებზე მუშაობისას. დავალების მსვლელობა და შესრულების ეტაპები დეტალურად არის გაწერილი სავარჯიშოს პირობაში.</p>		<p>კომპლექსური დავალება 4</p> <p>დაიყავით ჯგუფებად. შეარჩიეთ თქვენს სოფელში/ქალაქში მდებარე ისტორიული ან სხვა თვალსაზრისით საინტერესო არქიტექტურული შენობა. მოამზადეთ ვიდეოსიუჟეტი მის შესახებ. გამოიყენეთ ნანახი სიუჟეტი ვარძიაზე და გაითვალისწინეთ თქვენს სიუჟეტში.</p> <p>ამისათვის:</p> <ul style="list-style-type: none"> გადაუღეთ ფოტო თქვენ მიერ შერჩეულ შენობას. სიუჟეტში აღნიშნეთ მისი ადგილმდებარეობა და სხვა მონაცემები. აიღეთ ინტერვიუ იმ ადამიანისგან, ვინც რაიმე საინტერესოს გეტყვით ამ შენობაზე. აღნიშნეთ, აშენებიდან დღემდე შეიცვალა თუ არა შენობის არქიტექტურა. დაურთეთ ფოტომასალა არსებობის შემთხვევაში. სიუჟეტი დაასრულეთ ლეგენდით ამ შენობის შესახებ, რომელსაც თავად შექმნით (ზმნები გამოიყენეთ პირველ თურმეობითში). <p>პრეზენტაციისას:</p> <ul style="list-style-type: none"> ნამუშევარი წარუდგინეთ კლასს და გამოაქვეყნეთ სკოლის ვებგვერდზე.

	<p>რესურსები:</p> <p>სახელმძღვანელოს წიგნი, რვეული, საშინაო დავალების რვეული.</p> <p>ფურცლები, მარკერები, საპრეზენტაციო საშუალებები, სმარტფონი, კომპიუტერი, კამერა მიკროფონი, სურათები...</p>	<p>პრეზენტაციების შემდეგ დაწერეთ გამოხმაურება ერთ-ერთი ჯგუფის წამუშევარზე :</p> <ul style="list-style-type: none"> • აღნიშნე, რა იცოდი და რა იყო ახალი სიუჟეტში? • რა მოგეწონა ყველაზე მეტად (თხრობა, ამბავი, ლეგენდა, ინტერვიუ...) • მიეცით ერთი რჩევა მეგობრებს - თქვენ რას გააკეთებდით სხვაგვარად?
	<p>შეფასების კრიტერიუმები:</p> <p>მოსწავლეს შეუძლია:</p> <p>კომუნიკაცია (1, 2, 3, 5, 6)</p> <ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული ტექსტების გაგება-გააზრება და შედგენა-გაზიარება; • ტექსტების შედგენა-გადმოცემის დროს შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოვლენა. • წერისა და სტრატეგიების გამოყენება ტექსტების შექმნა-გაზიარების ხელშესაწყობად; • სასწავლო აქტივობებსა და დავალებებში გამოყენებული სტრატეგიების გაანალიზება და შეფასება ეფექტიანობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, შემაფერხებელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება და საკუთარი წინსვლის ხელშეწყობა. 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:</p> <p>ჩვენი საცხოვრებელი ფიზიკური და ადამიანური გარემო განსხვავებულია და იცვლება, როგორც დროთა განმავლობაში, ასევე კულტურული არეალის მიხედვით.</p> <p>ნასწავლი ლიტერატურის, ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის წარდგენისას და გაზიარებისას.</p> <p>ისტორიული სინამდვილე განსხვავდება ხალხში გავრცელებული ლეგენდებისგან. არსებობს საშუალებები, როგორ გავარჩიოთ ფაქტი ვარაუდისგან.</p>		

თავი 7 – მე ვირჩევ პროფესიას

<p>თემა: მე ვირჩევ პროფესიას</p> <p>კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:</p> <p>I. მე და სამყარო: ყველაფერი ჩემ შესახებ: მონაცემები, ჰობი, ინტერესები, უახლოესი გეგმები, მომავლის დაგეგმვა/არჩევანის გაკეთება;</p> <p>II. სოციოკულტურა და კულტურა:</p> <ol style="list-style-type: none"> ყოველდღიური ცხოვრება: სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში; პიროვნებათშორისი ურთიერთობები: თანატოლებს შორის ურთიერთობები; ღირებულებები და ფასეულობები: კულტურა
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები:</p> <ol style="list-style-type: none"> რას მეუბნება ტექსტი? რას ეხება მოცემული ინფორმაცია? რამ შემიშალა ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად? როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის? რას ვეყრდნობი საკუთარი აზრის გამოხატვისას / ჩემი შეფასებისას? რის საფუძველზე (რატომ) გამომაქვს ესა თუ ის დასკვნა? როგორ შემიძლია თვითგამოხატვა? მიჭირს თუ არა საკუთარი სწავლის (სასწავლო საქმიანობის) დაგეგმვა? რა გავაკეთე ან არ/ვერ გავაკეთე იმისათვის, რომ მიზნისთვის მიმეღწია? რა სტრატეგიები და საგანმანათლებლო რესურსები გამოვიყენე ამისათვის? მოვახერხე თუ არა თანამშრომლობა სხვებთან? რამ შემიწყო ან შემიშალა ხელი? რა გავაკეთე იმისათვის, რომ შეთანხმებისათვის მიმეღწია?
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:</p> <p>კომუნიკაცია ქვეცნებები:</p> <p>სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; კომუნიკაციის ადგილი, დრო;</p> <p>მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა</p> <p>სამეტყველო აქტები</p> <ul style="list-style-type: none"> ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში: კომუნიკაციის დაწყება/დასრულება ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად: პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; საქმიანობის აღწერა/დახასიათება; საჭიროებების / მოთხოვნილებების / სურვილების გაზიარება საქმიანობა, გეგმები/განზრახვა ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ: დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების გამოხატვა: ინტერესი; ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ (დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, სიხშირე და ხანგრძლივობა, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა: დანიშნულების ადგილი, მარშრუტი...).

ტექსტის ტიპი და ჟანრი

ქვეცნებები:

ტექსტის ტიპები - არამხატვრული

ტექსტის ჟანრები -

- არამხატვრული ლიტერატურა: საქმიანი ქაღალდები - სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); გ)
- მედია/მულტიმედია ტექსტები: სტატიები ვებგვერდიდან, საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;
- სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები,

ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება

ქვეცნებები:

- ტექსტის მორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები: *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, რუბრიკა*
- ტექსტის მორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (მაგ., *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, ცხრილი, ლოგო*; ტიპოგრაფიულ მინიშნებები - *დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, ხმის ტემბრი*);
- აბზაცის სტრუქტურა - აბზაცი

ინტერპრეტაცია

ქვეცნებები:

ჟანრი: თემა, მოქმედების დრო და ადგილი

გრამატიკა

ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა, ლექსიკა

ენობრივი საკითხები:

- მორფოლოგია: მეორე კავშირებითი, მყოფადი.
- სინტაქსი: მსაზღვრელ-საზღვრული; რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები;
- მართლწერისა და პუნქტუაციის: სასვენი ნიშნები;
- ლექსიკა: სინონიმი, ანტონიმი;

ენის სწავლის სტრატეგიები

მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:

- ენათშორისი პარალელების გავლება;
- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.

ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

<p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) ქვეცნებები:</p> <p>დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;</p> <p>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა საკითხები:</p> <p>სოციოკულტურული რეალიები, სამყაროსეული ხედვა; კულტურული ნორმები.</p>			
<p>სამეტყველო აქტები:</p> <p>1.1. სოციალური ურთიერთობები: მისალმება/დამშვიდობება;</p> <p>1.2. ინფორმაციის გაცვლა: პირადი მონაცემები, პროფესია/ხელობა, საჭიროებები / მოთხოვნილებები /სურვილები, გეგმები / განზრახვა</p> <p>1.3. აღწერა-დახასიათება: ხასიათი, თვისებები; საგნის აღწერა.</p> <p>1.4. გრძნობა/ემოციისა და შეფასება / დამოკიდებულების გამოხატვა: დადებითი/უარყოფითი ემოციები, დადებითი/უარყოფითი შეფასება; პოზიციის გამოხატვა</p> <p>1.5. დროში ორიენტირება: დროში ლოკალიზება, ქრონოლოგია.</p> <p>1.6. სივრცეში ორიენტირება: ადგილმდებარეობის მითითება,</p> <p>1.7. ლოგიკური კავშირების გამოხატვა: მიზეზი, შედეგი, მიზანი</p>		<p>ენობრივი საკითხები: <u>მორფოლოგია:</u> მეორე კავშირებითი; მყოფადი <u>სინტაქსი:</u> მსაზღვრელ-საზღვრული; <u>მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები:</u> რიცხვსა და ბრუნვაში შეთანხმების საკითხები; სასვენი ნიშნების ხმარება; <u>ლექსიკა:</u> სინონიმი, ანტონიმი.</p>	
<p>თემატური ლექსიკა: პროფესიების არჩევასთან დაკავშირებული ლექსიკა; საქმიან ქაღალდებთან დაკავშირებული ლექსიკა (რეზიუმე, სამოტივაციო წერილი)</p>			
<p>ტექსტის ტიპები და ჟანრები: ტექსტის ტიპები - არამხატვრული ტექსტის ჟანრები -</p> <ul style="list-style-type: none"> • არამხატვრული ლიტერატურა: საქმიანი ქაღალდები - სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV); • მედია/მულტიმედია ტექსტები: სტატიები ვებგვერდიდან, საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები; • სასწავლო მიზნებით შედგენილი (დიდაქტიზებული) ტექსტები: თემატური დიალოგები, 			
<p>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6) კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;</p>	<p>I ეტაპის შუალედური მიზნები მოსწავლეები შეძლებენ მოსასმენი და არამხატვრული ტექსტების გააზრებას პროფესიული არჩევანის შესახებ; შეძლებენ რეზიუმეს/CV-ის შედგენას დამოუკიდებლად.</p>		
	<p>საკითხი და ქვეცნებები: მოსასმენი ტექსტი</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: როგორ გავიაზრო მოსასმენი ტექსტი-</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>

<p>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.</p> <p>წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;</p> <p>ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)</p> <p>ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.</p> <p>ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).</p> <p>ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.</p> <p>ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)</p> <p>ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;</p>	<p>პროფესიის არჩევანის შესახებ;</p> <p>არამხატვრული ტექსტი;</p> <p>საქმიანი ქაღალდები-რეზიუმე</p>	<p>დიალოგი პროფესიის არჩევანის შესახებ? როგორ გავიაზრო რეზიუმეს სტრუქტურა? რაზე გავამახვილო ყურადღება და რას დავეყრდნო რეზიუმეს შედგენისას?</p>	<p>კომპლექსური დავალება N1</p> <p>ისაუბრე შენი მომავალი გეგმების შესახებ. საუბრისას გაითვალისწინე:</p> <p>ა) სად გინდა სწავლის გაგრძელება?</p> <p>ბ) რა პროფესიას ირჩევ და რატომ?</p> <p>გ) რომელია შენი ჰობი?</p> <p>დ) შეესაბამება თუ არა შენ მიერ არჩეული პროფესია შენს საყვარელ საქმიანობას?</p> <p>ე) საუბრისას ყურადღება მიაქციე ენობრივ გამართულობას. ამაში დაგეხმარება შესრულებულ სავარჯიშოები.</p> <p>ვ) სწორად გამოიყენე ნასწავლი ლექსიკა.</p> <p>კომპლექსური დავალება N2</p> <p>რეზიუმეს ნიმუშებისა და შესრულებული დავალებების მიხედვით შეადგინე შენი ოჯახის წევრის (დედა, მამა, უფროსი და, მმა) რეზიუმე-CV და წარუდგინე კლასს.</p> <p>კომპლექსური დავალების შესრულებისას გაითვალისწინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეზიუმე უნდა იყოს მოკლე და სწორად აგებული. • გადმოეცი მშრალი ფაქტები; • არ გაამახვილო ყურადღება სუსტ მხარეებზე; • ყურადღება მიაქციე ენობრივ გამართულობას. •
	<p>აქტივობები:</p> <p>აქტივობა 1. თემის გამხსნელი ციტატებისა და ილუსტრაციების მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა. აქტივობის მიზანია თემისადმი ინტერესის აღძვრა და წინარე ცოდნის გააქტიურება.</p> <p>აქტივობა 2. ილუსტრაციების მიხედვით შეკითხვებზე პასუხის გაცემა. აქტივობის მიზანია მოსასმენი ტექსტისადმი ინტერესის აღძვრა.</p> <p>აქტივობა 3. ტექსტის მოსმენა და კითხვებზე პასუხი. მიზანი: გაგება გლობალურ დონეზე. - წიგნის დავალება 1.</p> <p>აქტივობა 4. ტექსტის მოსმენა და კითხვებზე პასუხი. მიზანი: გაგება სელექციურ დონეზე. - წიგნის დავალება 2.</p> <p>აქტივობა 5. ტექსტის მოსმენა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მიზანი: მოსმენილი ტექსტის გაგება-გააზრება. წიგნის დავალება 3.</p> <p>აქტივობა 6. ტექსტის მოსმენა და ტექსტის გაგება დეტალურ დონეზე. რვეულის სავარჯიშო 4.</p> <p>აქტივობა 7. ლექსიკაზე მუშაობა. რვეულის სავარჯიშო 5-8.</p> <p>აქტივობა 8. გრამატიკულ საკითხზე მუშაობა. II კავშირებითისა და მყოფადის ფორმების გააქტიურება. რვეულის სავარჯიშო 9-10.</p> <p>აქტივობა 9. საუბარი მომავალი გეგმების შესახებ. მიზანი: ლაპარაკის უნარის გავარჯიშება. წიგნის დავალება 11.</p> <p>აქტივობა 10. ილუსტრაციების მიხედვით კითხვებზე პასუხის გაცემა. მიზანი წინარე ცოდნის გააქტიურება და ინტერესის აღძვრა. წიგნის დავალება 12.</p> <p>აქტივობა 11. ტექსტების წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მიზანი: ტექსტების გაგება გლობალურ დონეზე. წიგნის დავალება 13.</p> <p>აქტივობა 12. ტექსტების გასააზრებელი</p>		

<p>ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.</p> <p>ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)</p> <p>ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მამლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.</p> <p>ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)</p> <p>ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩინო განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის</p>	<p>სავარჯიშოები სელექციურ დონეზე. რვეულის სავარჯიშოები 14-15.</p> <p>აქტივობა 13. ტექსტის წაკითხვა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა. მიზანი: გაგება სელექციურ დონეზე. წიგნის დავალება 16.</p> <p>აქტივობა 14. გრამატიკულ მასალაზე მუშაობა. მსაზღვრელ-საზღვრულის გახსენება და მსაზღვრელის მსაზღვრელის განმარტება. წიგნის დავალება 17.</p> <p>აქტივობა 13 ტექსტის გააზრება დეტალურ დონეზე. რვეულის სავარჯიშო 18.</p> <p>აქტივობა 14. ლექსიკაზე მუშაობა. რვეულის სავარჯიშო 19-22.</p> <p>აქტივობა 15. გრამატიკული მასალის - მსაზღვრელ-საზღვრულის გასააზრებელი დავალება. რვეულის სავარჯიშო 23.</p> <p>აქტივობა 16. რეზიუმესა და ავტობიოგრაფიის წაკითხვა და შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება. წიგნის დავალება 24.</p> <p>აქტივობა 17. ტექსტის წაკითხვა და კითხვებზე პასუხის გაცემა. მიზანი: ტექსტის გაგება სელექციურ დონეზე. წიგნის დავალება 25.</p> <p>აქტივობა 18. რეზიუმეს სტრუქტურის გაცნობა და შეკითხვებზე პასუხის გაცემა. წიგნის დავალება 26.</p> <p>აქტივობა 19. წაკითხულის გააზრება დეტალურ დონეზე. რვეულის სავარჯიშო 27.</p> <p>აქტივობა 20. მოსმენილი ვიდეოს მიხედვით რეზიუმეს სტრუქტურის გააზრება. რვეულის სავარჯიშო 28.</p> <p>აქტივობა 21. ვიდეოს მოსმენა - გაგება სელექციურ დონეზე და T სქემაში გადანაწილება. რვეულის სავარჯიშო 29.</p> <p>აქტივობა 22. რეზიუმეს სტრუქტურირება. რვეულის სავარჯიშო 30-31.</p> <p>აქტივობა 23. ავტობიოგრაფიის მიხედვით რეზიუმეს დაწერა. რვეულის სავარჯიშო 32.</p> <p>აქტივობა 24. რეზიუმეს დაწერა. რვეულის სავარჯიშო 33.</p>	<p>პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ მოემზადე რეზიუმეს შესასრულებლად; რაზე გაამახვილე ყურადღება; რას შეცვლიდი ხელახლა რომ აკეთებდე დავალებას.
	<p>რესურსები:</p> <p>აუდიოტექსტი; არამხატვრული ტექსტები; რეზიუმეს ნიმუშები.</p>	
	<p>შეფასების კრიტერიუმები</p> <p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p>	

<p>წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას); განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდირებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებას.</p> <p>გრამატიკა (შედეგები 5)</p> <p>სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.</p> <p>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <p>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-</p>	<ul style="list-style-type: none"> • სათანადო სტრატეგიების გამოყენებით მოსასმენი ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (1), • დავალებების შესრულებისას სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (10), სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა (11), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების) გააზრებულად გამოყენება (12) • ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების ამოცნობა და მათი მიზნობრივად გამოყენება; • ნასწავლი გრამატიკული საკითხების ცოდნის გამოყენება კონკრეტული სამეტყველო აქტების შესრულებისას. 	
<p>II ეტაპის შუალედური მიზნები</p> <p>მოსწავლეები შეძლებენ ტექსტის გააზრებას სამოტივაციო წერილის შესახებ; პიროვნული მახასიათებლების გაცნობიერებასა და საუბარს საკუთარ პიროვნულ მახასიათებლებზე; სამოტივაციო წერილის დაწერას.</p>		
<p>საკითხი და ქვეცნებები:</p> <p>არამხატვრული ტექსტი სამოტივაციო წერილის შესახებ;</p> <p>საქმიანი ქაღალდები-სამოტივაციო წერილი.</p>	<p>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები:</p> <p>როგორ გავიაზრო ტექსტი საქმიანი ქაღალდების შესახებ? როგორ გავიაზრო სამოტივაციო წერილის სტრუქტურა? რაზე გავამახვილო ყურადღება და რას დავეყრდნო სამოტივაციო წერილის დაწერისას?</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>
<p>აქტივობები:</p> <p>აქტივობა 1. წიგნის დავალება 34. მიზანი: წინარე ცოდნის გააქტიურება.</p> <p>აქტივობა 2. წიგნის დავალება 35. ტექსტის (სამოტივაციო წერილი) წაკითხვა კითხვებზე პასუხის გაცემა.</p> <p>აქტივობა 3. რვეულის სავარჯიშო 36. ტექსტის გააზრება.</p> <p>აქტივობა 4. წიგნის დავალება 37. ტექსტის წაკითხვა.</p> <p>აქტივობა 5. რიოლოს</p>	<p>კომპლექსური დავალება N2</p> <p>წარმოიდგინე, რომ 9 კლასის დამთავრების შემდეგ გინდა, სწავლა გააგრძელო პროფესიულ კოლეჯში. სამოტივაციო წერილის ნიმუშებისა და შესრულებული დავალებების მიხედვით დაწერე სამოტივაციო წერილი.</p> <p>გაითვალისწინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • წერილის დაწერამდე გაიაზრე, რას ითხოვ, რისი გაკეთება შეგიძლია ამ სფეროში. • სამოტივაციო წერილის სტრუქტურა; • გადმოეცი ყველა საჭირო ინფორმაცია; • თქვი მთავარი და მოკლიდ; 	

<p>გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მამლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.</p> <p>სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)</p>	<p>სავარჯიშო 38. ტექსტის გაგება სელექციურ დონეზე. აქტივობა 6. რვეულის სავარჯიშო 39. სამოტივაციო წერილის სტრუქტურირება. აქტივობა 7. წიგნის დავალება 40. პიროვნული მახასიათებლების განსაზღვრა. აქტივობა 8. რვეულის სავარჯიშო 41. ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის დადგენა. აქტივობა 9. რვეულის სავარჯიშო 42. საკუთარი პიროვნული თვისებების ჩამოწერა და საუბარი მათს შესახებ. აქტივობა 10. რვეულის სავარჯიშო 43. კომპლექსური დავალება - სამოტივაციო წერილის შედგენა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ახსენი, რატომ გინდა, და დაასაბუთე; • ყურადღება მიაქციე ენობრივ გამართულობას. <p>პრეზენტაციის შემდეგ ისაუბრე:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ მოემზადე სამოტივაციო წერილის დასაწერად; • რაზე გაამახვილე ყურადღება? • რა გაგიჭირდა? • რას შეცვლიდი, თავიდან რომ იწყებდე დავალების შესრულებას.
<p>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს,</p>	<p>რესურსები: არამხატვრული ტექსტი; სამოტივაციო წერილის ნიმუში.</p>	
<p>აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</p>	<p>შეფასების კრიტერიუმები: მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სათანადო სტრატეგიების გამოყენებით, არამხატვრული ტექსტის, გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა (1), • დავალებების შესრულებისას სასწავლო საქმიანობის მართვის უნარ-ჩვევების გამოვლენა (10), სხვებთან თანამშრომლობა და ამ პროცესში კონსტრუქციული დამოკიდებულებების გამოვლენა (11), სათანადო სტრატეგიებისა და საგანმანათლებლო რესურსების (ბეჭდვითი და მულტიმედია რესურსების გააზრებულად გამოყენება (12) 	
<p>მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს: ადამიანებმა უნდა ვაკეთოთ ის საქმე, რაც გვინტერესებს და წარმატების მისაღწევად ბევრი უნდა ვიშრომოთ.</p> <ul style="list-style-type: none"> • უცხო სოციოკულტურული კონტექსტების გათვალისწინება მეხმარება პირადი გამოცდილების გამდიდრებაში; მცდარი წარმოდგენების გადაფასებაში; საკუთარი 		

პროფესიული არჩევანის სწორად განსაზღვრაში;

- პირადი ინტერესებისა და სურვილების გარდა, პროფესიის არჩევას მნიშვნელოვანია შესაბამისი ცოდნისა და უნარების გათვალისწინება;
- საქმიანი ქაღალდებისა თუ სხვა ოფიციალური ტექსტების უკეთ შესაქმნელად შემოდის გამოვიყენო ტექსტის ელემენტების, ენობრივი საშუალებებისა და წერის სტრატეგიების ცოდნა;
- ნასწავლი ლიტერატურის, ენობრივი საშუალებებისა და სტრატეგიების ცოდნა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შევძლო კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანების გადაჭრა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან ურთიერთობებისას.

თავი 8 – ჩემი სოფელი

თემა: ჩემი სოფელი

კავშირი სტანდარტით განსაზღვრულ ძირითად თემატურ ბლოკებთან და სასწავლო თემებთან:

I. მე და სამყარო:

1. ყველაფერი ჩემ შესახებ (მონაცემები, უახლოესი გარემო, ყოველდღიური ყოფითი საქმიანობა);
2. ფიზიკური გარემო (მხარეები)

II. სოციოკულტურა და კულტურა:

1. ყოველდღიური ცხოვრება (სოციალური ქცევის წესები, ქცევები ყოფით სიტუაციებში, კვებითი ჩვევები);
2. პიროვნებათშორისი ურთიერთობები (ოჯახური ურთიერთობები);

თემატური საკვანძო შეკითხვები:

1. რას მეუბნება მხატვრული ტექსტი, რომელშიც აღწერილია საქართველოს ერთ-ერთი სოფლის ყოფა? რას ეხება მოცემული ინფორმაცია?
2. რას მეუბნება ჩანაწერში ასახული მშობლიური სოფლის აღწერა?
3. რა მსგავსება და განსხვავებაა ტექსტებში ასახულ კულტურულ-სოციალურ გარემოსა და ჩემს მშობლიურ კულტურულ-სოციალურ გარემოს შორის? შეიცვალა თუ არა ჩემი წარმოდგენები და რატომ?
4. როგორ შემიძლია გავიგო სიმღერის ტექსტი და მელოდია?
5. რამ შემიძლია ხელი ტექსტის (ინფორმაციის) გაგებაში და რატომ?
6. რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ტექსტის (ინფორმაციის) გასაგებად? საკომუნიკაციო ამოცანების გადასაჭრელად?
7. როგორ შემიძლია გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ჩემი სოფლის შესახებ? რა ენობრივ ცოდნასა და სტრატეგიებს ვიყენებ ამისთვის?
8. როგორ გემაგ საკუთარ სასწავლო საქმიანობას? რა სტრატეგიებსა და საგანმანათლებლო რესურსებს ვიყენებ ამისთვის?
9. როგორ ვთანამშრომლობ სხვებთან? რა მჭირდება იმისთვის, რათა შეთანხმებას მივაღწიო?

თემის ფარგლებში დასამუშავებელი ქვეცნებები და საკითხები:

კომუნიკაცია

ქვეცნებები:

სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციაში მონაწილეები, მათი ვინაობა; კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის თემა; ადრესატი, ადრესანტი; კომუნიკაციის ადგილი, დრო;

მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა

სამეტყველო აქტები:

- ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში – კომუნიკაციის დაწყება/დასრულება;
- ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად – პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის//გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება;
- ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ – დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა;
- ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ – დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა;

ტექსტის ტიპი და ჟანრი

ქვეცნებები:

ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული

ტექსტის ჟანრები

- მხატვრული ლიტერატურა: ადაპტირებული მოთხრობები. ჩანაწერი, სიმღერა
- საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები;

ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება

ქვეცნებები:

- ტექსტის მაორგანიზებელ სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები (მაგ., *სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა;*
- ტექსტის მაორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები (*ილუსტრაცია, ლოგო,; სასვენი ნიშნები; ინტონაცია;*

ინტერპრეტაცია

ქვეცნებები:

ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი

გრამატიკა

ქვეცნებები: მორფოლოგია, სინტაქსი, მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა

ენობრივი საკითხები:

- **მორფოლოგია:** არსებითი სახელი; პირთა კომბინაციები სხვადასხვა ტიპის ზმნებში (სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვა);
- **ლექსიკა:** სინონიმი, კომპოზიტი

ენის სწავლის სტრატეგიები

მოსმენის სტრატეგიები მოსმენის პროცესის თითოეული ფაზისათვის (მოსმენამდე, მოსმენის დროს, მოსმენის შემდეგ);

კითხვის სტრატეგიები კითხვის პროცესის თითოეული ფაზისთვის (კითხვამდე, კითხვის დროს, კითხვის შემდეგ);

ლაპარაკის სტრატეგიები ზეპირ კომუნიკაციამდე და კომუნიკაციის დროს;

წერის სტრატეგიები წერის პროცესის თითოეული ფაზისთვის (წერის დაწყებამდე, წერის დროს, პირველი ვარიანტის შექმნის შემდეგ);

ლექსიკისა და გრამატიკის სწავლის სტრატეგიები:

- ენათშორისი პარალელების გავლება;
- დამახსოვრების სხვადასხვა ხერხის გამოყენება;
- დედუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
- ინდუქცია - ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.

სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია)

ქვეცნებები:

დავალების ღირებულების განჭვრეტა, დავალების მოთხოვნების განსაზღვრა; დავალების დაგეგმვა, მიღწევების თვითშეფასება, თანაშეფასება; სწავლის სტრატეგიების შეფასება; წინსვლის დაგეგმვა;

ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა			
საკითხები: სოციოკულტურული რეალიები, ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები, კულტურული ნორმები;			
სამეტყველო აქტები:		ენობრივი საკითხები:	
<ul style="list-style-type: none"> ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში – კომუნიკაციის დაწყება/დასრულება; ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად – პირადი და სხვისი მონაცემების გაცვლა; ადამიანის/ცხოველის/გარემოს, საქმიანობის აღწერა/დახასიათება; ინტერაქცია გრძნობა/ემოციისა და შეხედულებების/ დამოკიდებულებების შესახებ – დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების, შთაბეჭდილების, შეფასების, პოზიციის გამოხატვა; ინტერაქცია დროისა და სივრცის შესახებ – დროში ლოკალიზება, მოქმედების ქრონოლოგია, თანადროულობა; ადგილმდებარეობისა და მიმართულების მითითება / განსაზღვრა; 		<ul style="list-style-type: none"> მორფოლოგია: არსებითი სახელი; ზმნა სინტაქსი: რთული წინადადება და მასთან დაკავშირებული პუნქტუაციის წესები ლექსიკა: სინონიმი, კომპოზიტი; 	
თემატური ლექსიკა: საკუთარ საცხოვრებელ გარემოსთან (სოფელთან, ქალაქთან) დაკავშირებული ლექსიკა, წერილის მიწერისთვის საჭირო ლექსიკა			
ტექსტის ტიპები და ჟანრები: ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული ტექსტის ჟანრები -			
<ul style="list-style-type: none"> მხატვრული ლიტერატურა: ადაპტირებული მოთხრობები, ჩანაწერები საპროგრამო თემატიკაზე მორგებული აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები; 			
სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები: საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6) კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;	I ეტაპის შუალედური მიზნები		
	საკითხი და ქვეცნებები: მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, ქვეცნებები: ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული	საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები: როგორ გადმოვცე მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტი კომიქსის საშუალებით?	კომპლექსური დავალება/ დავალებები

<p>კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო. წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება; ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5) ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად. ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები). ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მეხმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში. ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6) ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა,</p>	<p>ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი</p> <p>გრამატიკა ქვეცნებები: მორფოლოგია, ლექსიკა</p>	<p>რა ლექსიკური ერთეულების ცოდნა დამჭირდება ამისთვის?</p>	
	<p>აქტივობები</p> <p>დავალება 1. სრულდება პირველი დავალება, რომელსაც ტექსტის წაკითხვისთვის შემზადების, მოტივაციის აღძვრის დანიშნულებაც აქვს. მოსწავლეები საუბრობენ ილუსტრაციებზე დაყრდნობით შეკითხვების მიხედვით.</p> <p>დავალება 2, 3. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, აკავშირებენ ილუსტრაციებს და უპასუხებენ შეკითხვებს. (აქ და ყველგან, მასწავლებლის გადაწყვეტილებით აქტივობის ფორმატი (მთელი კლასი, მცირე ჯგუფები, წყვილები თუ ინდივიდუალური) დამოკიდებულია კლასში მოსწავლეთა რაოდენობასა და მათს საჭიროებებზე.)</p> <p>სავარჯიშო 4. ტექსტის დეტალური გაგების მიზნით, მოსწავლეები კიდევ ერთხელ კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ სავარჯიშოს — ავსებენ წინადადებებში გამოტოვებულ ადგილებს.</p> <p>დავალება 5, სავარჯიშო 6. მოსწავლეები აკვირდებიან ტექსტში საკუთარ სახელებს და გამოყოფენ ადამიანის, ცხოველის, ადგილის საკუთარ სახელებს.</p> <p>დავალება 7. სავარჯიშო 8. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტის გაგრძელებას და უპასუხებენ შეკითხვებს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით.</p> <p>სავარჯიშო 9. ამ სავარჯიშოს შესასრულებლად ანუ წინადადებებში გამოტოვებული სიტყვების ჩასაწერად, მოსწავლეები კიდევ ერთხელ უბრუნდებიან ტექსტს.</p> <p>დავალება 10, სავარჯიშო 11-12. მოსწავლეები ასრულებენ გრამატიკულ აქტივობებს. აკვირდებიან და აცნობიერებენ, რომ რთულ წინადადებებში სასვენი ნიშნის დასმის დროს უნდა დააკვირდნენ კავშირს. აგრეთვე, აცნობიერებენ, რომ გავრცელებული წესი, “რომ”-ის წინ მძიმის დასმის შესახებ ყოველთვის არაა სწორი.</p> <p>სავარჯიშო 13. მოსწავლეები კიდევ ერთხელ გადაათვალიერებენ ტექსტს, ამჯერად მსაზღვრელ-საზღვრულების ამოსარჩევად. აღსანიშნავია, რომ მსაზღვრელ-საზღვრულებზე წინა თავებშიც აქვთ ნამუშევარი და ხვდებიან ამოცანის არსს.</p>	<p>დავალება 1.</p> <p>შექმენი ოთხნაწილიანი კომიქსი ზურიკოს ავადმყოფობის შესახებ.</p> <p>კომიქსში წარმოაჩინე ამბის მთავარი ეპიზოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირველ სურათზე — მზადება ექიმის მისაღებად; • მეორე სურათზე — ექიმი და მასპინძლები ოთახიდან ილიკოს გასვლამდე; • მესამე სურათზე — ექიმი და მასპინძლები ოთახიდან ილიკოს გასვლის შემდეგ; • მეოთხე სურათზე — ექიმის წასვლა. <p>კომიქსის პრეზენტაციისას აღნიშნე:</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ გადმოვიცი კომიქსში ამბის მთავარი ეპიზოდები? • რომელი 	

<p>სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება; ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში. ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულები ს გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6) ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით; ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა; პირადი დამოკიდებულები ს გამოხატვა მეხმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მამღვეს</p>	<p>აგრეთვე, ეს სავარჯიშო უნდა დაეხმაროთ კომპლექსური დავალების შესრულებაშიც და შეიძლება რომელიმე კონკრეტული მსაზღვრელ-საზღვრული გამოიყენონ კომიქსის შექმნისასაც.</p> <p>დავალება 14, სავარჯიშო 15. მოსწავლეები აკვირდებიან შეთავაზებულ ზმნების ცხრილსა და გრამატიკულ ბლოკს, სადაც უნდა გააცნობიერონ, რომ ზმნათა გარკვეულ ნაწილს სუბიექტური პირი ყველა მწკრივში მიცემით ბრუნვაში შეეწყობა.</p> <p>აქვე მოცემულია ასეთი ზმნების ჩამონათვალიც. რასაკვირველია, მასწავლებელს გააცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ქართული ენის შემსწავლელებისთვის ეს რთულად ასათვისებელი საკითხია, რადგან მშობლიური ენებისგან განსხვავებული გრამატიკული კატეგორიაა. თუმცა დროთა განმავლობაში გამოყენების შედეგად მისი დამღვევაც მოხდება.</p> <p>სავარჯიშო 16. ამ აქტივობისას მოსწავლეები, ერთი მხრივ, სუბიექტური პირის შესაბამის ბრუნვაში შეწყობაზე ვარჯიშობენ, მეორე მხრივ, კვლავ ტექსტის კონტექსტში შეთავაზებულ წინადადებებზე მუშაობენ. ეს კომპლექსური დავალების შესრულებაშიც დაეხმარებათ.</p> <p>დავალება 17. სრულდება კომპლექსური დავალება, რომელიც წარმოადგენს წაკითხული ტექსტის ინტერპრეტაციას. მოსწავლეები ამზადებენ კომიქსს დავალების ინსტრუქციის მიხედვით და წარადგენენ.</p> <p>დავალება 18. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სათანადო ყურადღება მიაქციოს იმას, რომ დუმბადის ნაწარმოებში ასახული სცენების მიხედვით მოსწავლეებმა არასწორი და არაჯანსაღი განზოგადება არ გააკეთონ სკოლის შესახებ.</p> <p>ამიტომ ამ აქტივობაში მოსწავლეები მსჯელობენ, რატომაა მიუღებელი ზოგადად ტყუილი და სკოლის მოტყუებით გაცდენა. ასევე გაუზიარებენ მოსაზრებებს ერთმანეთს, შეიძლება თუ არა მოსწავლეები დაკავდნენ საშინაო საქმიანობით. აქაც მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა ისე წარმართოს მსჯელობა, რომ მოსწავლეთა შრომა, რომელიც მათ სწავლა-აღზრდა-განვითარებაში ხელს შეუშლის, არ უნდა იყოს მოწონებული და წახალისებული.</p>	<p>რეპლიკები შეარჩიე ამისთვის?</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ ახასიათებს შენ მიერ შერჩეული რეპლიკები მათ ავტორებს? <p>პრეზენტაციის დასრულების შემდეგ აღნიშნე:</p> <ul style="list-style-type: none"> რატომ არ არის მისაღები სკოლის გაცდენა სხვა საქმის გასაკეთებლად?
	<p>რესურსები: სახელმძღვანელოს წიგნი და სავარჯიშოების რვეული;</p>	
	<p>შეფასების კრიტერიუმები</p>	

<p>მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის. ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9) ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩინეთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას); განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში; სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობა თა დაფასებას. გრამატიკა (შედეგები 5) სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც</p>	<p>მოსწავლემ უნდა შეძლოს:</p> <p>1) სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით, ადაპტირებული მხატვრული ტექსტის გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) ინტერაქციაში მონაწილეობის მიზნით შეკითხვებისა და პასუხების ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა; (2) საკუთარი ინტერაქციის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3)</p> <p>2) ადაპტირებული მხატვრული საკითხავისადმი დამოკიდებულების გამოხატვა (4), ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) ტექსტების შედგენისას/ინტერპრეტირებისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6).</p> <p>3) ადაპტირებული მოთხრობის გაანალიზება სოციოკულტურული თვალსაზრისით (7), საკუთრისგან განსხვავებული/მსგავსი კულტურული მახასიათებლების გამოყოფა და მათი პოზიტიურად აღქმა (8), საკუთარი კულტურული მახასიათებლების წარმოჩენა(9)</p> <p>4) საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</p>		
	<p>II ეტაპის შუალედური მიზნები</p>		
	<p>საკითხი და ქვეცნებები: მეტყველების ფუნქციური ტიპები: თხრობა, აღწერა, მსჯელობა</p> <p>ქვეცნებები: ტექსტის ტიპები - მხატვრული, არამხატვრული</p> <p>ჟანრი; თემა, იდეა; მოქმედების დრო და ადგილი; სიუჟეტი</p> <p>გრამატიკა ქვეცნებები: მართლწერა და პუნქტუაცია, ლექსიკა</p>	<p>საკვანძო შეკითხვა/ შეკითხვები: როგორ აღვწერო საკუთარი სოფელი (ქალაქი)? როგორ გამოვიყენო ენობრივი სტრატეგიები მშობლიური მხარის აღსაწერად? როგორ გამოვიყენო შემოქმედებითი უნარები წერილის დასაწერად, რომელშიც მოვიწვევ თანატოლს საკუთარ სოფელში/ქალაქში?</p>	<p>კომპლექსური დავალება/ დავალებები</p>
<p>აქტივობები: დავალება 19. მოსწავლეები საუბრობენ ფოტოების მიხედვით, ემზადებიან ტექსტის წასაკითხად. დავალება 20, საფარჯიშო 21. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და უპასუხებენ შეკითხვებს. დავალება 22. მოსწავლეები კიდევ ერთხელ მიუბრუნდებიან ტექსტს და ასრულებენ მითითებას სწორია თუ არა შეთავაზებული წინადადებები. ამასთანავე, ეს დავალება დაეხმარებათ შემდეგი კომპლექსური დავალების შესრულებაში. დავალება 23. სრულდება კომპლექსური</p>	<p>დავალება 2</p> <p>მოამზადე მოკლე ჩანაწერები და ისაუბრე, როგორია შენი სოფელი.</p> <p>საუბრისას წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> • სად მდებარეობს შენი სოფელი? • რით არის გამორჩეული და საინტერესო? 		

<p>მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად; გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.</p> <p>ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)</p> <p>ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიადვილებს სწავლას და საშუალებას მამლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიადვილებს ასევე სათანადო სტრატეგიების</p>	<p>დავალება (2). მოსწავლეები საუბრობენ საკუთარი სოფლის/ქალაქის შესახებ. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეებს ურჩიოს, მოემზადონ საუბრისთვის და გააკეთონ ჩანაწერები რვეულებში, რათა გამოიყენონ საუბრის დროს.</p> <p>დავალება 24. მოსწავლეები საუბრობენ სურათის მიხედვით, საქანელას შესახებ. იხსენებენ საკუთარ გამოცდილებას.</p> <p>დავალება 25. მოსწავლეები კითხულობენ ლექსს, რომელზეც დაწერილია სიმღერა “საქანელა” და საუბრობენ შეკითხვების მიხედვით.</p> <p>ტექსტის აღქმაში მოსწავლეებს ეხმარებათ იქვე მოცემული სიტყვების განმარტებები. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა კიდევ ერთხელ გაახსენოს მოსწავლეებს, თუ რა არის ლირიკული გმირი (პოეტური პერსონაჟი, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ლექსის ავტორისგან.).</p> <p>დავალება 26. მოსწავლეები უსმენენ სიმღერას “საქანელა” და უპასუხებენ შეკითხვებს.</p> <p>სავარჯიშო 27. მოსწავლეები კიდევ ერთხელ უსმენენ ტექსტს და ავსებენ გამოტოვებულ სიტყვებს.</p> <p>კარგი იქნება, თუ ბავშვები თავადაც აპყვებიან სიმღერას და იმღერებენ, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთად...</p> <p>სავარჯიშო 28. ამ აქტივობის დროს მოსწავლეები კიდევ ერთხელ იაზრებენ სიმღერის ტექსტს. მეორე მხრივ, უბრუნდებიან რთული წინადადების პუნქტუაციას.</p> <p>დავალება 29, სავარჯიშო 30. სრულდება კომპლექსური დავალება. მოსწავლეები წერენ წერილს მითითებების მიხედვით. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა მოსწავლეები მიაჩვიოს შავი ვარიანტის გადამუშავებას და საბოლოო ვარიანტის გადაწერას.</p> <p>სავარჯიშო 31. მოსწავლეები ავსებენ მსმენელის დღიურს. კარგი იქნება, თუკი მსმენელის დღიურების მიხედვით, მოსწავლეები განიხილავენ საკუთარ და ერთმანეთის წერილებს.</p> <p>(ამ და ყველა თავში მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს, როგორც განმავითარებელი შეფასებით, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით, რისთვისაც გამოყენებული იქნება აქვე წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები.)</p> <p>რესურსები: სახელმძღვანელოს წიგნი და</p>	<ul style="list-style-type: none"> რომ შეგეძლოს, რას შეცვლიდი შენს სოფელში? <p>საუბრის ბოლოს აღნიშნე:</p> <ul style="list-style-type: none"> რამდენად დაგეხმარა ზურთკოსა და აიტაჯის ნაამზობი? რა არის მსგავსი შენს სოფელსა და მათ სოფლებში? <p>დავალება 3.</p> <p>მისწერე წერილი თანატოლს, რომელსაც დააპატიჟებ შენს სოფელში (ქალაქში).</p> <p>წერილში წარმოაჩინე:</p> <ul style="list-style-type: none"> შენი სოფლის (ქალაქის) მდებარეობა, ბუნება, მნიშვნელოვანი ადგილები; შენი სოფლის (ქალაქის) საინტერესო ადამიანები; საინტერესო ადგილები, სადაც შეიძლება წახვიდე შენს თანატოლთან ერთად. <p>წერილის წარდგენის შემდეგ აღნიშნე:</p> <ul style="list-style-type: none"> სად და როგორ მოიძიე დამატებითი ინფორმაცია შენი სოფლის (ქალაქის) შესახებ? რა შეიძლება კიდევ დაამატო შენს წერილს, რათა კიდევ უფრო საინტერესოდ
---	---	---

<p>გამოყენება. სწავლის პროცესის გაცნობიერებულა და მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)</p> <p>სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეხს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს; სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.</p>	<p>სავარჯიშოების რვეული; მოსასმენი აუდიოფაილი “საქანელა”</p>	<p>წარმოაჩინო მშობლიური მხარე?</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ დაგეხმარა ამ თავში შესწავლილი ტექსტები წერილის შედგენაში?
<p>შეფასების კრიტერიუმები:</p> <p>1) სათანადო სტრატეგიების შერჩევითა და გამოყენებით თანამედროვე რეალური სტუდენტის ჩანაწერების გაგება/გააზრება და ტექსტის ინფორმაციაზე დაყრდნობით დასკვნების გამოტანა; (1) ინტერაქციაში მონაწილეობის მიზნით შეკითხვებისა და პასუხების ტიპის ტექსტის ზეპირად ან წერილობით შექმნა; (2) საკუთარი ინტერაქციის შესახებ საუბარი, მოსაზრების ჩამოყალიბება და დასაბუთება; (3)</p> <p>2) სიმღერის შესახებ დამოკიდებულების გამოხატვა (4), ენობრივი საშუალებების ამოცნობა და გამოყენება (5) წერილის ჟანრის ტექსტების შედგენისას შემოქმედებითობის წარმოჩენა (6).</p> <p>3) ჩანაწერის გაანალიზება სოციოკულტურული თვალსაზრისით (7), საკუთრისგან მსგავსი/განსხვავებული კულტურული მახასიათებლების გამოყოფა და მათი პოზიტიურად აღქმა (8), წერილის შედგენისას საკუთარი კულტურული მახასიათებლების წარმოჩენა(9)</p> <p>4) საკუთარი სწავლის დაგეგმვა და წარმართვა (10), ამ პროცესში მასწავლებელთან და თანაკლასელებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა (11), შეთავაზებული საკითხავი და მოსასმენი ტექსტების გააზრებულად გამოყენება (12).</p>		
<p>მკვიდრი წარმოდგენები, რომლებიც მოსწავლეს თემის სწავლის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბდეს:</p> <p>სოფლის შესახებ მხატვრული ტექსტების გაცნობა მეხმარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, საინტერესო პერსონაჟებისა და ადამიანთა ხასიათის გაცნობაში; თანამედროვე ადამიანების ჩანაწერების გაცნობით შემიძლია გავიუმჯობესო ქართულ ენაზე კომუნიკაციის (შეკითხვების დასმის, პასუხების მოფიქრების, სცენარის გაცოცხლებისა და გადმოცემის...) უნარები;</p> <p>საკუთარი საცხოვრებელი გარემოს სხვასთან შედარება, მისი წარდგენა თანატოლებისთვის მეხმარება, როგორც ენობრივი კომპეტენციების განვითარებაში, ასევე საკუთარი თვალსაწიერის გაფართოებაში.</p>		

VII თავი – შეფასების რუბრიკები განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისთვის

სოლოტექსონომიაზე დაფუძნებული რუბრიკები ცნებების მიხედვით

1. ცნება: საკომუნიკაციო სიტუაცია (1, 2, 3, 4, 6)

- კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლას ინდივიდებს შორის;
- კომუნიკაციის ფორმასა და შინაარსზე გავლენას ახდენს სიტუაციური მახასიათებლები: კომუნიკაციის მიზანი, კომუნიკაციის მონაწილეები (ადრესანტი, ადრესატი), კომუნიკაციის ადგილი და დრო.
- წარმატებული კომუნიკაციისთვის, აუცილებელია სიტუაციური მახასიათებლების გათვალისწინება;

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ვერ ახერხებს კომუნიკაციის დამყარებას, ვერ მონაწილეობს ქართულენოვანი ინფორმაციის აღქმასა და გაცემაში.	კომუნიკაციურ სიტუაციაში შეუძლია ან კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ან ადგილსა და დროზე კონცენტრირება.	კომუნიკაციურ სიტუაციაში შეუძლია კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებზე, ადგილსა და დროზე კონცენტრირება. თუმცა ერთი კომპონენტის შეცვლის შემთხვევაში ვერ ახერხებს სხვა კომპონენტის მოდიფიცირებას.	კომუნიკაციურ სიტუაციაში ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის ზოგჯერ ვერ ახერხებს სრატეგიების შეცვლას სიტუაციისდა მიხედვით.	კომუნიკაციურ სიტუაციაში ითვალისწინებს კომუნიკაციის მიზანსა და მონაწილეებს, ადგილსა და დროს; წარმატებული კომუნიკაციისთვის მყისიერად იღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიების შეცვლის ჩათვლით.

2. ცნება: ტექსტის ტიპი და ჟანრი (შედეგები 1, 2, 3, 4, 5)

ტექსტები იყოფა 2 ძირითად ტიპად: მხატვრულ და არამხატვრულ ტექსტებად.

ერთი ჟანრის ტექსტებს აქვს საერთო მახასიათებლები (ენობრივ-სტილური, სტრუქტურულ-ორგანიზაციული და სხვა მსგავსებები).

ტექსტის ჟანრობრივი მახასიათებლების ცოდნა მესმარება როგორც ტექსტის გაგება-გააზრებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ჟანრის ტექსტების შედგენაში.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ვერ ახერხებს სხვადასხვა ტიპის ტექსტს შორის ჟანრობრივი განსხვავებების დაჭერას.	შეუძლია კონკრეტული ტიპისა და ჟანრის ტექსტის ერთი მახასიათებლის საფუძველზე ჟანრობრივი განსხვავებების აღქმა.	შეუძლია ძირითადი მახასიათებლების ამოცნობა სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტებში. ვერ ახერხებს შეტავაზებული ჟანრის ტექსტის შეთავაზებულ ჟანრში გადაყვანას.	საფუძვლიანად აცნობიერებს ჟანრობრივ მახასიათებლებს თითოეული ტიპის ტექსტისთვის. შეუძლია ერთი ტიპის ტექსტის სხვა ტიპის ტექსტად გადაკეთება.	შემოქმედებითად იყენებს ტექსტის ჟანრობრივ მახასიათებლებს სხვადასხვა ტიპის ტექსტების შემსაქმნელად თუ გადასაკეთებლად. შეუძლია ჟანრის მახასიათებლების თავისუფალი გამოყენება.

3. ცნება: ტექსტის სტრუქტურა, ორგანიზება (შედეგი 1, 4, 5, 6)

ტექსტის სტრუქტურას ქმნის სიტყვიერი (მაგ., სათაური, ქვესათაური, აბზაცი, წარწერა) და არასიტყვიერი (მაგ., ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სასვენი ნიშნები, ზეპირ ტექსტში - ინტონაცია) ელემენტების ერთობლიობა და მათი თავისებური განლაგება;

ტექსტის სტრუქტურული ელემენტების ცოდნა და მასზე დაკვირვება მეხმარება როგორც ტექსტის გაგებაში, ისე კონკრეტული მიზნით შესაბამისი ტექსტის შედგენაში.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ვერ ახერხებ ტექსტის მახასიათებლების იდენტიფიცირებას.	ახერხებს ტექსტის ერთი-ორი მახასიათებლის იდენტიფიცირებას ტექსტის გაზრების მიზნით.	აცნობიერებს და იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მახასიათებლებს, როგორც ტექსტის გაგების, ასევე შექმნის მიზნით. ვერ ახერხებს ერთი მახასიათებლის (მაგალითად, ილუსტრაციის) ცვლილების შესაბამისად სხვა მახასიათებლის (მაგალითად, აბზაციის) ცვლილებას.	ტექსტის გაზრებისა და ინტერპრეტირების მიზნით იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მახასიათებლებს; ეს მახასიათებლები ეხმარება სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შექმნისას.	ეფექტურად იყენებს ტექსტის სიტყვიერ და არასიტყვიერ მახასიათებლებს ტექსტის გაზრებისა და ინტერპრეტირების მიზნით. შემოქმედებითად იყენებს ტექსტის სტრუქტურულ მახასიათებლებს სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების შემსაქმნელად.

4. ცნება: ინტერპრეტაცია, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა (შედეგები: 1, 2, 3, 4, 5, 6)

ინტერპრეტაცია გულისხმობს ტექსტის წარმოჩენას ახალი სახით / ფორმით;

ინტერპრეტაციის დროს შემიძლია გამოვიყენო ტექსტში მოცემული მინიშნებები, პირადი გამოცდილება, ნასწავლი/ნაცნობი ტექსტების, ცნებებისა და საკითხების ცოდნა;

პირადი დამოკიდებულების გამოხატვა მენმარება დასკვნის გამოტანაში, საკუთარი თავის უკეთ გაგებაში, ტექსტის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებაში და საშუალებას მაძლევს მოვემზადო რეალური ცხოვრებისთვის.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ნამუშევარი არაა შესრულებული ან არაადეკვატური შინაარსითაა გადმოცემა. ვერ საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე ან საუბრობს გაურკვეველად. ვერ გადმოსცემს მუშაობის პროცესს.	ნამუშევარში გადმოცემულია ერთი ან ორი მთავარი მომენტი. საუბრობს გაურკვეველად საკუთარ ნამუშევარზე. ასახელებს დავალებზე მუშაობის მხოლოდ ერთ მოქმედებას.	ნამუშევარში გადმოცემულია მთავარი მომენტები. საუბრობს საკუთარ ნამუშევარზე. საუბრობს, დავალებზე მუშაობისას რა მოქმედებები შეასრულა.	იყენებს საკვანძო და საინტერესო დეტალებს ტექსტიდან. განმარტავს საკუთარ ნამუშევარს. საუბრობს, დავალებზე მუშაობისას რა მოქმედებები შეასრულა და რა თანამიმდევრობით.	ახერხებს ტექსტის თავისუფალ, შემოქმედებით ინტერპრეტაციას, რისთვისაც იყენებს მინიშნებებს. გამოაქვს სათანადო დასკვნები და აკავშირებს პირად გამოცდილებასთან

5. ცნება: ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა (შედეგები 7, 8, 9)

ქართული ენის შესწავლისას აღმოვაჩინეთ განსხვავებულ სოციოკულტურულ და კულტურულ სამყაროსაც (მაგ., თავისებურ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს, განსხვავებულ ქცევის წესებს, ცხოვრების სტილს, სამყაროსეულ ხედვას);

განსხვავებული ენისა და კულტურის აღმოჩენა და საკუთართან შედარება მეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაცნობიერებაში;

სოციოკულტურულ თავისებურებათა გაგება და გაზიარება ამდიდრებს ცოდნა-გამოცდილებას და ხელს უწყობს კულტურულ თვითმყოფადობათა დაფასებასა.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმან-ეთს და ქმნიან მთელს, მთლიან-ნობას.	მოსწავლეს შეუძლია შეთავაზებული მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ქართულენოვან ტექსტებში ვერ ამჩნევს სოციოკულტურულ მახასიათებლებს.	ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტში აღმოაჩენს ორიოდე სოციოკულტურულ მახასიათებელს, თუმცა ვერ ადარებს საკუთარს.	ქართულენოვან ზეპირ თუ წერილობით ტექსტში აღმოაჩენს რამდენიმე სოციოკულტურულ მახასიათებელს, რომელსაც ადარებს საკუთარს.	ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება.	ამჩნევს და საკუთარს ადარებს ქართულ სოციოკულტურულ თავისებურებებს. მის მიმართ უყალიბდება დადებითი დამოკიდებულება და სხვებსაც მიუთითებს ამისკენ.

6. ცნება: გრამატიკა (შედეგები 5)

სიტყვები ერთმანეთს გარკვეული წესების მეშვეობით უკავშირდებიან, რომელთა ცოდნაც მნიშვნელოვანია მათ შორის აზრობრივი მიმართებების გასაგებად;

გრამატიკული საკითხებისა და ტექსტის ენობრივი მახასიათებლების ცოდნა მნიშვნელოვანია წარმატებული კომუნიკაციისათვის.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
მოსწავლე ზეპირ და წერიტმეტყველებისას ვერ იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციებს .	მოსწავლე ზეპირ და წერიტმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციებიდან მხოლოდ ორიოდ ფორმას .	მოსწავლე ზეპირ და წერიტმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებისა და ენობრივ კონსტრუქციების უმეტესობას.	მოსწავლე ზეპირ და წერიტმეტყველებისას იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს.	მოსწავლე ზეპირ და წერიტმეტყველებისას დაუბრკოლებლად იყენებს შეთავაზებულ გრამატიკულ ფორმებსა და ენობრივ კონსტრუქციებს.

7. ცნება: ენის სწავლის სტრატეგიები (კოგნიტიური სტრატეგიები) (შედეგები 1, 2, 3, 5)

ენის სწავლას უკეთ შევძლებ, თუ გამოვიყენებ სხვადასხვა გონებრივ ხერხს, ანუ სტრატეგიებს; თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე (მოსმენა-გაგებაზე, კითხვა-გაგებაზე, ზეპირ და წერით მეტყველებაზე) მუშაობა მოითხოვს განსხვავებული ხერხების, ანუ სტრატეგიების გამოყენებას; ამ სტრატეგიების აღმოჩენა და გამოყენება მიაღწილებს სწავლას და საშუალებას მაძლევს მკვეთრად გავაუმჯობესო ჩემი მიღწევები. ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებას მიაღწილებს ასევე სათანადო სტრატეგიების გამოყენება.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/ შეთავაზებული მიღმა სტრ-უქტურის გან-ზოგადება, სტრ-უქტურის აღქმა მრავალი სხვადა-სხვა პერსპექ-ტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
მოსწავლე ვერ ახერხებს გონებრივი ხერხების გამოყენებას.	მოსწავლე თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე მხოლოდ ცალკეულ შემთხვევაში იყენებს სათანადო გონებრივ ხერხებს, რაც უადვილებს ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებასაც.	მოსწავლე თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე უმეტესად იყენებს სათანადო გონებრივ ხერხებს, რაც უადვილებს ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებასაც.	მოსწავლე თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე იყენებს სათანადო გონებრივ ხერხებს, რაც უადვილებს ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებასაც.	თითოეულ სამეტყველო აქტივობაზე იყენებს და სხვებსაც ურჩევს სათანადო გონებრივ ხერხებს, რაც უადვილებს ლექსიკისა და გრამატიკის ათვისებასაც.

8. ცნება: სწავლის პროცესის გაცნობიერებულად მართვა (მეტაკოგნიცია) (შედეგები: 10, 11, 12)

სტრატეგიების კარგი მცოდნე, ანუ მოსწავლე-სტრატეგი აკვირდება სწავლის პროცესს, აცნობიერებს იმ სტრატეგიებს და იმ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს მის წინსვლას, გეზს აძლევს სწავლის პროცესს და ქმნის წინსვლის ხელშემწყობ პირობებს;

სწავლაში წინსვლა დამოკიდებულია ჩემს სტრატეგიულობაზე, და არა - ჩემს თანდაყოლილ უნარებზე.

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იცებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
მოსწავლე ვერ აკვირდება საკუთარ სწავლას და ვერ ახდენს მასზე ზემოქმედებას.	მოსწავლე შემთხვევით, იშვიათად აკვირდება, საკუთარი სწავლის პროცესს. ვერ ახერხებს მის შეცვლასა და დაგეგმვას.	მოსწავლე ხშირად აკვირდება, ცვლის და გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს.	მოსწავლე აკვირდება, ცვლის და გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს და აცნობიერებს, რომ ეფექტიანობა მასზე დამოკიდებულია.	მოსწავლე აკვირდება, ცვლის და გეგმავს საკუთარი სწავლის პროცესს და აცნობიერებს, რომ ეფექტიანობა მასზე დამოკიდებულია. ამასვე ურჩევს სხვებსაც.

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ზეპირი და წერიტმეტყველებითი უნარებისთვის

საბაზო საფეხურზე გამოიყენება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება მოსწავლეებთან. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ შეფასების გარკვეული რუბრიკები. ზემოთ გავეცანით სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებულ შეფასების რუბრიკებს ქართულის, ენის სტანდარტით შემოთავაზებული ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. ამ რუბრიკებში წარმოდგენილია იმავე ტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები ენობრივი მიმართულებების მიხედვით. მასწავლებელი ამ რუბრიკების გამოყენებით მიიღებს გადაწყვეტილებას, როგორ მისცეს მოსწავლეს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასება.

ქვემოთ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკების გამოყენება გარკვეული მოდიფიცირების შემდეგ შესაძლებელია საშინაო და საკლასო დავალებების შეფასების მიზნითაც. ასევე, რაც მთავარია, მათი გამოყენება აუცილებელია კომოლექსური დავალებების შეფასების მიზნით, რათა მასწავლებელმა, ერთი მხრივ, განმსაზღვრელი შეფასებით შეფასოს მოსწავლე (და რაში უნდა დაუწეროს მასწავლებელმა მოსწავლეს ნიშანი, თუ არა კომპლექსურ დავალებაში?!), მეორე მხრივ, მისცეს განმავითარებელი უკუკავშირი და, მესამე მხრივ, გაითვალისწინოს მოსწავლის/ მოსწავლეების შედეგები შემდგომი სასწავლო პროცესის დაგეგმვისას.

სოლოტაქსონომიაზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკების გამოყენებისას შეკითხვა დაისმის ნიშნების დანერის შესახებაც: რომელი ნიშანი შეესაბამება სოლოტაქსონომიის საფეხურებს? ვიფქრობთ, ნიშანთა შემდეგნაირი გადანაწილება იქნება რელევანტური არაქართულენოვან სკოლებში ქართულის ენის სწავლების შემთხვევაში:

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
1-2-3	3-4-5	6-7-8	8-9	10

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი ქულა სოლოტაქსონომიის ორ-ორ დონეზეა განთავსებული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასე ცალსახად შეთავაზება მასწავლებლებისთვის, რომ მაინცდამაინც ეს კონკრეტული დონე მაინცდამაინც ამ ნიშანს გულისხმობს, არ იქნება მთლად ზუსტი. ამიტომაც, მასწავლებელი საკუთარი შეხედულებით საკლასო ოთახის კონტექსტისა და კონკრეტული მოსწავლის მიერ შესრულებული კონკრეტული დავალების მიხედვით განსაზღვრავს დასაწერ ნიშანს.

საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრება

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებები აქვს ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ვერ ახერხებს საინფორმაციო ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას.	ახერხებს საინფორმაციო ტექსტში მოცემული ორიოდ ექსპლიციტური ინფორმაციის გაგებას.	ახერხებს საინფორმაციო ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას, ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგებას. შეუძლია ზოგიერთი იმპლიციტური ინფორმაციის გაგებაც.	შეუძლია ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება, დასკვნების გამოტანა ტექსტისა და საკუთარი ცოდნის შეჯერების საფუძველზე.	შეუძლია ტექსტში გადმოცემული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. ქვეტექსტის ამოცნობა და საკუთარი დამოკიდებულე ბის გამოხატვა.

მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
<p>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.</p>
<p>ვერ ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას.</p>	<p>ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ორიოდ ექსპლიციტური ინფორმაციის გაგებას.</p>	<p>ახერხებს მხატვრულ ტექსტში მოცემული ექსპლიციტური ინფორმაციის აღქმას, ზედაპირული ინფორმაციის აღქმა-გაგებას. შეუძლია ზოგიერთი იმპლიციტური ინფორმაციის გაგებაც.</p>	<p>შეუძლია მხატვრულ ტექსტში გადმოცემული ინფორმაციის სიღრმისეული გაგება, დასკვნების გამოტანა ტექსტისა და საკუთარი ცოდნის შეჯერების საფუძველზე. ამოიცნობს მხატვრულ ხერხებს.</p>	<p>შეუძლია მხატვრულ ტექსტში გადმოცემული (იმპლიციტური) ინფორმაციის გააზრება. ტექსტის შექმნის მიზნებისა და ავტორის პოზიციის ამოცნობა. ქვეტექსტის ამოცნობა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.</p>

მოსმენა

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იცებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ვერ ახერხებს ტექსტის ვერც ერთი ზედაპირული ინფორმაციის გაგებას.	შეუძლია მოსმენილი ტექსტის მხოლოდ ორიოდ ზედაპირული ინფორმაციის გაგება.	შეუძლია მოსმენილ ტექსტის თემატიკისა ძირითადი და ზედაპირული ინფორმაციის გაგება.	შეუძლია მოსმენილი ტექსტის მთავარი სათქმელისა და ზოგიერთი სიღრმისეული, დეტალური ინფორმაციის გაგება.	შეუძლია მოსმენილი ტექსტის სიღრმისეულად და სრულფასოვნად, მათ შორის დეტალურ დონეზე გააზრება, ქვეტექსტის ამოცნობა.

ლაპარაკი

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.	მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.	მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.	მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.	მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.
ვერ ახერხებს საუბარს საკითხის ირგვლივ.	შეუძლია მხოლოდ რამდენიმე სიტყვის თქმა შეთავაზებული საკითხის/თემის ირგვლივ, ისიც ძირითადად რეპროდუცირების ფორმატში.	შეუძლია მოკლე ფრაზებით საუბარი გარკვეული შეცდომებითა და აქცენტით.	შეუძლია გაბმული მეტყველება საკითხის ირგვლივ მცირე შეცდომებით და აქცენტით.	შეუძლია გაბმულად საუბარი და გარკვეული ინტერპრეტირება შეთავაზებული საკითხისა და დავალების ირგვლივ. მყისიერად და ეფექტურად იყენებს ლაპარაკის სტრატეგიებს. შეიძლება ჰქონდეს მცირეოდენი აქცენტი.

ნერა

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტისტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული
<p>მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს ან იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება და მარტივი, ზედაპირული ინფორმაციის ფლობა.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, მათ შორის არსებული მიმართებების გაგების გარეშე.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია საკვანძო ასპექტებს შორის, ასევე როგორ უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და ქმნიან მთელს, მთლიანობას.</p>	<p>მოსწავლეს შეუძლია მოცემულის / შეთავაზებული მთლიანობის მიღმა სტრუქტურის განზოგადება, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა პერსპექტივიდან და იდეების გადატანა ახალ სფეროში.</p>
<p>ვერ ახერხებს წერიტი ნამუშევრის პირობის აღქმას და ნამუშევრის შექმნას.</p>	<p>ახერხებს საკითხის შესახებ ზედაპირული და ზოგადი ფრაზების დაწერას. ნაწერში მრავლადაა შეცდომები.</p>	<p>საკმაო რაოდენობის შეცდომებით ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად წერილობითი ნამუშევრის შექმნას.</p>	<p>მცირე შეცდომებით ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად წერილობითი ნამუშევრის შექმნას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას.</p>	<p>თითქმის უშეცდომოდ ახერხებს საკითხის შესახებ დავალების პირობის შესაბამისად ინფორმაციის წერილობით გადმოცემას. ნაწერში ავლენს შემოქმედებით მიდგომას. აფასებს საკუთარი მუშაობის პროცესს და გეგმავს გაუმჯობესების გზებს.</p>

VIII ტავი – მოსასმენი ტექსტები და ვიდეოგაგონებები

თავი 1 – რეპორტაჟი მითური კოლხეთიდან

გუშინ აიას ცენტრალური ბაღიდან საბერძნეთიდან მოსულმა ყაჩაღებმა ოქროს სანმისი მოიტაცეს.

ყაჩაღები რამდენიმე დღის წინ შემოვიდნენ კოლხეთში თავიანთი ხომალდით და აიეტს ოქროს სანმისი სთხოვეს.

მეფე აიეტმა მათ სამი დავალების შესრულება მოსთხოვა. თუკი ისინი ამ დავალებებს შეასრულებდნენ, მაშინ აიეტი ოქროს სანმისს მისცემდა. მთავარმა ყაჩაღმა დავალება ვერ შეასრულა და მეფის ასულს სთხოვა დახმარება. მედეა თავისი წამლებით დაეხმარა ბერძნებს დავალებების შესრულებაში. შემდეგ კი მან ოქროს სანმისის დარაჯი გველეშაპი დააძინა. იაზონი, ასე ჰქვია მთავარ ყაჩაღს, მუხის ხეზე აძვრა და ოქროს სანმისი მოიტაცა.

ოქროს სანმისი ჩვენი სამეფოს მთავარ განძი იყო და ჯერ კიდევ გუშინ იგი დედაქალაქთან ახლოს პარკში ეკიდა დიდი მუხის ხეზე

თავი 4 – ადამიანი ბუნების შვილია

ფიზიკურად ფშაველი ჯანსაღია, მარჯვეა და მშრომელი. სიმაღლით ფშაველი საშუალო სიმაღლისაა, თხელი და სწორი აგებულების. სახით კი შავგვრემანია და ლამაზი. სახის იერით ფშაველი უფრო ბარის ქართველს ჰგავს.

ხასიათით ფშაველი თავაზიანია და ხათრიანი. საზოგადოებაში ფშაველი ქალი თუ კაცი თამამია და უყვარს მხიარულება, ლექსების თქმა და გართობა. სტუმრის დახვედრა, მისი პატივისცემა და გართობა მათში მიღებულია. ქურდობა-ავაზაკობას ფშაველი არ ჩაიდენს და ეს სირცხვილად მიაჩნია. ამასთანავე, ფშაველი შარიანი და მოჩხუბარიც არ არის. ფშაველი გონებამახვილია, ტკბილად მოუბარი, ენაწყლიანი და მოლექსე — ეხერხება ლექსის „კაფიად“ თქმა.

ფშაველი ქალი თამამია, მარტო დადის, ლაპარაკის დროს გამბედავია და თამამი. ყოველ სიტყვაზე ის ატანს: „ჩემო ძმაო.“ ფშაველები ლაპარაკისას ხშირად იყენებენ: „გენაცვალე“, „შენი ჭირიმე“... თუ სასმელს დააღვინებ, დაგიბრუნებს თასს და დააყოლებს: „შენსამც ჭირს დავლევ!“ ფშაველები ქართულად მეტყველებენ და სწავლა-განათლებას ეტანებიან. ამისათვის მათ ნიჭი და უნარიც აქვთ.

თავი 7 – მე ვირჩევ პროფესიას

ელმირა: თინა, გამარჯობა, როგორ ხარ? მე ვარ, ელმირა.

თინა: ოჰ, ელმირას გაუმარჯოს! რამდენი ხანია, არ დაგირეკავს? სად ხარ, მომენატრე!

ელმირა: და შენ სად ხარ? არც ფეისბუქზე ჩანხარ, არც ვოტსაფში, არც ინსტაგრამზე...

თინა: ჰო, სოციალური ქსელებისთვის არ მეცალა. ბევრი სამუშაო მქონდა. თან ახალ სამსახურს ვეძებ.

ელმირა: რატომ? შენ ხომ მშვენიერი სამსახური გაქვს?

თინა: კი. მაგრამ გრაფიკულ დიზაინერობას ილუსტრატორობა მირჩევნია. საბავშვო წიგნების ილუსტრატორობა მინდა.

ელმირა: ჰო, საბავშვო ნახატები მართლა შესანიშნავად გამოგდის. სიამოვნებით ვიყიდდი წიგნებს შენი ილუსტრაციებით. სად ეძებ ახალ სამსახურს?

თინა: გამომცემლობებში, რა თქმა უნდა. ყველგან გავაგზავნე სივი. პასუხს ველოდები. ვნახოთ, რა იქნება... შენკენ რა არის ახალი?

ელმირა: ჩემკენ ახალი ისაა, რომ სკოლას ვანებებ თავს.

თინა: სკოლიდან მიდიხარ? რა მიზეზით? პანდემიის დროს სახლში ჯდომასა და სიზარმაცეს მიეჩვიე და აღარ გინდა სკოლაში სიარული, ხომ?

ელმირა: არა, არა! შენ ხომ იცი, მე არ ვარ სიზარმაცეს შეჩვეული ☹ ამ მიზეზით არ დამინებებია თავი სკოლისთვის...

თინა: აბა, რის გამო?

ელმირა: დამაცადე, მათქმევინე!

თინა: გისმენ.

ელმირა: სკოლას ვანებებ თავს, სწავლას კი არა. კოლეჯში მინდა ჩავაბარო. ხომ იცი, ჩემი ჰობი რაც არის? შენ თუ ხატვა გიყვარს, მე ცხობა და საჭმლის კეთება მირჩევნია. სამი წელი სკოლაში რატომ დავკარგო, როცა შემიძლია ამ ხნის განმავლობაში პროფესიაც შევისწავლო და მუშაობაც დავიწყო...

თინა: გირჩევ, კარგად დაფიქრდე... იქნებ მერე აზრი შეიცვალო და უნივერსიტეტში მოინდომო ჩაბარება.

ელმირა: არა, არა, თინა. უკვე ბევრი ვიფიქრე ამაზე. თუ უნივერსიტეტში მომინდება ჩაბარება, კოლეჯის მერე ჩავაბარებ. ახლა კი იმას ვაგაკეთებ, რაც ახლა მომწონს და მინდა და რაც ყველაზე კარგად გამომდის. ასე აჯობებს.

თინა: ჰობი ჰობია, პროფესია კი პროფესიაა. შეიძლება, კულინარია იყოს შენი ჰობი, მაგრამ სხვა პროფესია გქონდეს.

ელმირა: არა მგონია, ასე ფიქრობდე. შენი ჰობი ხატვა იყო და პროფესიად მხატვრობა აირჩიე. აბა რატომ გინდა, რომ მე მაინცდამაინც უნივერსიტეტზე ვიფიქრო და სკოლის დამთავრებას კიდევ სამი წელი ველოდო? ასე მგონია, ძალიან საჭირო და სასარგებლო პროფესიას ვირჩევ, არ მეთანხმები?

თინა: კი, გეთანხმები. ნამდვილად საჭირო და სასარგებლო პროფესიაა და ანაზღაურებაც ნორმალურია, რამდენადაც ვიცი.

ელმირა: კი, ამბობენ, რომ შეფშაბარეულებს ძალიან მაღალი ხელფასები აქვთ. როცა შეფშაბარეული ვიქნები, ლამაზ და მოდურ ტანსაცმელს ვიყიდი და შენც გაჩუქებ!

თინა: შესანიშნავია! აანყვე უკვე გეგმები, ხომ?

ელმირა: აბა რა!

თინა: კარგი, ელმირა, ახლა გავრბივარ, საქმე მაქვს, ამ კვირაში შენთან გამოვალ და ვილაპარაკოთ შენს კოლეჯზე და სხვა ამბებზე...

ელმირა: კარგი, თინა, გელოდები. დროებით.

ვიდეობმულები:

თავი 1 – რეპორტაჟი მითური კოლხეთიდან

001. იცოდე შენი ქვეყნის ისტორია – <https://www.youtube.com/watch?v=xe3MSstyw2Y>

01. სიმღერა „გზა დაგვილოცეთ“ – <https://www.youtube.com/watch?v=51dG2ftIPsc>

თავი 2 – თანაგრძნობა

002. ნოდარ დუმბაძე – შუბლის ძარღვი – <https://www.youtube.com/watch?v=M3LD4wOZ0T4>

02. ბიჭი, რომელიც ზრუნავს ძაღლებზე –

<https://www.facebook.com/PraimShow/videos/3151198898308258>

(დასაწყისი — 02:11 წთ. 03:40 — ბოლომდე)

თავი 3 – ფერებისა და ხაზების სამყაროში

003. ვან გოგის გამოფენა თბილისში –

<https://www.facebook.com/TbilisiDigitalSpace/videos/221799883031808/>

03. პატარა მხატვრის ფერადი სამყარო – <https://www.youtube.com/watch?v=gd9ay9l0gmg>

03. მიურალ ფესტი – <https://rustavi2.ge/ka/news/177385>

თავი 4 – ადამიანი ბუნების შვილია

004. სიმღერა „რამ შემქნა ადამიანად“ – <https://www.youtube.com/watch?v=0f-uLAHpbP4>

თავი 5 – მათ შექმნეს ეპოქა

005. სიუჟეტი – ნონა გაფრინდაშვილის საჩუქარი –

<https://www.youtube.com/watch?v=LqPUPf0YWEY>

თავი 6 – ისტორია და არქიტექტურა

006. თბილისის არქიტექტურა – https://www.youtube.com/watch?v=__FiUBt7SB4

06. ვარძია – <https://www.youtube.com/watch?v=1fm-Vfa3Srl>

თავი 7 – მე ვირჩევ პროფესიას

007. ზურიკელა ირჩევს პროფესიას – <https://www.youtube.com/watch?v=DQCmmvffjQg>

(48:51-იდან - 49:51-მდე)

07. როგორ გავაკეთოთ CV – <https://www.youtube.com/watch?v=wxWmVfXsx0s>

თავი 8 – ჩემი სოფელი

008. სტუმრად სოფელში – https://www.youtube.com/watch?v=iKTg_jewono

(1:07:40 -იდან 1:11:10-მდე)

08. სიმღერა „საქანელა“ – <https://www.youtube.com/watch?v=qef5XIHOPmQ>